საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური
ინფორმაციის კომიტეტი
რესპუბლიკური საინფორმაციო-საგამომცემლო ცენტრი

იოსებ არჩვაძე

# საქართველოს ეროვნული სიმდიდრე და მისი ელემენტები

„საქართველო"
თ ბ ი ლ ი ს ი
1992

65.9(26)-96

330.52(479.22)

ა853

საქართველოში ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშების დაწყება 1989 წელს სამართლიანად მიეკუთვნა ჩვენი რესპუბლიკის რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ გადადგმულ პირველ ღონისძიებათა რიგს. - რა გვაქვს, რა მივიღეთ მემკვიდრეობით, რა ქონებით ვიწყებთ ჩვენი სუვერენული სახელმწიფოს შენებას, როგორია ჩვენი სიმდიდრის თანაფარდობა ყოფილი საბჭოთა კავშირის, აგრეთვე აშშ-ის დონესთან... მსჯელობა აღნიშნულ პრობლემებზე და შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია ვერ დატოვებს გულგრილს არა მარტო ეკონომისტებს, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის შესწავლით დაინტერესებულ პირებს, არამედ მკითხველთა ფართო წრესაც.

ნაშრომი ეროვნული სიმდიდრისადმი მიძღვნილი პირველი მონოგრაფიაა საქართველოში.

რედაქტორი ეკ. მეცნ. კანდ. ი. ქადარია

რეცენზენტები: ეკ. მეცნ. კანდ. რ. ბასარია

ეკ. მეცნ. კანდ. მ. თოქმაზიშვილი

© გამომცემლობა "საქართველო", 1992

0605010406-027 / მ 601 08 -92 -1992

# შ ი ნ ა ა რ ს ი


გვ.

შესავალი .................................... 4

თავი I. ეროვნული სიმდიდრის კატეგორიალური განსაზღვრა 8

1.1. ეროვნული სიმდიდრის ცნება ................... 8

1.2. მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონების დეფინიცია 16

თავი II. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრე 1960-1990 წლებში .................................... 32

2.1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურა და დინამიკა ....................... 32

2.2. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საშინაო ქონების მაჩვენებლები ........................ 47

თავი III. ეროვნული სიმდიდრისა და მისი ელემენტების გაანგარიშების მეთოდოლოგიური პრობლემები ........... 65

3.1. ეროვნული სიმდიდრის და მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონების გაანგარიშების მეთოდიკის სრულყოფის საკითხები .............................. 65

3.2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონების მაჩვენებლების საერთაშორისო შედარებითობის საკითხები. 95

დასკვნა .................................... 112

დანართი .................................... 115

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

სიმდიდრე ძალიან კარგია,
როცა გვემსახურება და ძა-
ლიან ცუდი, როცა გვბრძა-
ნებლობს

ფ.ბეკონი

სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ნებისმიერ წახნაგს მრავალ მაჩვენებელთა შორის ყოველთვის მოეპოვება ისეთი, რომელიც ცენტრალური, განმსაზღვრელია მის დასახასიათებლად, შესაბამის მაჩვენებელთა სისტემის მაკონსტრუირებელ ელემენტად გვევლინება. მაგალითად, სოციალური ურთიერთობებისათვის ასეთია "სამართლიანობა", საზოგადოების წევრთა კეთილდღეობისათვის - "მოხმარების ფონდი"; ამ რიგს განეკუთვნება აგრეთვე "ეროვნული სიმდიდრე" - უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, რომელშიც აისახება საზოგადოების მიერ დაგროვილი სიმდიდრის მოცულობაც და მოსახლეობის განკარგულებაში არსებული დოვლათის ერთობლიობაც. ეროვნული სიმდიდრე საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დეფინიციური კარკასის შემკრავ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, ამასთან ერთად, ამ სისტემის სხვა მაჩვენებლებისაგან (ეროვნული შემოსავალი, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, რეალური შემოსავალი, რეალური ხელფასი, მატერიალური დოვლათისა და მომსახურების საერთო მოცულობა და სხვა.) განსხვავებით, მასში აისახება კვლავწარმოების არა ერთი, არამედ რამდენიმე ციკლის (წლის) შედეგი. ამიტომ მისი სიდიდე და დინამიკა, სხვა მაჩვენებლებთან შედარებით, ნაკლებად ექვემდებარება კონიუნქტურას, იგი "სტაბილური" და "სოლიდური" მაჩვენებელია.

ეკონომიკურ-სტატისტიკურ ლიტერატურაში ეროვნული სიმდიდრე

შეისწავლება შედგენილობის, მისი ელემენტების კლასიფიკაციის კრიტერიუმის, გაანგარიშების პრინციპებისა და მეთოდების, საზოგადოებრივი კვლავწარმოების მექანიზმსა და სხვა ეკონომიკურ კატეგორიებთან მიმართების მიხედვით. საზოგადოების საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვის პერსპექტივების გაფართოების გამო აუცილებელი ხდება ეროვნული სიმდიდრისა და მისი ელემენტების შეფასებაში საბაზრო კატეგორიებისა და სხვა ქვეყნების შესაბამისი მეთოდოლოგიური აპარატის ფართოდ გამოყენება.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომიკურ ინტერესთა ანალიზის დროს უკანასკნელ წლებამდე უგულვებელყოფილი იყო რესპუბლიკური, ეროვნული, რეგიონული ინტერესები და ეს უკანასკნელი დაიყვანებოდა მხოლოდ საზოგადოებრივ, კოლექტიურ და პირად ინტერესთა კომბინაციაზე. ამას ემატებოდა ისიც, რომ მთელი საზოგადოება განიხილებოდა უოჯახო, "უუჯრედო" ფენომენად. ამის გამო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს მოსახლეობის საშინაო, პირადი ქონების, როგორც ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის პოლიტეკონომიკურ კვლევას, გაანგარიშების მეთოდიკის სრულყოფის საკითხებს.

სამწუხაროდ, ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებად გვხვდება ეროვნული სიმდიდრისადმი მიძღვნილი შრომები. მას ძირითადად განიხილავენ სხვა კატეგორიებთან მიმართებაში ან კვლავწარმოების პროცესის ანალიზის დროს, თუმცა არც ეკონომიკურ ლიტერატურაში ამომწურავად გაანალიზებული აღნიშნული კატეგორია. კიდევ უფრო ნაკლებადაა შესწავლილი მოსახლეობის საშინაო ქონების[1] საკითხები, რომლებიც დღეს, ისევე როგორც მთელი ეროვნული სიმდიდრე, სცილდე-

1 ამ ნაშრომში "მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონება" და "მოსახლეობის პირადი ქონება" "მოსახლეობის საშინაო ქონების" იდენტურ ცნებებადაა მიჩნეული.

ბა ეკონომისტთა და ეკონომიკურ ინტერესთა სფეროს და ფართო სოციალურ და პოლიტიკურ ჟღერადობას იძენს. როგორც ჩვენი, ისე ბევრი სხვა ქვეყნის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ უქონელი და ღატაკი ადამიანი დემოკრატი ვერ იქნება, ასეთი პიროვნება ტოტალიტარიზმის რეალურ დასაყრდენს წარმოადგენს. ჩვენთანაც საზოგადოების თითოეული წევრი და მთელი საზოგადოება იმაზე მდიდრები რომ იყვნენ, ვიდრე ამჟამად არიან, ბევრი სადღეისო სოციალურ-პოლიტიკური პრობლემა არ წარმოიშობოდა, ან რა ექნებოდა ასე მწვავე ხასიათი.

საქართველოში ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშებას სულ რამდენიმე წლის ისტორია აქვს (1989 წლიდან)[1] და იგი ორგანულად უკავშირდება მოძრაობას სრული ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ; უფრო მეტიც: იმის გამო, რომ "ეროვნული სიმდიდრის" ცნება წლების განმავლობაში გამოიყენებოდა მხოლოდ იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნდათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საქართველოს ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშების დაწყება მიჩნეულ იქნა არა მარტო როგორც ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ წინსვლის შედეგი, არამედ როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი უცილობელი პირობაც.

რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის განკარგულებაში არსებული მასალების საფუძველზე ჩვენ შევძელით გაგვეანგარიშებინა ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის საშინაო

---

1 ეროვნული სიმდიდრის ცნების განსაზღვრა დაიწყო ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში – ინგლისში იგი პირველად გაიანგარიშეს 1664 წელს, საფრანგეთში – 1789 წელს, აშშ-ში – 1803 წელს, რუსეთში – 1864 წელს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ სტატისტიკაში ეროვნული სიმდიდრისა და ეროვნული შემოსავლის ცნებების მკაფიო გამიჯვნა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მოხდა – იხ.: Политическая экономия. Энциклопедия. т.I. М., 1972, с. 168; Статистика национального богатства, народного дохода и национального счета. М., Наука, 1967, с. 35.

(პირადი) ქონების ელემენტების მოცულობა 1960-1988 წლების მიხედვით, რის გამოც დღეს უკვე მოგვეპოვება შესაბამისი მონაცემები 1960 წლიდან დღემდე.

ყველა საქმიანი შენიშვნა, სურვილი, წინადადება ნაშრომის ირგვლივ მადლიერების გრძნობით იქნება აღქმული ავტორის მიერ.

## თავი I. ეროვნული სიმდიდრის კატეგორიალური განსაზღვრა

### 1.1. ეროვნული სიმდიდრის ცნება

ეროვნული სიმდიდრე[1] საზოგადოების განვითარების, მისი საწარმოო ძალების დონისა და დინამიკის, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის დახასიათების უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა. იგი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კვლავწარმოების ინტეგრალური შედეგია და გვიხასიათებს საზოგადოების თანამედროვე და წინა თაობების მიერ შექმნილ, წარმოებულ და მოხმარებულ დოვლათს შორის სხვაობის ერთობლიობას. ეროვნული სიმდიდრე, როგორც საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყოველი მომდევნო ციკლის მატერიალური საფუძველი და პირობა, განაპირობებს ამ პროცესის უწყვეტ და გაფართოებულ ხასიათს. როგორც განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, ეროვნული სიმდიდრე გამოიხატება ორ ძირითად ფორმაში: მატერიალურ-ნივთობრივსა და საზოგადოებრივში.

ეროვნული სიმდიდრე მატერიალურ ფორმაში - ეს არის შრომის დაგროვილი შედეგების - ძირითადი საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ფონდების, მატერიალური საბრუნავი საშუალებებისა და მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონების ელემენტების ერთობლიობა. რაოდენობრივად იგი იზომება შრომის იმ დანახარჯებით, რომლებიც საზოგადოებას სჭირდება მათი შექმნისა და გამოყენებისათვის, აგრეთვე შეცვლისათვის კვლავწარმოების პროცესში გამოყენების შემდეგ.

ეროვნული სიმდიდრე საზოგადოებრივ ფორმაში - ეს არის ურთიერთობათა ერთობლიობა მისი ელემენტების წარმოების, განაწილე-

---

1 "ეროვნულ სიმდიდრესთან" ერთად ამ კატეგორიის აღსანიშნავად ლიტერატურაში გამოიყენება აგრეთვე "სახალხო სიმდიდრის", "საზოგადოებრივი სიმდიდრის", "ეროვნული დოვლათის" ცნებებიც, ხოლო მისი რომელიმე ასპექტის ან ქვესისტემის აღსანიშნავად - "ეროვნული ქონების" და "ეკონომიკური სიმდიდრის" ცნებები.

ბის, გადანაწილებისა და მოხმარებისათვის.

ეროვნულ სიმდიდრეს მიეკუთვნება შრომის საშუალებები და არაერთჯერადი მოხმარების საგნები, საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების შენობები და ნაგებობები, აგრეთვე დაუსრულებელი წარმოების, მშენებლობის მოცულობა და სასაქონლო ფასეულობა, რომლებიც მწარმოებლიდან მომხმარებელზე დაყვანის სტადიაში იმყოფება.[1] მათი დაჯგუფება ხორციელდება კვლავწარმოების თავისებურებების და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით, თუმცა პრაქტიკაში ვხვდებით დაჯგუფებას კვლავწარმოების ხანგრძლივობით ან სხვა ნიშნების მიხედვითაც.

ამ ცნების "კლასიკური" განმარტებით[2] ეროვნულ სიმდიდრეს აკუთვნებენ აგრეთვე კვლავწარმოების პროცესში ჩართული ბუნებრივი რესურსების – ტყეების, სასარგებლო წიაღისეულის, სავარგულების ღირებულებასაც, ე.ი. იმ მატერიალური ნედლეულის მარაგებსა და ბუნებრივ გარემოს ელემენტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოების ხარჯებზე და პირობებზე.

"სიმდიდრის" ცნება ხმარებაში შემოვიდა როგორც უფრო დაკონკრეტებული განსაზღვრება ისეთ ტერმინებთან შედარებით, როგორიცაა "ერის კეთილდღეობა", "ერის მონაპოვარი", ეს უკანასკნელნი რამდენადმე ზოგადია, ვერ ექვემდებარება ზუსტ რაოდენობრივ განსაზღვრებას; "სიმდიდრე" კი უფრო ცალმხრივია, რაც საშუალებას იძლევა გაიზომოს მისი რაოდენობრივი პარამეტრები.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი "სიმდიდრე" იხმარება როგორც "მარაგის" სინონიმი, როგორც სხვაობა წარმოებასა და მოხმარებას შორის, მაშინ როდესაც უბრალო ურთიერთობებში ადამიანები "სიმდიდრედ" მიიჩნევენ "მაღალ შემოსავალსაც" და "დიდ ქონე-

---

2 იხ.: Политическая экономия. Энциклопедия. т. 3. М., 1979, с. 61.

გასაც". ამასთან, რამეთუ საზოგადოებრივი ცნობიერება მეტად აქ-ტიურ ზეგავლენას ახდენს აღნიშნული კატეგორიის ჩამოყალიბებაზე, ბოლო პერიოდში ეკონომიკური ლიტერატურის ფურცლებზე გზას იკაფავს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც "ეროვნულ სიმდიდრეს" უნდა მიეკუთვნოს არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტები, არამედ ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების, კონვერტირებადი ვალუტის რეზერვები, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ქონება, აგრეთვე არამატერიალური სიმდიდრეც-საზოგადოების წევრთა პროფესიული ცოდნა და დახელოვნება, მეცნიერებისა და მართვის სფეროს მონაპოვრები, საზოგადოების განკარგულებაში არსებული სოციალურ-კულტურული და მხატვრული ფასეულობები[3]; მაგრამ ამ შემთხვევაში ეროვნული სიმდიდრის ცნების საზღვრები ფაქტიურად წაიშლება და ეროვნულ სიმდიდრეში ჩართული აღმოჩნდებოდა სრულიად სხვადასხვაგვარი პოზიტიური ღირებულების და მიმართულებების მქონე მოვლენები და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტები, თვით მორალურ-ეთიკური მომენტებიც კი.

ყოველივე ამის გამო წამოიჭრება საკითხი: რა ნიშნის მიხედვით უნდა მოხდეს ეროვნული სიმდიდრის კატეგორიის განსაზღვრა?

ბუნებრივია, რადგან საქმე გვაქვს ეკონომიკურ პროცესებთან, ეროვნული სიმდიდრე უნდა განვიხილოთ სწორედ აღნიშნულ ასპექტში. ამ ცნებაში შეტანილი უნდა იქნას ის დოვლათი, რომელიც მატერიალურ-ნივთობრივი ფორმების მატარებელია. მაგრამ შეიძლება თუ არა

---

3 იხ.: Агабабьян Э.М. Экономические основы воспроизводства нематериальных благ при социализме. М.: 1983, сс. 68-69, 74; Гловлецкая Н.Г. Образовательный потенциал - потенциальное богатство общества. Изв. АН СССР., Сер. экон., 1984, № 4, с. 44; Бухвальд Е.М., Нестеров Л.И. Проблемы воспроизводства общественного богатства (социально-экономический аспект). - М.: Наука, 1984, с. 78; Протасова Л.Е. Отражение качественной стороны факторов производства в балансе народного хозяйства. В кн.: Направление совершенствования планового баланса народного хозяйства. М., 1989, сс. 127-138 და სხვ.

ეროვნული სიმდიდრის "პროკრუსტეს სარეცე ლ" ერთნაირად მივუყე-ნოთ, მაგალითად, ვაშლს, სახლს, დაზგას ან ხელნაწერს? – ისინი ყველა მატერიალურ-ნივთობრივი ფორმის მატარებელნი არიან, მაგ-რამ არის კი ეს საკმარისი მათი ეროვნული სიმდიდრისადმი მისა-კუთვნებლად? – რა თქმა უნდა, არა[] იმისათვის, რომ მატერიალუ-რი ნივთი ეროვნულ სიმდიდრეში შედიოდეს, აუცილებელია, რომ შე-იძლებოდეს მისი არა ერთჯერადი, არამედ მრავალჯერადი მოხმარე-ბა; მეორეც, აუცილებელია, რომ ნივთი აკმაყოფილებდეს ჩვენს მა-ტერიალურ-ნივთობრივ ეკონომიკურ მოთხოვნებს. მაგალითად, ერო-ვნული სიმდიდრის ღირებულებით განზომილებას ვერ ექვემდებარება ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობები, რომლებიც ეროვნული თვით-მყოფადობის, ღირსების და სიამაყის ხელთუქმნელი ძეგლებია – რო-გორ უნდა გაიზომოს, ქარძლ, სვეტიცხოვლის, ჯვრის, დავით გარე-ჯის ღირებულება?

მესამე, ეროვნულ სიმდიდრეში ვერ შევიტანთ იმ მატერიალურ-ნივთობრივი ფორმის მქონე საგნებს, რომლებიც გამოიყენებიან ადამიანთა მატერიალური ან ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკ-მაყოფილებლად, მაგრამ არ გააჩნიათ ღირებულება, მაგ., ზღვის ლო-კოკინას ნიჟარები, ხის მორი – გამოყენებული "მაგიდად" ან "სკა-მად", ირმის რქა, სპილოს ეშვი და ა.შ.

ამრიგად, ეკონომიკურ კატეგორია "ეროვნულ სიმდიდრეს" შეიძ-ლება მივაკუთვნოთ ისეთი დოვლათი, რომელსაც: 1. გააჩნია მატერია-ლურ-ნივთობრივი ფორმა; 2. არის არა ერთჯერადი, არამედ მრავალ-ჯერადი (შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში) მოხმარე-ბის საგანი; 3. მის მისაღებად დახარჯულია საზოგადოებრივად აუცი-ლებელი შრომა. 4. არის კვლავწარმოებადი ე.ი. შესაძლებელია მი-

სი ტირაჟირება მწარმოებლების მიერ როგორც მატერიალურ-ნივთო-ბრივი ფორმით, ისე სახმარი ღირებულებითაც.

ამ უკანასკნელს განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, რამე-თუ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში საწარმოო და სა-მომხმარებლო დანიშნულების ერთსახელიანი საქონლის მიხედვითაც კი განუწყვეტლივ იცვლება მათი როგორც სამომხმარებლო ეფექტია-ნობა, ისე ნატურალური ფორმა, ამიტომ როდესაც საუბარია კვლავ-წარმოებადობაზე, აქ მხედველობაში მიიღება კვლავწარმოება *in effecto* და არა *in natura* [4], ე.ი. მთავარია ნივთების სა-ხმარი ღირებულების სამომხმარებლო ეფექტის კვლავწარმოებითობა და არა ამ ნივთების ნატურალურ-ნივთობრივი ფორმა და შედგენი-ლობა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეროვნული სიმდიდრის მაკონ-სტრუირებელ ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე სიმდიდრის მფლო-ბელისათვის შემოსავლის მოტანის უნარი (ნივთობრივი ფორმის მქო-ნე საკუთრების ელემენტების შემოსავლის მისაღებად გამოყენების შესაძლებლობა), "სიმდიდრის" საკუთრებითი ურთიერთობათა სისტემის ერთ-ერთ აქტიურ ელემენტად მიჩნევა.

რომ არა ზემოჩამოთვლილი ნიშნები, "ეროვნული სიმდიდრის" ცნება დაკარგავდა თავის შემეცნებით და გამოყენებით ღირებულე-ბას, ვერ იქნებოდა კატეგორიალური ბუნების მატარებელი. ასეთ "შემოსაზღვრულობაზე" იქნება აგებული ჩვენ მიერ ქვემოთ განხი-ლული მთელი მასალაც. თუმცა ზოგიერთი ეკონომისტი, გამოდის რა ეროვნული სიმდიდრის მრავალწახნაგიანობიდან, საჭიროდ მიიჩნევს წარმოაჩინოს იგი როგორც საზოგადოების "ეკონომიკური სიმდიდრისა" და "ბუნებრივი სიმდიდრის" ერთობლიობა[5]. ჩვენი აზრით, ზოგადად,

---

4 იხ.: Экономический строй социализма. т. 2. М., Экономика, 1984, с.412.

5 იხ.: Сидорович А.В. Национальное богатство при социализме. М., МГУ, 1985.

გარდა მოხსენებული ასპექტებისა, ლაპარაკი შეიძლება სოციალურ, ინტელექტუალურ და პერსონიფიცირებულ სიმდიდრეზეც[6]. თუმცა რაოდენობრივი გამოსახულება, როგორც კვლავწარმოებითი და რეალურად ეკონომიკური ურთიერთობების მატარებელს, მხოლოდ ეკონომიკურ სიმდიდრეს (ეროვნულ ქონებას) გააჩნია. გამოვდივართ რა სიმდიდრის ზემოჩამოთვლილი მაკონსტრუირებელი ნიშნების ერთობლიობიდან, ჩვენს შემდგომ კვლევაში აქცენტი სწორედ ასეთი "ეკონომიკური სიმდიდრის" ("ეროვნული ქონების") ანალიზზე გვექნება დამყარებული.

იბადება კითხვა: რა ვუყოთ კვლავწარმოების პროცესში ჩართულ რესურსებს-უნდა შევიტანოთ ისინი თუ არა ეროვნული სიმდიდრის შემადგენლობაში? - მათ გარეშე ხომ ეროვნული სიმდიდრე მხოლოდ ადამიანის შრომით შექმნილი დოვლათის ღირებულება იქნებოდა? ასეთი სიმდიდრის აღსანიშნავად კი ჩვენ გაგვაჩნია ქონების ცნება, რომელიც სრულებითაც არ წარმოადგენს ეროვნული სიმდიდრის მხოლოდ "იურიდიულ ფორმას" (როგორც ეს მტკიცდებოდა თავის დროზე ეკონომიკურ ლიტერატურაში)[7] და შემოიფარგლება მხოლოდ მატერიალურ-ნივთობრივი ფორმის მქონე ელემენტების-ძირითადი ფონდების, მატერიალური საბრუნავი საშუალებების და მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონების ერთობლიობით. მასში არ შეიტანება კვლავწარმოების პროცესში გამოყენებული ბუნებრივი რესურსების-წყლის, მიწის და ბიოლოგიური რესურსების, წიაღისეულის, მცენარეების, მზის, ქარის, სითბოს, მიწისქვეშა წყაროების, ზღვის მოქცევისა და მიქცევის საერთო ღირებულება. აქ თავისებურ დროით განფენილობასთან გვაქვს საქმე: თუკი ეროვნული ქონების ელემენტები უკვე დახარჯული შრომის პროდუქტებია, ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ამჟამად უნდა აისახონ ეროვ-

---

6 იხ.: ი. არჩვაძე. ეროვნული სიმდიდრის კატეგორიის განსაზღვრისათვის. - ეკონომისტი, 1990, №11, გვ. 30-37.

7 იხ.: Статистический словарь. М., 1965, с. 335.

ნულ სიმდიდრეში, ფასდება კვლავწარმოებაში მათი სამომავლო ჩართვის შესაძლებლობით, ე.ი. საწარმოო ძალების განვითარების დონისა და ამ რესურსებზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების არსებობის შესაბამისად მათი კვლავწარმოებაში ჩართვის მასშტაბების გათვალისწინებით. ამასთან, მხედველობაში მიიღება კვლავწარმოების არა ერთი ციკლისათვის საჭირო რესურსების მოცულობა ან, პირიქით, გამოვლენილი, მოკვლეული რესურსების საერთო მოცულობა, არამედ ის რესურსები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს თანამედროვე საწარმოო ძალების საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მასშტაბების ექსტრაპოლაციით (დაწვრილებით აღნიშნულ საკითხებზე ქვემოთ იქნება საუბარი). იმის გამო, რომ არ არსებობს აზრთა ერთიანობა ეროვნული სიმდიდრის იმ ნაწილის შეფასებაში, რომელიც ბუნებრივ რესურსებშია წარმოდგენილი, სტატისტიკური სამსახური "თავს იკავებს", ვერ ანგარიშობს მათ, რის გამოც მის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ეროვნულ სიმდიდრეზე, როგორც წესი, შეკვეცილია და ფაქტიურად ეროვნულ სიმდიდრეს კი არა, ეროვნულ ქონებას ახასიათებს.

ეროვნული სიმდიდრის კატეგორია წარმოიშვა და შესაბამისი გაანგარიშებები დაწყებულ იქნა იმ დროს, როდესაც სახელმწიფოები ფაქტიურად მონოეთნიკურ წარმონაქმნებს წარმოადგენდნენ (ინგლისი, საფრანგეთი), რის გამოც "ეროვნული" და "სახელმწიფოებრივი" ფაქტიურად იდენტურ ცნებებად მიიჩნეოდა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების, საწარმოო ძალების განვითარების კვალობაზე "ეროვნული" ნიშანი თანდათანობით უფრო დამოუკიდებელი გახდა "სახელმწიფოებრივისაგან", თუმცა რჩება ამ უკანასკნელის მაკონსტრუირებელ ნიშნად. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ ეროვნულ სიმდიდრეზე, მხედველობაში გვაქვს, რა თქმა უნდა, არა რომელიმე ერის სიმდიდრე, არამედ მო-

ცემული სახელმწიფოს და მისი ქვეშევრდომების განკარგულებაში, საკუთრებაში არსებული მთელი სიმდიდრე. იქ, სადაც მაღალია ეროვნულ სიმდიდრეში კერძო საკუთრების ხვედრითი წილი, შეიძლება მოხდეს ცალკეული ეროვნების წარმომადგენელთა საკუთრებაში არსებული ეროვნული სიმდიდრის განსაზღვრაც... აშშ-ში კი, სადაც კერძო საკუთრებაში იმყოფება ეროვნული სიმდიდრის 4/5-ზე მეტი, მაგრამ არ ხდება ეროვნული ნიშნის მიხედვით მოსახლეობის დაყოფა, ხშირად მიმართავენ ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშებას მოსახლეობის ეთნიკური, რასობრივი ჯგუფების (თეთრკანიანი, შავკანიანი), სქესის (მამაკაცი, ქალი), ასაკის მიხედვით.

ჩვენი აზრით, ეროვნული სიმდიდრის სისტემატიზაციაში განმსაზღვრელად რჩება მისი კლასიფიკაცია ელემენტებისა და სოციალური კუთვნილების ნიშნების შესაბამისად, რომელთა მიხედვითაც ანალიზს მომდევნო თავები აქვს დათმობილი[8].

- - - - - - - - - - - - - - -

8 ეკონომიკურ ლიტერატურაში, მათ შორის ქართველი სწავლული ეკონომისტების შრომებში საკმაოდ საფუძვლიანად არის განხილული ეროვნული სიმდიდრის ძირითადი კომპონენტის – ძირითადი ფონდების ხასიათი, მისი სტრუქტურა და დინამიკა სოციალურ და დარგობრივ ჭრილში (იხ.: ჰ.აღეიშვილი. საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები. – თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1982; ნ.არევაძე. ძირითადი წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა საქართველოს სსრ მრეწველობაში. – თბ.:მეცნიერება, 1989; გ.გოშაძე. სამეურნეო ანგარიში, ფონდების წრებრუნვა და ბრუნვა (ლექცია).– თბილისი: თსუ, 1973;კ.ელიზბარაშვილი. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები (ეკონომიკურ-სტატისტიკური ნარკვევი). – თბ.:თსუ, 1975; არჩ. ფეთრაული. სკკპ XXV ყრილობა საწარმოო ფონდების გამოყენების შესახებ განვითარებული სოციალიზმის პირობებში. – თბ.:მეცნიერება, 1979; ჰ.ალორდავა. ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტიანობა სამრეწველო მეფრინველეობაში. – თბ.: საბჭოთა საქართველო, 1983; რ.ლორთქიფანიძე. ძირითადი წარმოებრივი ფონდების სტრუქტურის სრულყოფის საკითხისათვის აჭარის მრეწველობაში. – ბათუმი: საბჭოთა აჭარა, 1990; ლ.მიქელაშვილი. ძირითადი წარმოებრივი ფონდების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება. – ბათუმი: საბჭოთა აჭარა, 1981; გ.მშვილდაძე. ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობა და მისი ამაღლების გზები საქართველოში. – თბ.: თსუ, 1973; მისივე: სოციალისტურ საწარმოთა ფონდები, მათი წრებრუნვა და ბრუნვა. – თბ.: თსუ, 1980; ს.სოსელია. სსრ კავშირის მრეწველობის ძირითადი ფონდები. – თბ.: თსუ, 1970, ძირითადი წარმოებრივი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობის საკითხები საქართველოს სსრ მრეწველობაში. – თბ.:მეცნიერება, 1979......ძირითადი ფონდების ანალიზი რეგიონალურ, დარგობრივ და საკუთრებით ფორმათა

## 1.2. მოსახლეობის საშინაო ქონების დეფინიცია

მოსახლეობის საშინაო ქონება ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია. ადამიანი, როგორც სოციალური ფენომენი, წარმოუდგენელია საშინაო ქონების გარეშე, რამეთუ ასეთი ქონება მისი ფუნქციონირების ნებისმიერი სფეროს და კეთილდღეობის განმაპირობებელი ორგანული ატრიბუტია[9]. პირადი ქონების გარეშე შეუძლებელია ალიქვას თავისუფალი დრო, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების და განვითარების აუცილებელი ელემენტი. ამრიგად, მოსახლეობის საშინაო ქონების სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია ისაა, რომ: 1. შეამსუბუქოს შრომა ოჯახურ მეურნეობაში; 2. უზრუნველყოს მესაკუთრეთა მიერ სამომხმარებლო ეფექტის მიღება; 3. დაზოგოს თავისუფალი დრო.

თუ მთელი ეროვნული სიმდიდრე უზრუნველყოფს საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობას, მოსახლეობის საშინაო ქონება უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების პიროვნული ფაქტორის-სამუშაო ძალის-კვლავწარმოებას. ამასთან ერთად, თუ მთელი ეროვნული სიმდიდრე, როგორც წარმოების შედეგი, წარმოების მოცულობის მოხმარებაზე მრავალწლიანი მეტობის შედეგია, მოსახლეობის საშინაო ქონება წარმოადგენს მოხმარების საგნების (პირადი ქონების ჩამაკონსტრუირებელი მოხმარების საგნების) მოცულობის მათ მიმ-

---

ჭრილში გვხვდება სხვა ქართველ ეკონომისტთა შრომებშიც... , ამიტომ მის ანალიზს ჩვენ არ შევუდგებით. თავის მხრივ, ქვემოთ გადმოცემული ეროვნული სიმდიდრის სრული და ნარჩენი ღირებულებით შეფასება, ამორტიზაცია, დაჯგუფება საკუთრების (სოციალური) ფორმების მიხედვით შესაძლებლობას მოგვცემს "უყურადღებოდ" არ დავტოვოთ სიმდიდრის აღნიშნული ელემენტები...

9 გარდა საშინაო ქონებისა, მოსახლეობის კეთილდღეობის კომპოზიციურ სტრუქტურაში ჩაირთვება აგრეთვე მიმდინარე წარმოების პროდუქტები, ნივთები და მოხმარების საშუალებები; არასამუშაო დროის ფონდი; მოსახლეობის მიმდინარე შემოსავლები და მოსახლეობის ფულადი დანაზოგები.

დინარე მოხმარებაზე მრავალწლიანი მეტობის შედეგს. მოსახლეობის საშინაო ქონების, როგორც ეროვნული სიმდიდრის ნაწილის, განსაზღვრაში მონაწილეობს ისეთი პარამეტრები, როგორიცაა მათი შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ექსპლუატაცია და ამ ხნის განმავლობაში მატერიალურ-ნივთობრივი ფორმის უცვლელობა.

მოსახლეობის საშინაო ქონების ანალიზი შეუძლებელია საზოგადოების ეროვნული სიმდიდრის გარეშე არა მარტო იმიტომ, რომ პირადი ქონება თავისი ნატურალურ-ნივთობრივი ფორმით ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ნაწილია, არამედ იმიტომაც, რომ ამ სიმდიდრის, როგორც სახმარ ღირებულებათა ერთიანობის კვლავწარმოების პროცესიდან ხორციელდება მისი გარკვეული ნაწილის გამოცალკევება და დაგროვება როგორც წარმოების, ისე მოხმარების სფეროში. მოსახლეობის საშინაო ქონება კვლავწარმოების შედეგად დაგროვილი ქონებაა, მოხმარების საგნები კი საზოგადოებრივი წარმოების ერთი ციკლის შედეგს წარმოადგენს[10].

რამდენადაც ეროვნული სიმდიდრე კვლავწარმოების უწყვეტი ხასიათის უზრუნველმყოფი ნივთიერი პირობების გამომხატველი კატეგორიაა, მოსახლეობის საშინაო ქონება, როგორც მისი ობიექტური ელემენტი, საზოგადოების წევრთა ცხოვრებისა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველმყოფ სამომხმარებლო დანიშნულების საგნებში განივთებული პირობების ერთობლიობას წარმოადგენს[11]. იგი დაგრო-

- - - - - - - - - - - - - - -

10 "Продукт-это поток материальных благ, измеряемый за период времени, а богатство, как накопленная величина измерения на определенный момент времени" -: Сидорович А.В. Национальное богатство при социализме, с. 22.

11 მოსახლეობის საშინაო ქონების ეროვნულ სიმდიდრესთან ასეთი დამოკიდებულება გამოიხატება მრავალ ასპექტში. არსებობს, მაგალითად, გარკვეული კავშირი ძირითადი საწარმოო ფონდების განახლებასა და მოსახლეობის პირადი ქონების ელემენტების განახლებას შორის-პირველის დაჩქარების შემთხვევაში ჩქარ-

ვილი დახარჯული შრომა კი არ არის, არამედ დაგროვილი სახმარი ღირებულების ერთიანობაა. ამასთან მისი განსაზღვრა შემდეგნაირად გვესახება:

მოსახლეობის საშინაო ქონება - ეს არის სამომხმარებლო დანიშნულების სამრეწველო წარმოების საგნების ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ ექსპლუატაციის ხანგრძლივი ვადა (როგორც წესი, ერთ წელზე მეტი), უზრუნველყოფენ მომხმარებელთა მოთხოვნილებების მრავალჯერად დაკმაყოფილებას, მოხმარების პროცესში არ იცვლიან თავიანთ ნატურალურ-ნივთობრივ ფორმას, წარმოადგენენ მათ მფლობელთა საკუთრებას მათი ფლობის, სარგებლობის, გამოყენებისა და განკარგვის სრული, შეუზღუდავი უფლებით[12]. (თუმცა სტატისტი-

ფიზა მეორის განსახლებაც.

რადგანაც ძირითადი ფონდების განახლებისათვის დამახასიათებელია განახლების ციკლური ხასიათი, ამან არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს პირადი ქონების ელემენტების განახლების ციკლურ ხასიათზეც. ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე არსებობს მოთხოვნის ციკლური ხასიათი (იხ.: Беседин В.Ф., Кульчинская Л.К. Методологические основы и методика роста объемов и имущества населения. – В кн.: Организация и планирование отраслей народного хозяйства. Киев, 1987, с. 17.

ნებისმიერ საგანს რომ თავისი სასიცოცხლო ციკლი გააჩნია და წარმოების საბოლოო მიზანი მოხმარებაა, იძლევა ისეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომლის მიხედვითაც ძირითადი ფონდების განახლების ციკლური ხასიათი კი არ განაპირობებს მოსახლეობის საშინაო ქონების განახლების ასეთსავე ხასიათს, არამედ პირიქით-საშინაო ქონების ელემენტების სასიცოცხლო ციკლი განაპირობებს ძირითადი ფონდების განახლების ციკლურობას.

12 აბსტრაგირებას ვახდენთ ისეთი მომენტისაგან, როგორიცაა საწარმო-ორგანიზაციების, უწყებების, სასტუმროების, დასასვენებელი სახლების და ა.შ. ბალანსზე მყოფი საშინაო ქონების ფუნქციონალური ნიშნის მატარებელი ნივთების - (მაგიდების, სკამების, ავეჯის, ტელევიზორების, მაცივრების, ჭურჭლის, თეთრეულის და ა.შ.) არსებობა.

კური მეთოდოლოგია ზღუდავს მის საზღვრებს იმით, რომ აუცილებელ პირობად აყენებს ამ ქონების სავაჭრო ქსელით რეალიზაციას).

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის საშინაო ქონებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სიმდიდრის განსაზღვრაში. ამიტომ გადაუჭარბებელი არ იქნება იმის თქმა, რომ სწორედ აღნიშნული კატეგორიის გაანგარიშების მეთოდიკის არარსებობა იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ წლების განმავლობაში არ გაიანგარიშებოდა საქართველოს ეროვნული სიმდიდრე (ძირითადი ფონდებისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების დინამიკური მწკრივების წარმოება, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1960-იანი წლების დასაწყისიდან ხორციელდებოდა). განვიხილავთ რა მოსახლეობის საშინაო ქონებას, როგორც ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, კვლევის ობიექტად მივიჩნევთ მას, როგორც საზოგადოებრივი კვლავწარმოების ობიექტურ კომპონენტს და პირობას, თუმცა იგი შეიძლება განხილულ იქნას არა მარტო პოლიტეკონომიკური კუთხით, არამედ კონკრეტული ეკონომიკის (როგორც მოხმარების საგნების რეალიზაციის შესაძლებლობა), სოციოლოგიის (როგორც ცხოვრების წესისა და ფორმის ნივთობრივი კომპონენტების ერთობლიობა), სამართლებრივი (როგორც ქონებრივი ურთიერთობების, საკუთრების, მემკვიდრეობითი ან გაჩუქების პირობით მესაკუთრეთა შეცვლის რეგულირებადობა), თვით ფსიქოლოგიის (როგორც ადამიანის ქცევაზე მოქმედი მატერიალური კომპონენტების ერთობლიობა) პოზიციებიდან და რამეთუ პირადი ქონების არცერთი მოხსენიებული ასპექტი არ არსებობს აბსოლუტურად დამოუკიდებლად (ყოველი სამეცნიერო დისციპლინის მიხედვით პირადი ქონების შესწავლისას ამ პროცესზე სხვა დისციპლინები ახდენენ დიდ გავლენას, მონაწილეობენ მისი "ბუნებრივი ფონის" ჩამოყალიბებაში), ამიტომ პირად ქონებაზე საუბრისას აუცილებლად იქნება გათ-

ვალისწინებული მისი ზემოთმოხსენიებული დარგობრივი ასპექტები, რომლებიც თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენენ საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში, მათი ქცევის მოტივაციაში და, რა თქმა უნდა, პირადი ქონების სტრუქტურისა და დინამიკის განსაზღვრაში. ამრიგად, კვლევის ამ ეტაპზე პოლიტიკურ ეკონომიას უხდება თავისი მნიშვნელოვანი ჩამორჩენის დაძლევა სხვა დისციპლინებთან საგრძნობი, მზარდი კონკურენციის პირობებში[13].

სანწუხაროდ, მოსახლეობის საშინაო ქონება არ არის ისე საფუძვლიანად შესწავლილი, როგორც ეროვნული სიმდიდრის დანარჩენი ელემენტები, რამდენადაც ბოლო დრომდე იგი სპეციალურ ლიტერატურაში განიხილებოდა როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის პირობა, წარმოების საბოლოო ყაზა, მაგრამ არა როგორც წარმოების პირველი ფაქტორის კვლავწარმოების ობიექტური საფუძველი. ფაქტობრივად კი როგორც მთელი ეროვნული სიმდიდრე არის მთელი საზოგადოებრივი დოვლათის კვლავწარმოების პირობა, მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონებაც ამ საზოგადოებრივი დოვლათის ნაწილის უშუალოდ (სამუშაო ძალის) და ნაწილის გაშუალებულად (მატერიალური დოვლათის) კვლავწარმოების რეალური საფუძველია.

ჩვენთან მოქმედი მეთოდოლოგიით მოსახლეობის საშინაო ქონების შემადგენლობაში შეიტანება არასაწარმოო, სამომხმარებლო დანიშნულების საგნები, რომელთა ექსპლუატაციის ვადა არანაკლებ 1 წელია. ყოფილი სსრკ სტატისტიკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით მოსახლეობის საშინაო ქონება იყოფა 6 ბლოკად და 22 ჯგუფად: 1. გარდერობის საგნები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული, ტრიკოტაჟი

13 პოლიტიკური ეკონომია, მაგალითად, ჩამორჩა დანარჩენ საზოგადოებრივ დისციპლინებს–ფილოსოფიას, სამართალს, ეთიკას, ზოგად და კონკრეტულ სოციოლოგიას სხვა მხრივაც, მათ შორის სოციალური სამართლიანობის შესწავლის მიხედვითაც, რაც მიუთითებს თვით აღნიშნული დისციპლინის თვისებრივი განახლების, მისი საგნისა და მეთოდის ხელახალი გააზრების აუცილებლობაზე.

და ა.შ.); 2. საშინაო გარემოს საგნები (ავეჯი, ხალიჩები, საწოლები); 3. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქონელი (ჭურჭელი, ელექტროსაქონელი, საკერავი მანქანები); 4. კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონელი (გალანტერეა, ბეჭდვითი პროდუქცია, საკანცელარიო საქონელი, სპორტსაქონელი, სათამაშოები, საათები, საიუველირო ნაწარმი, სხვა კულტსაქონელი); 5. სატრანსპორტო საშუალებები (მსუბუქი ავტომობილები, მოტოროლერები, მოპედები, ველოსიპედები); 6. სხვა კულტსაქონელი[14]. საზღვარგარეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ვხვდებით საშინაო ქონების დაყოფას 200-ზე მეტ სახეობად, ამასთან იქ თვისებრივად განსხვავებულ კლასიფიკაციასთან გვაქვს საქმე – საშინაო ქონებას როგორც წესი აკუთვნებენ, საკუთარ სა-

- - - - - - - - - - - - - - - - - -

14 ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება სხვაგვარი კლასიფიკაციაც. მაგ. სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკური ლექსიკონის ავტორები გამოყოფენ პირადი ქონების შემდეგ სახეობებს: 1. ავეჯის ტიპის საქონელი; 2. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქონელი; 3. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოწყობილობანი; 4. სამეურნეო ინვენტარი, ჭურჭელი, უმარტივესი იარაღები; 5. გადაადგილების ინდივიდუალური საშუალებები; 6. თეთრეული, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, ნემსეული და ა.შ. 7. საიუველირო ნაწარმი და სამკაულები; 8. წიგნადი ფონდი; 9. სხვა მასალები (კოლექციები და ა.შ.) (იხ.: Социально-экономическая статистика. – [illegible], с. 355-356); ხანგრძლივი მოხმარების საგნებში გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს: ავეჯი, ოჯახური მეურნეობის მექანიზაციის საშუალებანი (სარეცხი მანქანები, მაცივრები, მტვერსასრუტი, იატაკის საპრიალებელი, საკერავი მანქანები); ინფორმაციის მიღების საშუალებანი (რადიომიმღებები, ტელევიზორები, მაგნიტოფონები, ფირსაკრავები, ფოტოაპარატები, კინოკამერები, წიგნები); მუსიკალური ინსტრუმენტები (როიალი, პიანინო, აკორდეონი, ბაიანი და ა.შ.), სატრანსპორტო საშუალებანი (ავტომობილები, იახტები, ნავები, ველოსიპედები, მოტოციკლი, მოტოროლერები, მოპედები), აგრეთვე იარაღი, გაზონი, ბიბლიოთეკები; ხალიჩები, ძვირფასი მეურნეობის ქონება. ბოლოხანს მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონების ელემენტებს აჯგუფებენ შემდეგი ნიშნების მიხედვით: ინფორმაციისა და კულტურის საგნები (რადიოსაქონელი, მუსიკალური საქონელი, ბეჭდვითი პროდუქცია), გადაადგილების საშუალებანი და სპორტსაქონელი, ოჯახური ცხოვრების ორგანიზაციის საგნები (ელექტროსაყოფაცხოვრებო მოწყობილობანი და საკერავი მანქანები), გარდერობის საგნები (ქსოვილები, ტანსაცმელი, ნემსეული, ფეხსაცმელი).

ცხოვრებელსაც (ბინა, სახლი), ხოლო კონვერტირებადი ვალუტის მქონე ქვეყნებში საშინაო ქონების ელემენტებია აგრეთვე ფულადი რესურსები. საკმარისია ითქვას, რომ მათ საშინაო ქონებაში იმ ელემენტების ხვედრითი წილი, რომლებიც ჩვენთან საშინაო ქონებას შეადგენენ, 30%-ს არ აღემატება; დანარჩენი მოდის საცხოვრებებზე (40%) და ფულად რესურსებზე[15]. მაგრამ ამით არ ამოიწურება განსხვავება – ასე მაგალითად, საფრანგეთში, აშშ-ში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში პირადი ქონების ელემენტებად მიიჩნევენ მხოლოდ იმ სამომხმარებლო დანიშნულების საგნებს, რომელთა ექსპლუატაციის ნორმატიული ვადა 3 და მეტი წელია[16]. ე.ი. ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული, თავსაბურავი, ტრიკოტაჟის ნაწარმი, წიგნები, სათამაშოები, და ა.შ. არ შეიტანება საშინაო ქონების კატეგორიაში[17]. იაპონიაში კი რასაც ჩვენ ვაკუთვნებთ პირად ქონებას, საერთოდ არ მიიჩნევენ "ქონებად" – ამოსავალი მზის ქვეყანაში საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის დამახასიათებელი ორი რაოდენობრივი პარამეტრია: ფინანსური აქტივების ბალანსი და საცხოვრებელი ბინის სიდიდე. ხარისხობრივი პარამეტრიც ასევე ორია: ფინანსური აქტივების შეფარდება საშუალო წლიურ შემოსავალთან და საცხოვრებელი ბინის ხარისხი[18]. ჩვენს შესატყ-

---

15 იხ.: АиФ, 1989, № 27.

16 იხ.: Бухвальд Б.Л., Нестеров Л.И. Проблемы воспроизводства общественого богатства, с. 8.

17 დღესდღეობით ამერიკელთა ოჯახური ქონების ის ნაწილი, რომელსაც ისინი არ აკუთვნებენ საშინაო (პირად) ქონებას, ფასდება დაახლოებით 300-350 მლრდ.დოლარად – მათი დაგროვილი ქონების (ხანგრძლივი მოხმარების საგნების სახით) საერთო მოცულობის დაახლოებით 1/10-ად (1960 წელს იგივე მაჩვენებელი შეადგენდა დაახლოებით 20%-ს) – იხ.: Нестеров Л. Американские домохозяйства: 1950–1985 гг. – США: Экономика, политика, идеология. – 1990, № 8, с. 16.

18 Новые формы отношений между трудом и капиталом в условиях структурного кризиса. – М., 1989, с. 41.

ქის საშინაო ქონებას იაპონიაში მხოლოდ სამომხმარებლო დანიშნულების საგნებს უწოდებენ (რომლებსაც ყოფენ ორ ძირითად კლასად, ცხრა ძირითად ჯგუფად და 83 საქონლურ ქვეჯგუფად). სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობის საშინაო ქონების კლასიფიკაცია თავისებურია და გამომდინარეობს ქვეყნის ისტორიული, ეკონომიკური და კულტურული თავისებურებებიდან[19], თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრგან პირადი ქონების ელემენტად საგნის მიჩნევას საფუძვლად უდევს სწორედ მისი გამოყენების ხანგრძლივობა და არა მისი ფუნქციონალური დანიშნულება.

ლიტერატურაში საკმაოდ მრავალფეროვანი ნიშნების მიხედვით ხორციელდება მოსახლეობის საშინაო ქონების კლასიფიკაცია. ასე მაგალითად, ამ პრობლემის მკვლევარი ლ.ნესტეროვი გამოყოფს საშინაო ქონების ორ კლასს: 1. საშინაო მეურნეობის გასაძღოლად საჭირო და ოჯახის წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი საგნები (ბინების გასაწყობი საშუალებანი, სამეურნეო - საყოფაცხ-

---

19 აშშ-ში, სადაც საშინაო ქონება ფაქტიურად მხოლოდ ხანგრძლივი მოხმარების საგნებითაა წარმოდგენილი (Durable goods used by consumers) ასეთი ქონება იყოფა სამ ძირითად კლასად (სატრანსპორტო საშუალებანი, ავეჯი და ბინის მოწყობილობა და სხვა სახეობები) და 11 ძირითად ჯგუფად (მსუბუქი ავტომობილები, სხვა სატრანსპორტო საშუალებანი; ავეჯი და ლეიბები; სამზარეულო მოწყობილობანი და ელექტრონული ხელსაწყოები, ჭურჭელი და სამზარეულო მოწყობილობანი; რადიო, ტელევიზორი და მუსიკალური ინსტრუმენტები; ბინის სხვა მოწყობილობანი, საათები და საიუველირო ნაწარმი; ოპტიკური და სამედიცინო ხელსაწყოები; წიგნები და რუკები, სპორტული საქონელი და დასვენებისათვის საჭირო სხვა საგნები); იაპონიაში გამოყოფენ ხანგრძლივი მოხმარების და საშუალო ხანგრძლივობის საგნებს, რომლებიც ცხრა ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული (ავეჯი და ხალიჩები, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები, სატრანსპორტო საშუალებანი, ხანგრძლივი მოხმარების სხვა საგნები, ზედა ტანსაცმელი, თეთრეული, ჭურჭელი, სამზარეულო მოწყობილობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები). უნგრელი ეკონომისტები საშინაო ქონებაში გამოყოფენ ხუთ ძირითად ჯგუფს (გარდერობის საგნები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები, ბინების მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, საათები და საიუველირო ნაწარმი); პოლონელები - ექვს ჯგუფს (გარდერობის საგნები, ავეჯი და ხალიჩები, საწოლის თეთრეული, ელექტროტექნიკური საგნები და ლითონის ნაწარმი, რადიოელექტრონიკა, სატ-

ივრებო საგნები, გართობის საგნები, ტრანსპორტის ინდივიდუ-ალური საშუალებები) და 2. ოჯახის წევრთა კულტურული დონის ამაღლებისა და მათი სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი საშუალებები (ელექტროაკუსტიკური ნაწარმი, ფოტო, კინოოპტიკა, ზუსტი მექანიკა, კულტსაქონელი, სხვა საგნები[20].

ოჯახში გამოყენების ხასიათის მიხედვით პირადი ქონება შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირობითად ინდივიდუალურ და უპირატესად საერთო ოჯახური სარგებლობის ქონებად. პირველს მიეკუთვნება გარდერობის საგნები (ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ზოგიერთი საქონელი-გალანტერეისა და პარფიუმერიის საგნები, სათამაშოები, ზოგიერთი სპორტული ნივთი და ა.შ.), მეორეს საშინაო ქონების დანარჩენი ელემენტები: ავეჯი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის უმეტესი ნაწილი[21]. პირველი ნაწილის სი-

---

რანსპორტო საშუალებანი და სხვა). ბულგარეთში – 7 პირობით და 19 საგნობრივ ჯგუფს (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და გალანტერეა, ავეჯი და ბინების მოწყობილობანი, სამეურნეო საყოფაცხოვრებო საგნები და ოჯახური შრომის შემამსუბუქებელი საგნები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები, წიგნადი ფონდი, სატრანსპორტო საშუალებანი, საიუველირო ნაწარმი და სამკაულები.

20 იხ.: Нестерюк Л.И. Домашнее имущество в национальной статистике. Вестник статистики, 1965, № 5, с. 47.

21 "ევროსტატის" მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნებისათვის მოსახლეობის საშინაო ქონების შემდეგნაირი კლასიფიკაციაა შემოთავაზებული: ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; ბინების მოწყობილობა (ავეჯი, ხალიჩები, საფეიქრო ნაწარმი, გასართობი საყოფაცხოვრებო მოწყობილობა, სამზარეულო, მაცივრები, საყინულეები, ჭურჭლის სარეცხები; ელექტროკალორიფერები, სხვა გათბობის საშუალებები, კონდიციონერები; საკერავი და საქსოვი მანქანები; მტვერსასრუტები და იატაკების დასუფთავების სხვა საშუალებანი; ჭურჭელი და სამზარეულო მოწყობილობანი (დანის ხელსაწყოები, ყველა სახის ემალის სამზარეულო მოწყობილობანი; საბაღე ინსტრუმენტები და კუთვნილებანი; ელექტრორადიატორები, არმატურა, მავთულები და კაბელი, ბატარეები, გამოსართავები და ა.შ.); ტრანსპორტი და კავშირის საშუალებანი (ავტომობილები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები) დასვენების, გართობის, განათლების და სხვა ანალოგიური დანიშნულების საგნები (რადიომიმღებები, ტელევიზორები, ფირფიტასაკრავები, მაგნიტოფონები და სხვა აკუსტიკური აპარატურა, ფირები, კასეტები; კინოფოტოგრაფიული ტექნიკა, მუსიკალური ინსტრუმენ-

დიდე დამოკიდებულია ოჯახის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე და სხვა თანაბარ პირობებში ოჯახის ზრდის პროპორციულად იზრდება. მეორე ჯგუფის რაოდენობაც იზრდება ოჯახურ ქონებაში, მაგრამ კლებადი პროპორციით (ე.წ. "ერთობლივი მოხმარების ეფექტის" გამო). თუმცა ქონებრივი ზრდის შემთხვევაში საერთო ოჯახური დანიშნულების ზოგიერთი საქონელი შეიძლება თანდათანობით ინდივიდუალური მოხმარების ობიექტად გადაიქცეს (მაგ. ტელევიზორი, საწერი მაგიდა, ავტომობილი და ა.შ.), რამაც შეიძლება გამოიწვიოს ერთობლივი მოხმარების ეკონომიკური ეფექტის თანდათანობითი კლება (აღნიშნული ეფექტის კლების პრობლემას ჩვენ მოგვიანებით დავუბრუნდებით, როდესაც განვიხილავთ საქართველოს მოსახლეობის პირადი ქონების ელემენტებით უზრუნველყოფის საკითხებს). ჩვენი გაანგარიშებით, დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობის საშინაო ქონების 2/5-ზე მეტი მოიხმარება პირითადად ინდივიდუალურად და თითქმის 3/5-ოჯახური ფორმით.

სამომხმარებლო ეფექტის როლის მიხედვით პირადი ქონება შეიძლება დავყოთ "აქტიურ" (საშინაო და პირად დამხმარე მეურნეობაში გამოყენებული ინვენტარი, ელექტრო და მექანიკური ენერგიით მომუშავე ნივთები) და "პასიურ" (პირადი ქონების დანარჩენი ელემენტები) ქონებად. მაგ.; უთო - "აქტიურია"; კაბა - "პასიური"; "აქტიურია" მაცივარი, სარეცხი მანქანა, სამზარეულო კომბაინი, მტვერსასრუტი, საკერავი მანქანა; "პასიურია" გარდერობის საგნები, ავეჯი, საიუველირო ნაწარმი და ა.შ.

მოსახლეობის საშინაო ქონების ელემენტების დაჯგუფება ხდება მეგაფუნქციონალური დანიშნულების მიხედვითაც. მაგ., ქონება

ტები, სპორტსაქონელი); სხვა საქონელი (საიუველირო ნაწარმი, საათები, ბეჭდები, ძვირფასი ქვები, სხვა პირადი ნივთები; საკანცელარიო საქონელი, სალებავები, ფანქრები და ა.შ.).

<u>ოჯახური მეურნეობის გასაძღოლად</u> (ნივთები, რომლებიც საჭიროა საჭმლის მომზადების, საცხოვრებელი ბინის, ნაგებობების დასუფთავებისათვის; ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა სარეცხის დასარეცხად, წასაკერად, ტანსაცმლის, თეთრეულის, და ფეხსაცმლის მოსავლელად, ბავშვების მისახედად და ა.შ.) <u>ქონება, რომელიც აკმაყოფილებს ჩვენს სანახაობით, დასვენებისა და ა.შ. სოციალურ მოთხოვნებს</u> (ტელე და ვიდეოტექნიკა, ფოტოაპარატები, წიგნები, სამოგზაურო და საექსკურსიო ნივთები, სპორტული ინვენტარი, პირადი ტრანსპორტი); <u>საკუთარი თავის მისახედი და წარმოსაჩენი ქონება</u> (ინდივიდუალური ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული, საათები, საიუველირო სამკაულები, პირადი ჰიგიენის ზოგიერთი ნივთი).

მოსახლეობის საშინაო ქონების ელემენტების სტრუქტურიზაცია შეიძლება მათზე დახარჯული შრომის (ღირებულების), დაგროვების და რიგი სხვა ნიშნების მიხედვითაც - რთული კონსტრუქციების და შრომატევადი წარმოების კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქონელი (მაგ., მსუბუქი ავტომობილი, მაცივარი) გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის საზოგადოებრივად აუცილებელ შრომას მოითხოვს, ვიდრე ხანმოკლე ექსპლუატაციის მქონე საქონელი (მაგ., საკანცელარიო ნივთები, სათამაშოები), ალბათ დადგება დრო, როდესაც შესაძლებელი გახდება საშინაო ქონების ელემენტების სისტემატიზაცია მათი საზოგადოების წევრთა ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიხედვით. ასე რომ, არსებობს ფართო სპექტრი შესაძლებლობებისა ასეთი ქონების კლასიფიკაციისათვის, თუმცა აქაც არის საჭირო ზომიერების დაცვა, რათა ამ პროცესს ზედმეტად ფორმალური ხასიათი არ მიეცეს. მაგალითად, ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმათ მოსაზრებას, რომლებიც მოსახლეობის საშინაო ქონებას ყოფენ

ორ ნაწილად, სადაც გამოყოფა მხოლოდ გარდერობი უპირატესად საშუალო ხანგრძლივობის ექსპლუატაციის ვადით და ხანგრძლივი ცვეთის ვადის მქონე საგნები[22]. ჩვენი აზრით, ასეთი დაყოფა არასწორია, რამეთუ მთელი პირადი ქონების მრავალფეროვნება მხოლოდ ორ ჯგუფზე დაიყვანება. მაგრამ არის საშინაო ქონების მთელი რიგი ელემენტები, რომლებიც არც ერთ მათგანს არ მიეკუთვნება – მაგ., სათამაშოები, საკანცელარიო საგნები არ არის არც გარდერობის, არც ხანგრძლივი მოხმარებისა, მაგრამ აუცილებლად შეიტანება პირადი ქონების შემადგენლობაში.

ამრიგად, დღეისათვის საშინაო ქონებაზე არსებული შრომების რაოდენობა საკმაოა იმისათვის, რომ გაგრძელდეს როგორც ასეთი ქონების კლასიფიკაციის სხვა ვარიანტების კონსტრუირება, ისევე უკვე შემოთავაზებულების კრიტიკული გააზრება. მაგრამ მთავარია,თუ როგორ აკმაყოფილებენ ისინი ადამიანთა მოთხოვნილებებს. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს როგორც პირადი ქონების ელემენტების სწორი გამოყენების ცოდნას, ისე ამგვარი ქონების ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფას სამომხმარებლო დანიშნულების დოვლათის დანარჩენ ბლოკებთან (კვების პროდუქტები, საცხოვრებელი). ნებისმიერი ტექნიკური საგნის გამოყენება საჭიროებს მისი ექსპლუატაციის რეჟიმის ცოდნას, რამეთუ შესაბამისმა ფუნქციონალურმა უცოდინრობამ შეიძლება მეტად არასასურველი შედეგები გამოიღოს. ამასთან პირადი ქონების ელემენტები საჭიროებენ არა მარტო მათი ექსპლუატაციის პირობების ცოდნას, არამედ გარკვეულ მზრუნველობას, ყურადღებას, მიმდინარე და ზოგჯერ კაპიტალურ რემონტს მათი საექსპლუატაციო ვადის გასახანგრძლივებლად. ასე რომ, პირადი ქონების

---

22 იხ.: Экономический механизм эффективного использования ресурсов потребления. М., Наука, 1988, с. 92.

ექსპლუატაციის პროცესი მრავალი ძაფითაა დაკავშირებული მომსახურების სფეროსთან, ვაჭრობასთან, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან. ტანდემი "მოხმარებელი-პირადი ქონება" არ წარმოადგენს მხოლოდ ამ განტოლების ორივე მხარეს შორის წარმოქმნილ ურთიერთობას, იგი საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების გამომხატველი ნიშანია და თავის თავში აერთიანებს ამ ურთიერთობების მრავალ მხარეს. პირადი ქონების ექსპლუატაცია გამოხატავს საზოგადოების მიერ მოხმარების საერთო კულტურის დონეს, მისი ხარისხი კი შედის ცხოვრების ხარისხის საერთო კატეგორიაში, რომელიც სახალხო კეთილდღეობის განმსაზღვრელი მაჩვენებელია.

საშინაო ქონება არ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი სამომხმარებლო კომპლექსის დანარჩენი ელემენტების-სურსათისა და საცხოვრებლისაგან; არსებობს გარკვეული პროპორციები კვების ზომას, ბინის სიდიდესა და ხარისხში, ერთი მხრივ, და მოსახლეობის საშინაო ქონების მოცულობას, სტრუქტურასა და დინამიკას შორის, მეორე მხრივ. ამასთან, თუ კვებასა და ბინაზე ხარჯებს შემოსავლების საერთო მოცულობაში გააჩნიათ ზღვრული დონე, რომლის "იქით" ისინი აღარ იზრდება, საშინაო ქონება ფაქტიურად ერთადერთი ელემენტია შემოსავლების მიზნობრივ ხარჯვაში, რომელსაც მუდმივად მზარდი ტენდენცია გააჩნია. შემოსავლების ზრდის კვალობაზე იზრდება არა მარტო მოსახლეობის ქონებრივი "აღჭურვილობა", არამედ დროც მათ ექსპლუატაციაზე, ე.ი. თავისუფალი დრო "რეგლამენტირებული" ხდება ექსპლუატაციის იმ ფორმებითა და მეთოდებით, რომლებიც პირად საკუთრებაში მყოფ საგნებს ახასიათებს. ამრიგად, საზოგადოების წევრთა ქცევა უკვე პროგნოზირებადი, წინასწარგანსაზღვრული ხდება; ეს კი მთელი საზოგადოების ურთიერთობებს, ურ-

თიერთდამოკიდებულებას უფრო ცივილიზებული ჩარჩოებისკენ უბიძგებს.

თუ ამოვალთ იქიდან, რომ თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა, რაც უფრო მეტი ქონება აქვს ადამიანს, მით უფრო შეგნებული აქვს მას თავისი ქცევა და ამ კუთხით მით უფრო თავისუფალია იგი; შესაბამისად, არ შეიძლება რეალურად თავისუფალი იყოს ადამიანი, რომელიც არ ფლობს ქონებას, არ გააჩნია საკუთრება. ამრიგად, მოსახლეობის საშინაო ქონების სიდიდე, სტრუქტურა და დინამიკა უშუალოდ უკავშირდება პიროვნების თავისუფლების, აქედან გამომდინარე – საზოგადოების სტაბილურობის და განვითარების პრობლემებს. ბოლო წლების პრაქტიკამ თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ ბევრი ჩვენი დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემა გაცილებით იოლი გადასაჭრელი იქნებოდა, ჩვენი საზოგადოება და მისი თითოეული წევრი რომ უფრო მდიდარი და მქონებელი ყოფილიყო.

ბოლო წლებში აღინიშნება მოსახლეობის საშინაო ქონების საზღვრების გაფართოების მცდელობა როგორც ფუნქციონალური, ისე მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით. ასე მაგალითად, საბაზრო ურთიერთობების განვითარება და საკუთრების ფორმათა პლურალიზმის დამკვიდრება განაპირობებს პირადი ქონების ელემენტების სულ უფრო მეტი ნაწილის მომსახურების სფეროს ელემენტებად წარმოჩენას. – საკითხი ეხება არა მარტო, მაგალითად, ხანგრძლივი მოხმარების საგნებით (ტელევიზორი, მაცივარი, ავეჯი და ა.შ.) სასტუმროების, უწყებების და ა.შ. აღჭურვას, არამედ მოსახლეობის პირად საკუთრებაში არსებული მოხმარების საგნების გაქირავებას, იჯარით გადაცემას ან ამ საგნებით საზოგადოების დანარჩენი წევრების მომსახურებას. დღეს უკვე ფართოდაა გავრცელებული არა მარტო პირადი მსუბუქი ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანა, არამედ ვიდეომაგ-

ნიტოფონების და კასეტების, ჭურჭლის გაქირავება და ა.შ. ამგვარად, იქ, სადაც სახელმწიფო სექტორი ვერ ახერხებს შესაბამის მომსახურებას, მოსახლეობა "თვითნებურად" ენაცვლება მას. ყოველივე ეს ცნობილი ფაქტებია. მაგრამ ჩვენი კვლევის შედეგად დანახული მოვლენები გვიჩვენებს, რომ ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის საშინაო ქონების ელემენტები სრულიად ახალ თვისებრივ განზომილებას იძენს – ისინი არა მარტო და უკვე არა იმდენად მოხმარების საგნებია, რამდენადაც წარმოების საშუალებები. ასე რომ საბაზრო ურთიერთობების განვითარება განაპირობებს მოხმარების საგნებსა და წარმოების საშუალებებს შორის არსებითი ზღვრის წაშლას წარმოების, განაწილებისა და გაცვლის სფეროებში (განსხვავება რჩება მხოლოდ მოხმარების ნიშნების მიხედვით).

ამრიგად, საბაზრო ურთიერთობების განვითარების პირობებში სამომხმარებლო დანიშნულების საგნების დიდი ნაწილი მოსახლეობის პირად საკუთრებაშია; დანარჩენი ნაწილი წარმოადგენს სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა ფორმის საკუთრებას და გამოიყენება საზოგადოების წევრთა მომსახურებისათვის, ე.ი. ფუნქციონალურად წარმოების საშუალებანია; მცირე, მაგრამ დინამიურად მზარდი ნაწილი, რომელიც მოსახლეობის პირად საკუთრებაში იმყოფება, ისევე გამოიყენება როგორც წარმოების საშუალება. ჩვენი გაანგარიშებით, კვლავწარმოების პროცესში მოსახლეობის დანარჩენი წევრების დასაკმაყოფილებლად გამოყენებული პირადი ქონების ელემენტები მოსახლეობის საშინაო ქონებაში 1990 წლის ბოლოს 8–10 პროცენტს შეადგენდა. მომავალში მომსახურების სფეროს ობიექტების პრივატიზაციის კვალობაზე ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება.

ადამიანის აქტიური ჩარევის შედეგად უშუალოდ ბუნებიდან მო-

სახლების საშინაო ქონებაში სულ უფრო დიდი რაოდენობით ხვდე-
ბა ჩვენი ფლორისა და ფაუნის პროდუქტები, ნივთები, რომლებს-
აც ფაქტიურად არ გაუვლიათ სამრეწველო დამუშავება (ნიჟარები,
ცხოველთა ფიტულები, ტყავი და ა.შ.).

საზოგადოების წევრთა მიახლოვნილების ზრდის კვალობაზე მა-
ტულობს ქონებრივი სტატუსის მატარებელი ხელოვნების ნაწარმოე-
ბების რაოდენობა კერძო კოლექციებში. ისინი არ მიეკუთვნებიან
პირადი ქონების სტატუსის მატარებელ არც ერთ ელემენტს, მაგრამ
სინამდვილეში წარმოადგენენ ქონებას.

ამრიგად, იზრდება სხვაობა საშინაო ქონების კლასიკურ
ცნებაში შესული მატერიალური დოვლათის საერთო ღირებულებასა და
პირადი ქონებისადმი პრაქტიკულად მიკუთვნებული მატერიალური ფა-
სეულობების საერთო მოცულობას შორის. სტატისტიკური თეორიისა და
პრაქტიკის წინაშე მდგარი ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა დაადგი-
ნოს და გაანალიზოს საშინაო ქონების, ასევე ეროვნული სიმდიდრის
ზემოხსენებული "არაფორმალური" ელემენტების რაოდენობრივი პარა-
მეტრები.

## თავი II. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრე 1960-1990 წლებში

### 2.1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურა და დინამიკა

საქართველოს ეროვნული სიმდიდრე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტმა (ყოფილი სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი) პირველად 1988 წლის მდგომარეობით გაიანგარიშა ზემოხსენებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. 1989-1990 წლებში ჩვენ დამოუკიდებლად განვახორციელეთ ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშება 1960-1987 წლების მიხედვითაც, ე.ი. იმ პერიოდისათვის, რომელზეც არსებობდა სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა.

ქვემორე ცხრილი ახასიათებს საქართველოს ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურას რიგი წლების მიხედვით (იხ. ცხრილი 2.1.).

მთლიანად 1961-1990 წლებში საქართველოს ეროვნული სიმდიდრე (შესადარ ფასებში) გაიზარდა 7,6-ჯერ; მათ შორის ძირითადი ფონდები - 5,2-ჯერ (საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდები - 6,1-ჯერ და არასაწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდები - 4,1-ჯერ), მატერიალური საბრუნავი საშუალებები - 13,4-ჯერ და მოსახლეობის საშინაო ქონება - 13,5-ჯერ. მატების საშუალო ტემპები განვლილი ათწლეულების მიხედვით შემდეგნაირი იყო (იხ. ცხრილი 2.2).

მთლიანად განვლილ პერიოდში ეროვნული სიმდიდრის საერთო მატების 38,1% მოდიოდა ძირითად საწარმოო ფონდებზე, 17,1% - ძირითად არასაწარმოო ფონდებზე 22,5% - მატერიალურ საბრუნავ საშუალებებზე, ხოლო 22,3% - მოსახლეობის საშინაო ქონების მატებაზე. როგორც ზემოთმოტანილი მონაცემები ადასტურებს, მოსახლეობის ქო-

ცხრილი 2.1.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრე 1960-1990 წლებში
(ფაქტიური ფასებით; მლრდ. მანეთი)[1]

| | 1960 | 1970 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული სიმდიდრე | 8,6 | 19,0 | 40,9 | 57,3 | 73,3 |
| მათ შორის: | | | | | |
| ძირითადი ფონდები | 6,4 | 12,0 | 25,5 | 34,1 | 42,2 |
| აქედან: | | | | | |
| ძირითადი საწარმოო ფონდები | 3,5 | 7,0 | 16,5 | 22,8 | 27,8 |
| ძირითადი არასაწარმოო ფონდები | 2,9 | 5,0 | 9,0 | 11,3 | 14,4 |
| მატერიალური საბრუნავი საშუალებები | 1,1 | 3,6 | 7,6 | 12,3 | 14,4 |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 1,1 | 3,4 | 7,8 | 10,9 | 16,7 |

1 1966 წლიდან არსებობდა ძირითადი საწარმოო და არასაწარმოო ფონდების დინამიკა; 1960-1964 წლების მონაცემები აღვადგინეთ ექსტრაპოლაციის მიხედვით; მოსახლეობის საშინაო ქონების გაანგარიშება განვახორციელეთ მოსახლეობის ფულადი და რეალური შემოსავლების ბალანსების და საცალო საქონელბრუნვის მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 2.2.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის ზრდის საშუალო ტემპები (შესადარ ფასებში, პროცენტობით)

| | 1961-1970 | 1971-1980 | 1981-1985 | 1986-1990 | მთლიანად 1961-1990 წლებში |
|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული სიმდიდრე სულ | 108,5 | 106,7 | 106,5 | 105,1 | 107,1 |
| მათ შორის: | | | | | |
| ძირითადი ფონდები | 106,3 | 106,05 | 105,6 | 104,2 | 105,2 |
| აქედან: | | | | | |
| ძირითადი საწარმოო ფონდები | 107,0 | 106,75 | 106,05 | 104,0 | 106,4 |
| ძირითადი არასაწარმოო ფონდები | 105,4 | 104,8 | 104,25 | 104,6 | 104,9 |
| მატერიალური საბრუნავი საშუალებანი | 110,9 | 107,85 | 109,7 | 104,9 | 109,15 |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 111,3 | 108,5 | 106,2 | 108,3 | 108,9 |

ნებისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებებისათვის დამახასიათებელია ზრდის რამდენადმე მაღალი ტემპი ეროვნული სიმდიდრის ზრდასთან შედარებით, რის გამოც გაიზარდა მათი ხვედრითი წილი ამ უკანასკნელის მოცულობაში, შესაბამისად 1960 წლის 8,7 და 8,6%-დან 1990 წლის 22,8% და 19,7%-მდე. აღნიშნულ პერიოდში შემცირდა ძირითადი საწარმოო ფონდების ხვედრითი წილი 47%-დან 38,0%-მდე და არასაწარმოო ძირითადი ფონდების ხვედრითი წილი 35,7%-დან 19,7%-მდე. ეროვნული სიმდიდრის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის დასაკმაყოფილებლად (ძირითადი არასაწარმოო ფონდები, მოსახლეობის საშინაო ქონება) ეროვნული სიმდიდრის საერთო მოცულობაში შემცირდა – 1960 წლის 44,4%-დან 1990 წლის 42,4%-მდე; შესაბამისად გაიზარდა ძირითადი საწარმოო ფონდებისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების ჯამის ხვედრითი წილი – 56,6%-დან 57,6%-მდე. მოტანილი მონაცემები ნათლად ადასტურებს, რომ მიუხედავად მოსახლეობის საშინაო ქონების ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდისა, აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა, ისევე როგორც მთლიანად მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიკა, საკუთარ კვლავწარმოებაზე მუშაობდა, ეფექტი კი, სოციალური სფეროს განვითარების თვალსაზრისით, მინიმალური იყო.

დავუბრუნდეთ ეროვნული სიმდიდრის წარმოქმნის ანალიზს. ეროვნული სიმდიდრე ყალიბდება წარმოებული და მოხმარებული დოვლათის მოცულობათა სხვაობების ხარჯზე. ამასთან, მისი მოცულობის სიდიდე დამოკიდებულია როგორც მოხმარების, ისე დაგროვების ფონდზეც. დაგროვების ფონდის ხარჯზე ყალიბდება ძირითადი ფონდებისა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების მატება, მოხმარების ფონდის ხარჯზე კი – მოსახლეობის საშინაო ქონების მატება. ქვემოთ ცხრი-

ცხრილი 2.3.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრისა და მისი ელემენტების თანაფარდობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებთან

(შესადარ ფასებში, პროცენტობით)

| | 1960 | 1970 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული სიმდიდრის თანაფარდობა: | | | | | |
| ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტთან | 236,4 | 257,2 | 248,9 | 280,0 | 334,1 |
| ეროვნულ შემოსავალთან | 478,0 | 547,7 | 545,5 | 591,6 | 778,8 |
| გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალთან | | 506,1 | 543,6 | 608,9 | 717,8 |
| ძირითადი ფონდების წლიური მატების თანაფარდობა დაგროვების ფონდთან | | 76,9 | 64,7 | 68,2 | 56,0 |
| მატერიალური საბრუნავი საშუალებების წლიური მატების თანაფარდობა დაგროვების ფონდთან | | 32,3 | 33,1 | 39,8 | 64,8 |
| მოსახლეობის საშინაო ქონების წლიური მატების თანაფარდობა მოხმარების ფონდთან | | 11,5 | 9,2 | 9,7 | 17,0 |

ლი ახასიათებს საქართველოს ეროვნული სიმდიდრისა და მისი ელე-
მენტების თანაფარდობას სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებ-
თან მიმართებაში.

ცხრილში მოტანილი თანაფარდობა ეროვნულ სიმდიდრესა და და-
ნარჩენ ეკონომიკურ კატეგორიებს შორის მარტო რაოდენობრივი კი არ
არის, არამედ ღრმა მიზეზ-შედეგობრივიც, ეროვნული შემოსავლისა
და მისი ფონდების მატება იწვევს ეროვნული სიმდიდრისა და მისი
შემადგენელი ელემენტების ზრდას. შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე
ეს ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში საზოგადოე-
ბის წევრთა, ცალკეული ოჯახების კეთილდღეობის და სიმდიდრის ინ-
დიკატორული მაჩვენებელიც არის.[2]

ეროვნული სიმდიდრე მატერიალურ-ნივთიერი ფორმის მქონე საგ-
ნების ერთობლიობაა, ამიტომ ამ კუთხით არსებითი მნიშვნელობა
აქვს მისი ამორტიზაციის ხანგრძლივობის საშუალო ვადის განსაზღ-
ვრას.

ერთი შეხედვით, ეროვნული სიმდიდრის ამორტიზაციის საშუალო
ხანგრძლივობის განსაზღვრა მოკლებულია პრაქტიკულ-გამოყენებით
ღირებულებას - მისი ელემენტები ხომ თავიანთი ფუნქციონალური ფორ-
მით, დანიშნულებით, კვლავწარმოების პერიოდით პრინციპულად გან-
სხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამის გამო ლაპარაკი ძირითადი ფონ-
დების, მატერიალური საბრუნავი საშუალებების და მოსახლეობის
საშინაო ქონების ერთობლიობაზე მათი გაშუალებული ამორტიზაციის
მიხედვით შეიძლება მხოლოდ ფორმალურად, მათი ღირებულებით და
არა ნატურალურ-ნივთიერი ერთობლიობის ამორტიზაციის საშუალო ხან-

2 Национальный доход и национальное богатство-это не какие-то возвышенные коллективистские категории и не таинственные экономические понятия... Накапливая богатства, вы способствуете росту богатства нации... Национальное благосостояние не что иное, как сумма благосостояний всех индивидуумов" - Корнаи Янош. Путь к свободной экономике. М., Экономика, 1990, сс. 119-120.

გრძლივობით. მაგრამ ამ მაჩვენებელს აქვს წმინდა გამოყენებითი მნიშვნელობაც. იგი საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ ერთეული სიმძლავრის ღირებულებითი ფორმით განახლების ხანგრძლივობაზე, რაც უშუალო კავშირშია გაფართოებული კვლავწარმოების მოცულობასთან. ამასთან, თუკი ძირითად საწარმოო და არასაწარმოო ფონდებს, აგრეთვე მოსახლეობის ქონების ელემენტებს გააჩნიათ ცვეთის (ამორტიზაციის) როგორც ნორმატიული, ისე ფაქტიური ვადები, ამას ვერ ვიტყვით მატერიალურ საბრუნავ საშუალებებზე, რომლებიც წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს, ფორმას წარმოების პროცესში ჩართული მატერიალური საშუალებებიდან კონკრეტული სახმარი ღირებულების მატარებელ საგნებამდე, ამიტომ მათ მიმართ "ამორტიზაციის" ცნების მიყენება, ერთი შეხედვით, ალოგიკურია. ამ კუთხით ერთეული სიმძლავრის ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობის განსაზღვრა უნდა მოხდეს მხოლოდ ძირითადი ფონდებისა და მოსახლეობის საშინაო ქონების ამორტიზაციის გათვალისწინებით.

მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მატერიალური საბრუნავი საშუალებები წარმოადგენს ერთეული სიმძლავრის შემადგენელ ორგანულ ნაწილს, რომ მათი სიდიდე, შემადგენლობა და დინამიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელი ერთეული სიმძლავრის მოცულობაზე, სტრუქტურაზე და დინამიკაზე, ამიტომ მათი (მატერიალური საბრუნავი საშუალებების) გაუთვალისწინებლობაც არ შეიძლება ერთეული სიმძლავრის ამორტიზაციის განსაზღვრისას. ამიტომ შეიძლება მატერიალური საბრუნავი საშუალებების "ამორტიზაციის" საშუალო ხანგრძლივობად პირობითად აღებულ იქნეს 1 წელი, თუმცა მისი ელემენტების "ამორტიზაციის" ვადა შეიძლება ან მეტი იყოს (მაგ., დაუმთავრებელი მშენებლობა) ან ნაკლები

(მაგ., საქონელი გზაში).

ამრიგად ეროვნული სიმდიდრის ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობა შეიძლება გაანგარიშებული იქნეს სიმდიდრეში მატერიალური საბრუნავი საშუალებების როგორც ჩართვით, ისე მათ გარეშეც (იხ. ცხრილი 2.4.).

როგორც მოტანილი მონაცემები ადასტურებს, ძირითადი საწარმოო ფონდებისათვის დამახასიათებელია ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობის შემცირების, ხოლო ძირითადი არასაწარმოო ფონდებისათვის და მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონებისათვის–ზრდის ტენდენცია. 1990 წელს საქართველოს ეროვნული სიმდიდრის ამორტიზაციამ (მატერიალური საბრუნავი საშუალებების გარეშე) შეადგინა 4,9 მლრდ.მანეთი-იმდენი, რამდენიც იყო, მაგალითად, რესპუბლიკის მთელი ძირითადი საწარმოო ფონდები 1965 წელს.

ამორტიზაციასთანაა დაკავშირებული ეროვნული სიმდიდრის სრული (საბალანსო) და ნარჩენი ღირებულებით შეფასება[3]. 1990 წლის ბოლოს ეროვნული სიმდიდრის ნარჩენი ღირებულება მის პირვანდელ ღირებულებასთან შედარებით შეადგენდა 76,5 პროცენტს, მათ შორის ძირითადი საწარმოო ფონდების მიხედვით – 69,5%-ს, ძირითადი არასაწარმოო ფონდების მიხედვით – 74,3%-ს, მოსახლეობის საშინაო ქონების მიხედვით – 70,1%-ს.

ეროვნული სიმდიდრის, როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების პირობის განხილვა შეიძლება კვლავწარმოების პროცესთან უშუალო მიმართებაში. ამ უკანასკნელ ასპექტში განხილული ეროვნული სიმდიდრე უშუალოდ მონაწილეობს

---

3 ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინოლოგიით, სრული საბალანსო ღირებულებით გაანგარიშებულ ეროვნულ სიმდიდრეს "საერთო ეროვნული სიმდიდრე" ეწოდება, ნარჩენი ღირებულებით გაანგარიშებულს კი – "წმინდა ეროვნული სიმდიდრე". – იხ.: Кириченко В.Н. Национальное богатство СССР. М.; Соцэкгиз, с. 71.

ცხრილი 2.4.

### საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობა
(წლებში)

| | 1960 | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული სიმდიდრე - სულ[x] | $\frac{4,72}{10,48}$ | $\frac{3,42}{7,75}$ | $\frac{3,70}{8,33}$ | $\frac{3,47}{8,58}$ | $\frac{3,29}{8,78}$ | $\frac{3,80}{12,07}$ |
| მათ შორის: | | | | | | |
| ძირითადი ფონდები | 21,5 | 21,24 | 21,75 | 21,37 | 21,0 | 19,1 |
| აქედან: | | | | | | |
| ძირითადი საწარმოო ფონდები | 19,8 | 19,68 | 19,42 | 19,14 | 18,60 | 16,7 |
| ძირითადი არასაწარმოო ფონდები | 23,6 | 13,93 | 27,17 | 28,14 | 26,41 | 26,36 |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 2,72 | 2,96 | 4,53 | 5.53 | 5,82 | 6,25 |

[x] მრიცხველში–ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობა მატერიალური საბრუნავი საშუალებების ჩათვლით, მნიშვნელში - მათ გარეშე.

(ძირითადი არასაწარმოო ფონდები, მოსახლეობის საშინაო ქონება) საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოებაში, რის გამოც მთელი ეროვნული სიმდიდრე შეიძლება დაყოფილ იქნას საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ეროვნულ სიმდიდრედ, ანუ საწარმოო და არასაწარმოო ფონდებად.

ეროვნული სიმდიდრის ასეთ (საწარმოო და არასაწარმოო ფონდებად) დაყოფას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი სიმდიდრის დაყოფა კაპიტალად და მოხმარების ფონდებად თუმცა საბჭოურ სინამდვილეში კაპიტალის უგულებელყოფის გამო საჭირო გახდა "ალტერნატიული" კატეგორიების შემოტანა. კერძოდ, ეროვნული სიმდიდრის ასეთი დაყოფა პირველად შემოგვთავაზა მოსკოველმა მკვლევარმა ვ.ნ.კირიჩენკომ[4]. აღნიშნული კლასიფიკაციით, არასაწარმოო სფეროს მიეკუთვნება არა მარტო მოხმარების სფეროს საგნები, არამედ ისიც, რომელიც წარმოებაში კი აღარ იმყოფება, არამედ მიმოქცევაში (განაწილება, გაცვლა) და მოხმარების სფეროში გადადის. ამისდა შესაბამისად, მოხმარების საგნები ვაჭრობაში, საქონელი გზაში მიეკუთვნება არასაწარმოო სფეროს. სიმდიდრის ასეთი საწარმოო და არასაწარმოო ფონდებად დაყოფისას გარკვეულწილად აბსტრაგირება უნდა მოვახდინოთ სამხედრო, თავდაცვითი დანიშნულების საგნების რომელიმე მათგანისადმი მიკუთვნებაზე.[5]

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეროვნული სიმდიდრის საწარმოო და არასაწარმოო ფონდებს შორის თანაფარდობა რესპუბლიკაში ასეთია:

- - - - - - - - - - - - - -

4 იხ. ვ.კირიჩენკოს დასახელებული ნაშრომი.

5 ჩვენთან მოქმედი მეთოდოლოგიით სამხედრო დანიშნულების პროდუქცია არ ხვდება ეროვნულ სიმდიდრეში, თუმცა მათი ექსპლუატაციის შესაძლო ხანგრძლივობის და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით შეიარაღება, მათი მოსამზადებელი და გამშვები კომპლექსები შეიძლება მიეკუთვნოს ძირითად (საწარმოო) ფონდებს, "ტყვია-წამალი" - მატერიალურ-საბრუნავ საშუალებებს.

ცხრილი 2.5.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურა (წლის ბოლოს, ფაქტიური ფასებით, სრული პირვანდელი ღირებულებით, პროცენტებით)

| | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული სიმდიდრე - სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| მ. შ. შორის: | | | | | |
| საწარმოო ფონდი | 53,1 | 55,5 | 56,8 | 59,0 | 57,2 |
| არასაწარმოო ფონდი | 46,9 | 44,5 | 43,2 | 41,0 | 42,8 |

როგორც მოტანილი მონაცემები ადასტურებს, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეიმჩნეოდა საწარმოო ფონდების შედარებით სწრაფი ზრდა, მისი ხვედრითი წილის ამაღლება ეროვნული სიმდიდრის საერთო მოცულობაში. 1985 წელს 1970 წელთან შედარებით საწარმოო ფონდების ზრდის საშუალო წლიური ტემპი შეადგენდა 107,4 პროცენტს, არასაწარმოო ფონდებისა 105,3 პროცენტს. ბოლო წლების განმავლობაში (1990 წელს 1985 წელთან შედარებით) შესაბამისად 103,9% და 105,5%. ანალოგიურ ტენდენციებს ჰქონდა ადგილი მთლიანად ყოფილ სსრკ-ში, სადაც მარტო 1971-1983 წლებში სიმდიდრის საწარმოო ფონდების ხვედრითი წილი გაიზარდა 53,9%-დან 56,0%-მდე[6], რაც ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა ხარჯვითი სამეურნეო მექანიზმის მქონე ეკონომიკისათვის. საპირისპიროდ, მაგალითად, აშშ-ში ჯერ კიდევ 50-იანი წლების ბოლოს თანაფარდობა საწარმოო და არასაწარმოო ფონდებს შორის იყო 50:50, და ამის შემდეგ სამომხმარებლო დანიშნულების სიმდიდრე კიდევ უფრო ინტენსიურად გაიზარდა.

---

6 Сидорович А.В. Национальное богатство при социализме, с. 162.

ეროვნული სიმდიდრის დაყოფა, რა თქმა უნდა, შეიძლება არამარტო დანიშნულებისა და ფაქტიური გამოყენების ნიშნის მიხედვით (საწარმოო, არასაწარმოო ფონდები), არამედ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის სფეროების, საკუთრების ფორმებისა და რეგიონების მიხედვით[7], დღეს ჩვენს ხელთ არსებული მეთოდოლოგია მათი გაანგარიშების საშუალებას იძლევა.

ეროვნული სიმდიდრის კვლავწარმოების სფეროების მიხედვით განხილვისას შეიძლება მისი დაყოფა წარმოების, მიმოქცევისა და მოხმარების სფეროების ფონდებად.

ეროვნული სიმდიდრის საწარმოო ფონდისაგან განსხვავებით წარმოების ფონდი მოიცავს საწარმოო ფონდის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც იმყოფება მატერიალურ-ნივთიერი ფორმის, კონკრეტული სახმარი ღირებულების მატარებელი დოვლათის შემქმნელ დარგებში (მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის ძირითად და საბრუნავ საწარმოო ფონდებში, აგრეთვე შესაბამისი მარაგები).

ეროვნული სიმდიდრის მიმოქცევის სფეროს ფონდში შედიან ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, დამზადებისა და ვაჭრობის ძირითადი ფონდები და მატერიალური საბრუნავი საშუალებები.

ეროვნული სიმდიდრის მოხმარების სფეროს ფონდს მიეკუთვნება მოსახლეობის საშინაო ქონება, აგრეთვე, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და არასაწარმოო სფეროს ზოგიერთი დარგის ძირ-

---

7 ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ელემენტების დაყოფა ხდება უფრო კონკრეტული ნიშნების მიხედვითაც. მაგ., ძირითადი ფონდების-დარგებისა და წარმოქმნის წყაროების მიხედვით, საშინაო (პირადი) ქონების-სოციალური ჯგუფების მიხედვით. აშშ-ში ეროვნული სიმდიდრისა და საშინაო ქონების დაჯგუფებას უკვე ახორციელებენ ეთნიკური ჯგუფების, სქესის, ასაკისა და ოჯახური პრინციპის მიხედვითაც.

თადი ფონდები და მატერიალური საბრუნავი საშუალებები (იხ. სქემა, 1990 წლის ბოლოს საქართველოს მთელი ეროვნული სიმდიდრის 46,2% მოდიოდა წარმოების სფეროს ფონდის ხარჯზე, 11,4% - მიმოქცევის სფეროს ფონდზე და 42,4% - მოხმარების სფეროს ფონდზე.

ეროვნული სიმდიდრის დაყოფა შეიძლება საკუთრების ფორმათა მიხედვითაც. ბოლო დრომდე, სანამ წარმოების ძირითადი საშუალებები სახელმწიფოს ხელში იყო, მოსახლეობის საკუთრების 4/6-ზე მეტი შემოიფარგლებოდა მათი საშინაო ქონებით, ხოლო პირადი (კერძო) საკუთრების ხვედრითი წილი საქართველოს ეროვნული სიმდიდრის საერთო მოცულობაში არ აღემატებოდა 1/4-ს. შედარებისათვის: აშშ-ში მოსახლეობის კერძო საკუთრებაშია ეროვნული სიმდიდრის 80% (თუმცა აღნიშნული მოცულობის ნახევარი სააქციო საზოგადოების წევრთა აქციებზე მოდის) და ეს მაჩვენებელი 1926 წლის შემდეგ არასდროს დაშვებულა 77%-ზე დაბლა, ცალკეულ წლებში 88-89 პროცენტსაც კი აღწევდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ძირითადი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილის განსახელმწიფოებრიობისა და საკუთრების ფორმების სრული პლურალიზმის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვლება ის სტრუქტურა, რომელიც 2.6. ცხრილშია მოცემული.

საქართველოს სრული და რეალური ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტისაკენ სვლის პირობებში იზრდება აგრეთვე ეროვნული სიმდიდრის ანალიზის მნიშვნელობა საკუთრების სუბიექტთა მიხედვით. ასეთებად შეიძლება მოგვევლინონ, როგორც ცნობილია, იურიდიული და ფიზიკური პირები. საქართველოს მოქალაქის სტატუსის მიღების შემდეგ დღის წესრიგში დადგება მთლიანი სიმდიდრის და მოსახლეობის საშინაო ქონების აღნიშნული ნიშნის მიხედვით სტრუქტურიზაცია.

## ეროვნული სიმდიდრის ელემენტების სტრუქტურიზაცია

| ეროვნული სიმდიდრის ელემენტები | მიეკუთვნებიან: საწარმოო (1) ან არასაწარმოო (2) ფონდს | მიეკუთვნებიან: წარმოების სფეროს (1), მიმოქცევის სფეროს (2), ან მომსახურების სფეროს (3) ფონდს |
|---|---|---|
| მრეწველობის ძირითადი ფონდები | 1 | 1 |
| სოფლის მეურნეობის ძირითადი ფონდები | 1 | 1 |
| მშენებლობის ძირითადი ფონდები | 1 | 1 |
| ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ძირითადი ფონდები | 1 | 2 |
| მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ძირითადი ფონდები | 1 | 2 |
| დამზადების ძირითადი ფონდები | 1 | 2 |
| ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ძირითადი ფონდები | 1 | 2 |
| ნორმირებული მატერიალური საბრუნავი საშუალებები | 1 | 1 |
| დაუსრულებელი მშენებლობა | 1 | 1 |
| დაუმთავრებელი კაპრემონტი | 1 | 1 |
| სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგები მწარმოებელ მეურნეობებში | 1 | 1 |
| დაუსრულებელი სასოფლო-სამეურნეო წარმოება | 1 | 1 |
| საქონელი გზაში | 2 | 2 |
| ძირითადი არასაწარმოო ფონდები | 2 | 3 |
| ღვინის მარაგი | 2 | 3 |
| ზეთის მარაგი | 2 | 3 |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 2 | 3 |

ცხრილი 2.6.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის სოციალური სტრუქტურა 1990 წლის ბოლოს (ფაქტიური ფასებით; სრული პირვანდელი ღირებულებით; პროცენტობით)

| | სულ | მათ შორის | | |
|---|---|---|---|---|
| | | სახელმწიფო საკუთრება | კოოპერაციული საკუთრება | პირადი საკუთრება |
| ეროვნული სიმდიდრე-სულ | 100 | 100 | 100 | 100 |
| მათ შორის: | | | | |
| ძირითადი ფონდები | 57,6 | 75,3 | 56,5 | 17,2 |
| აქედან: | | | | |
| ძირითადი საწარმოო ფონდები | 38,0 | 52,7 | 40,3 | 5,2 |
| ძირითადი არასაწარმოო ფონდები | 19,6 | 23,6 | 16,2 | 12,0 |
| მატერიალური საბრუნავი საშუალებები | 19,7 | 23,7 | 43,5 | 3,4 |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 22,8 | - | 0 | 79,4 |
| ეროვნული სიმდიდრე-სულ | 100 | 62,3 | 9,0 | 28,7 |
| მათ შორის: | | | | |
| ძირითადი ფონდები | 100 | 82,6 | 8,9 | 8,5 |
| აქედან: | | | | |
| ძირითადი საწარმოო ფონდები | 100 | 86,4 | 9,6 | 4,0 |
| ძირითადი არასაწარმოო ფონდები | 100 | 75,0 | 7,5 | 17,5 |
| მატერიალური საბრუნავი საშუალებები | 100 | 75 | 20 | 5 |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 100 | - | - | 100 |

## 2.2. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საშინაო ქონების მაჩვენებლები

მოსახლეობის საშინაო ქონება საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის ინდიკატორულ მაჩვენებლად რიგს მიეკუთვნება; მის სიდიდეზე და დინამიკაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი. ამასთან, რადგანაც აღნიშნულ კატეგორიას უშუალოდ განვიხილავთ ეროვნულ სიმდიდრესთან კონტექსტში, ქვემორე წასალაც სწორედ ამ კუთხით იქნება მოწოდებული, თუმცა კეთილდღეობის უზრუნველყოფის რაოდენობრივ პარამეტრებზე, ოჯახების ხანგრძლივი მოხმარების საგნებით აღჭურვაზე და მოხმარების რაციონალურ ნორმატივებთან თანაფარდობაზეც იქნება ლაპარაკი.

1990 წლის ბოლოს საქართველოს მოსახლეობის საშინაო ქონების მოცულობამ შეადგინა 16688,2 მლნ.მანეთი (ფაქტიურ ფასებში, სრული პირვანდელი ღირებულებით), ანუ 1 სულზე გაანგარიშებით დაახლოებით 3,0 ათასი მანეთი. 1960 წელთან შედარებით იგი გაიზარდა შესაბამისად 12,2-ჯერ და 9,1-ჯერ. განვლილი პერიოდი ხასიათდებოდა მოსახლეობის საშინაო ქონების უფრო სწრაფი ზრდით მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სიმდიდრის საერთო მოცულობასთან შედარებით, რის გამოც საშინაო ქონების ხვედრითი წილი მოსახლეობის საკუთრების საერთო მოცულობაში მარტო ბოლო ოცი წლის განმავლობაში გაიზარდა 60,9%-დან 82,2%-მდე (იხ. ცხრილი 2.7).

მოსახლეობის საშინაო ქონების ხვედრითი წილის ასეთი ზრდა პირადი საკუთრების საერთო მოცულობაში განპირობებული იყო იმითაც, რომ აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საცალო საქონელბრუნვაში იმ საქონლის მოცულობა, რომელიც უშუალოდ აყალიბებდა ასეთ ქონებას (არასასურსათო საქონელი პარფიუმერიის,

ცხრილი 2.7.

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის პირადი საკუთრების სტრუქტურა
(წლის ბოლოს, ფაქტიური ფასებით, პროცენტობით)

| | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის პირადი საკუთრება - სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| მათ შორის: | | | | | |
| ძირითადი საწარმოო ფონდები | 8,5 | 7,6 | 8,0 | 7,1 | 5,4 |
| აქედან: | | | | | |
| მრავალწლიანი ნარგავები | 4,4 | 3,5 | 3,8 | 2,6 | 1,6 |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | 2,8 | 3,1 | 3,3 | 3,9 | 3,4 |
| სამეურნეო ნაგებობები | 1,3 | 1,0 | 0,8 | 0,6 | 0,4 |
| არასაწარმოო დანიშნულების პირადი საკუთრება | 91,5 | 92,4 | 92,0 | 92,9 | 94,6 |
| აქედან: | | | | | |
| ძირითადი არასაწარმოო ფონდები (საცხოვრებელი ფონდები) | 30,6 | 23,9 | 18,7 | 15,2 | 12,4 |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 60,9 | 68,5 | 73,3 | 77,7 | 82,2 |

სარეცხი საშუალებების, საპნის, ასანთის, თამბაქოს, სამშენებლო მასალებისა და ზოგიერთი სხვა არასასურსათო საქონლის გარეშე) - 1970 წლის 71,2%-დან 1990 წლის 83%-მდე; მოსახლეობის საშინაო ქონების ყოველწლიური აბსოლუტური მატების საშუალო მაჩვენებელი 1990-იანი წლების დასაწყისში 2,1-ჯერ აღემატებოდა 1970-იანი წლების დასაწყისის შესაბამის მაჩვენებელს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქონელბრუნვის მატების ყოველ 1%-ზე მოდიოდა საშინაო ქონების 1,7% მატება. ამის გამო, თუ ამ მაჩვენებლებს შორის თანაფარდობა (საშინაო ქონება: :საცალო საქონელბრუნვაზე) 1970 წელს შეადგენდა 146,9%-ს, 1980 წელს - 171,4%-ს, 1990 წელს კი უკვე 196,3% გახდა. ყველაზე სწრაფად გაიზარდა პირადი ქონება სატრანსპორტო საშუალებებში: 1990 წელს 1970 წელთან შედარებით ზრდის ტემპმა შეადგინა 1460%. გარდერობის საგნების მიხედვით ზრდის ტემპი, პირიქით, ყველაზე დაბალი იყო - 208%; საშინაო მოწყობილობის მიხედვით იგი შეადგენდა 673%-ს, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საგნების მიხედვით - 406%-ს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების მიხედვით - 451%. აღნიშნულმა არათანაბარმა დინამიკამ გამოიწვია მოსახლეობის საშინაო ქონების სტრუქტურის მნიშვნელოვანი შეცვლა (იხ. ცხრილი 2.8.).

ღირებულებითი ფორმით საქართველოს მოსახლეობის საშინაო ქონება ორმაგდება (შესადარ ფასებში) 8-9 წელიწადში. თავისთავად ეს ვერ ასახავს მოსახლეობის საერთო კეთილდღეობის დონეს - აქ მხედველობაშია მისაღები "ათვლის წერტილის" დონე, თუმცა ამ ზრდის ინტენსიურ ხასიათზე კი მიუთითებს. შედარებისათვის: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელთა საშინაო ქონება სტაბილურად ორმაგდება 13-14 წელიწადში (1989 წლის ქონების ნახევარი ამე-

ცხრილი 2.8.

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საშინაო ქონების სტრუქტურა*
(წლის ბოლოს, სრული პირვანდელი ღირებულებით, ფაქტიური ფასებით, პროცენტებით)

| | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის საშინაო(პირადი) ქონება – სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| მათ შორის: | | | | | |
| გარდერობის საგნები | 47,5 | 38,5 | 32,0 | 27,1 | 21,9 |
| საბინაო გარემოს საგნები | 14,1 | 16,1 | 16,7 | 17,2 | 16,9 |
| სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საგნები | 12,8 | 14,0 | 12,7 | 12,1 | 10,9 |
| კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნები | 25,0 | 26,9 | 29,2 | 29,6 | 25,6 |
| სატრანსპორტო საშუალებანი | 0,6 | 4,6 | 9,3 | 14,0 | 17,4 |
| საშინაო ქონების დანარჩენი ელემენტები | - | - | - | - | 7,3 |

* 1985 და წინა წლების მიხედვით მოსახლეობის საშინაო ქონების სტრუქტურა რამდენადმე განსხვავებულია მომდევნო პერიოდის სტრუქტურიზაციისაგან, რამდენადაც იმ დროს ფაქტობრივად მოსახლეობას არ გააჩნდა ისეთი სახის საგნები, როგორიცაა ვიდეოტექნიკა, პერსონალური კომპიუტერები და ზოგიერთი სხვა, რომლებიც, ამჟამად მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით "დანარჩენი სახის პირად ქონებაში" შეიტანება.

რიკელებს ჰქონდათ 1976 წელს, იმ წლის ნახევარი – 1962 წელს, შემდეგ – 1949 წელს...)[8], დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის საშინაო ქონების მოცულობა – 18 წელიწადში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია აღნიშნული მაჩვენებლის გაორმაგების შედარებით ხანმოკლე პერიოდი – ბულგარეთში, პოლონეთში, რუმინეთში მოსახლეობის საშინაო ქონების გაორმაგებას სჭირდებოდა 7 წელი, უნგრეთში – 10.[9]

საშინაო ქონების ყველა ელემენტს გააჩნია თავისი ექსპლუატაციის ნორმატიული ვადა; სწორედ ეს ედება საფუძვლად ამ ქონების გაანგარიშებას. ეს ვადები სხვადასხვაა და მერყეობს 1 წლიდან (წინდები, ქაღალდი, საკანცელარიო საქონელი, სათამაშოები) 20 წლამდე (ავეჯი, საწოლები, ხალიჩები, საკერავი მანქანები); საიუველირო ნაწარმის ექსპლუატაციის ვადა განუსაზღვრელია. ამ ნორმატიულ ვადებზეა დამოკიდებული მოსახლეობის პირადი ქონების საშუალო ასაკობრივი სტრუქტურა, ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლიობა და თანაფარდობა პირვანდელ და ნარჩენ ღირებულებათა შორის (იხ. ცხრილი 2.9.).

ბოლო წლებში გრძელვადიანი მოხმარების საგნების და საიუველირო ნაწარმის ხვედრითი წილის ზრდა საშინაო ქონებაში განაპირობა არა მარტო შემოსავლების ზრდამ, არამედ პროპორციების დარღვევამ მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და საქონელბრუნვის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოებისა და რეალიზაციის ზრდის ტემპებს შორის. გაიზარდა მოსახლეობის მიერ საქონლის, განსაკუ-

- - - - - - - - - - -

8 Survey of Current Business. October 1990, Volume 70, number 10, p. 32.

9 Нестеров Л.И. Домашнее имущество в национальном богатстве, с. 53.

ცხრილი 2.9.

საქართველოს მოსახლეობის საბინაო ქონების ასაკობრივი სტრუქტურა (სრული პირვანდელი ღირებულებით, ფაქტიური ფასებით, პროცენტობით)

| | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის საბინაო ქონება | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| მათ შ.,ბის ექსპლუატაციის ხანგრძლივობა (წლების მიხედვით) | | | | | |
| 1 წელი | 2,8 | 2,3 | 1,8 | 1,4 | 0,9 |
| 2 წელი | 27,3 | 21,5 | 16,3 | 15,5 | 9,8 |
| 3 წელი | 8,5 | 2,7 | 4,3 | 1,8 | 1,5 |
| 4 წელი | 4,1 | 3,0 | 3,2 | 1,4 | 8,8 |
| 5 წელი | 19,1 | 17,5 | 14,5 | 14,4 | 13,5 |
| 8 წელი | 0,6 | 0,7 | 0,1 | 0,4 | 0,6 |
| 10 წელი | 20,5 | 26,8 | 24,1 | 22,7 | 18,2 |
| 15 წელი | 1,8 | 5,8 | 10,4 | 15,[illegible] | 18,[illegible] |
| 20 წელი | 14,1 | 16,1 | 16,2 | 17,3 | 17,2 |
| უვადო | 1,7 | 4,0 | 7,8 | 10,1 | 11,4 |

თრებით არაპირკვლადი მოხმარების, ფუფუნების საგნების[10] შეძენა ტეზავრაციის მიზნით და ეს მაჩვენებელი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მაღალშემოსავლიანია ოჯახი. თვით ოჯახების სასურსათო მარაგიც, საცალო ქსელით მოსახლეობის მომარაგების ერთგვარი გაკოტრების პირობებშიც, 1991 წლის დასაწყისში უფრო მეტი იყო, ვიდრე

[10] ქრონიკული კამომხმარებლო დეფიციტის გამო "პრესტიჟული" და ფუფუნების საგნების რიგს მიეკუთვნება ისეთი საქონელიც, რომელიც აუცილებელია საზოგადოების განვითარების თანამედროვე დონისათვის, ნამდვილი მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებისათვის. ასე მაგალითად, თანამედროვე ტანსაცმელი, სამზარეულო გარნიტური, მსუბუქი ავტომობილი და სხვა მიკუთვნებულია ასეთი ქონებისადმი, რაც სამართლიანია ფორმალური ლოგიკის, კონკრეტული პირობების მიხედვით და არა ამ საგნების ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე.

ორი წლის წინ (ოჯახების ბიუჯეტების სტატისტიკის მიხედვით) დაახლოებით 1,3-ჯერ. თითოეულ ოჯახზე მოდიოდა 0,4 ათასი მანეთის სასურსათო პროდუქტების მარაგი, ხოლო მოსახლეობის განკარგულებაში არსებული სასაქონლო (სარეალიზაციო გათვალისწინებით) მარაგის ჩათვლით - 0,9 ათასი მანეთის სურსათი.

რაც შეეხება პირადი ქონების ელემენტების ექსპლუატაციის ხანგრძლივობას ღირებულებით სიდიდესთან მიმართებაში, აქ მათზეა დამოკიდებული ნარჩენი და პირვანდელი ღირებულების სიდიდეთა შორის თანაფარდობა. სხვა თანაბარ პირობებში ამ თანაფარდობის შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც პირად ქონებაში შეტანილი საგნების დაძველებით, ისე ექსპლუატაციის ნორმატიული ვადების შემცირებით (რაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენთან, სამწუხაროდ, არ მომხდარა).

პირადი ქონების ელემენტების თანაფარდობაზე ნარჩენ და პირვანდელ ღირებულებათა შორის წარმოდგენას იძლევა ცხრილი 2.10.

ნარჩენი და პირვანდელი ღირებულების თანაფარდობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მოთხოვნილების და საქონელბრუნვის სტრუქტურა - თუ საქონლის რომელიმე ჯგუფზე იზრდება მოთხოვნილება და, შესაბამისად, რეალიზაცია, მაშინ მათ მიხედვით დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიმჩნევა სრული და ნარჩენი ღირებულების აბსოლუტური სიდიდეების ურთიერთდაახლოების ტენდენცია (მაგ. IX ხუთწლედში მანქანების წარმოების და რეალიზაციის მკვეთრმა, თითქმის 5-ჯერადმა ზრდამ განაპირობა სატრანსპორტო საშუალებების ღირებულებაში ნარჩენი ღირებულების ხვედრითი წილის საგრძნობი გადიდება). თუკი საქონლის რეალიზაციის ტენდენცია რიგი წლების მანძილზე სტაბილურია, მაშინ თანაფარდობა ღირებულების აღნიშნულ ფორმებს შორის მთლიანადაა დამოკიდებული ამ

ცხრილი 2.10.

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საშინაო ქონების ნარჩენი ღირებულების ხვედრითი წილი პირვანდელ ღირებულებაში
(წლის ბოლოს, ფაქტიური ფასებით, პროცენტობით)

| | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 60,8 | 61,0 | 60,5 | 60,0 | 70,6 |
| მათ შორის: | | | | | |
| გარდეროპის საგნები | 57,2 | 57,7 | 56,9 | 56,9 | 70,6 |
| საშინაო მოწყობილობის საგნები | 70,3 | 63,8 | 64,7 | 62,7 | 61,3 |
| სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქონელი | 62,6 | 58,9 | 58,0 | 58,0 | 60,3 |
| კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონელი | 61,4 | 62,3 | 63,7 | 62,9 | 81,7 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 64,7 | 77,3 | 59,0 | 59,3 | 64,2 |

საგნების ამორტიზაციის ხანგრძლივობაზე და პირობითად შემდეგნაირად შეიძლება გამოსახოს:

$$N = \frac{X_0 + X_1}{2} \cdot i, \qquad (1)$$

სადაც $N$ არის საგნის ღირებულების ამორტიზაციის დონე;

$X_0$ – საქონლის პირვანდელი ღირებულება საბაზო წელს;

$i$ – საგნის ექსპლუატაციის ხანგრძლივობა;

$X_1$ – საგნის ნარჩენი ღირებულება ექსპლუატაციის ბოლო წელს $(= \frac{X_0}{i})$.

მოსახლეობის საშინაო ქონებაში სწრაფად ხანგრძლივი მოხმარების საგნების, მათ შორის განსაკუთრებით სატრანსპორტო საშუალებებისა და საშინაო მოწყობილობის საგნების ხვედრითი წილის

გადიდების გამო გაიზარდა მნიშვნელოვნად მოსახლეობის საშინაო ქონების ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობა (1960 წ. - 2,72 წლიდან 1990 წ. - 6,25 წლამდე). აღნიშნულ ზრდას ადგილი ჰქონდა ამ ქონების თითქმის ყველა ჯგუფის მიხედვით (იხ. ცხრილი 2.11).

ცხრილი 2.11.

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საშინაო ქონების ელემენტების ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობა 1960-1990 წლებში
(წელი)

| | 1960 | 1970 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 2,72 | 3,96 | 5,15 | 5,82 | 6,25 |
| მათ შორის: | | | | | |
| გა(კერობის საგნები - სულ | 2,24 | 2,54 | 2,58 | 2,60 | 2,75 |
| აქედან: | | | | | |
| ქსოვილები | 2,02 | 2,83 | 3,03 | 2,88 | 2,36 |
| ტანსაცმელი, თეთრეული, ბეწვეული, თავსაბურავები | 4,90 | 4,97 | 4,98 | 4,98 | 4,99 |
| ტრიკოტაჟის ნაწარმი, წინდები | 1,60 | 1,70 | 1,67 | 1,68 | 1,71 |
| ფეხსაცმელი | 2,00 | 2,00 | 2,00 | 2,00 | 2,00 |
| საბინაო გარემოს საგნები | 20,00 | 20,00 | 20,00 | 20,00 | 20,00 |
| სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქონელი | 8,12 | 8,57 | 8,02 | 8,06 | 8,58 |
| კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქონელი | 3,92 | 5,83 | 7,58 | 8,65 | 9,00 |
| სატრანსპორტო საშუალებანი | 8,02 | 8,00 | 14,26 | 14,60 | 14,62 |

ამჟამად შეიმჩნევა აშკარად გამოკვეთილი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: ერთის მხრივ, ადგილი აქვს მოხმარების საგნების ხარისხის, სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებას, მათი

გამძლეობის, საიმედოობის ამაღლებას. ეს პროცესი გამოიხატება საგნების კონსტრუქციების გართულებასა და ექსპლუატაციის ნორმატიული პარამეტრების გადიდებაში. ხანგრძლივი მოხმარების საგნების ხვედრითი წილის გადიდებით საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში იზრდება მთელი საშინაო ქონების ექსპლუატაციის საშუალო ხანგრძლივობა;

მეორეს მხრივ, ადგილი აქვს სამომხმარებლო საგნების მორალური ცვეთის პროცესის გაძლიერებას, რაც ხელს უწყობს ამ საგნების ფაქტიური ექსპლუატაციის ხანგრძლივობის შემცირებას. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის საშინაო ქონების ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა ორგვარი, საპირისპირო ღირებულების მატარებელია: ერთი მხრივ, იგი ხელს უწყობს პირად ქონებაში ხანგრძლივი მოხმარების საგნების ხვედრითი წილის გადიდებას, რაც თავისთავად მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებელია; მეორე მხრივ, გამოხატავს პირადი ქონებისა და მისი ელემენტების განახლების შეზღუდვას, რაც ტექნიკური პროგრესის პირობებში ჩამორჩენის ტოლფასი მოვლენაა. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ჩვენთან მოქმედი ნორმატივები მნიშვნელოვნად აღემატება სხვა სახელმწიფოების ანალოგიურ მაჩვენებლებს, რის გამოც ექსპლუატაციის ნორმატიული მაჩვენებლები გადასინჯვას საჭიროებს. ეს გამართლებული იქნებოდა სამომხმარებლო დანიშნულების საგნების "ინტელექტუალიზაციის" გადიდების და მათი მომხმარებლების ჩამოყალიბებული და განვითარებული მოთხოვნილებების თვალსაზრისითაც. პერსპექტივაში, საბაზრო ურთიერთობებზე სრული გადასვლის შემდეგ, როგორც ამას მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, გამოიკვეთება საშინაო ქონების ცალკეული ელემენტების ფუნქციონირების საშუალო ვადის შემცირების ტენდენცია მათი საერთო ვასის ექსპლუატაციის ვადის

გადიდების პირობებში, რაც დაკავშირებულია რთულ ტექნოლოგიური სტრუქტურისა და ხანგრძლივი მოხმარების საგნების ხვედრითწონის განუწყვეტლივ ზრდასთან.

როდესაც ვლაპარაკობთ მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონების ექსპლუატაციის ხანგრძლივობაზე, აქ "საშუალო ვადები" საკმაოდ მაღალი დისპერსიით ხასიათდება და ექსპლუატაციიდან გამოსვლის ვადებით ყველაზე "ხანმოკლე" და "გრძელვადიანი" ერთსახელიანი საგნები შეიძლება ჯერადად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. საშინაო ქონების ელემენტების ხმარებიდან ფაქტიური გამოსვლის განსაზღვრისათვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა ნეგატიური (სტიქიური უბედურებანი, ხანძრები, დაუდევარი ექსპლუატაცია და სხვა ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ნივთების დროზე ადრე გამოსვლას ხმარებიდან) და პოზიტიური (არაინტენსიური ექსპლუატაცია ყველა პირობის დაცვით) ფაქტორები, ამერიკელმა ეკონომისტებმა შეიმუშავეს საშინაო (პირადი) ქონების დაგროვილი პარკიდან მისი ელემენტების საშუალო ექსპლუატაციის და ხმარებიდან გამოსვლის განსაზღვრის მეთოდიკა, რითაც სერიოზული შესწორება შეიტანეს "უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდით" შესრულებულ გაანგარიშებებში: ისინი მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე: პირადი ქონების გარკვეული ნაწილი ხმარებიდან გამოდის უკვე საექსპლუატაციო ვადის მეოთხედის გასვლის შემდეგ, ხოლო 1,2-ვადაზე მეტი ხანგრძლივობა გააჩნია ქონების თითქმის 1/3-ს[11]. ამასთან, ამერიკელი და ბულგარელი ეკონომისტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მივიდნენ დასკვნამდე, რომ საშინაო ქონების ელემენტების "სრულ" და "ნარჩენ" ღირებულებას შორის თანაფარდობა რამდენადმე მყარია საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში[12],

11 Нестеров Л.И. Домашнее имущество в национальном богатстве, с. 49.

12 იქვე, გვ. 52.

თუ, რა თქმა უნდა, არა აქვს ადგილი სტრუქტურულ ძვრებს სახალხო მოხმარების საგნების წარმოებაში, მათი წარმოების ჯერადი ტემპით გადიდებას ან შემცირებას ამ საგნების ექსპლუატაციის საშუალო პერიოდის განმავლობაში.

დეფიციტურ ეკონომიკაში აღნიშნული მომენტები რამდენადმე ეგზოტიკურია, რამეთუ ტოტალური დეფიციტისას სამომხმარებლო საგნების მორალური ცვეთის ხანგრძლივობა, როგორც წესი, უახლოვდება, ზოგჯერ კი აღემატება მათი ნორმატიული ამორტიზაციის ხანგრძლივობას. ამიტომ პირად საკუთრებაში არსებული საგნების რაციონალური, "პეწიანი" გამოყენება და ექსპლუატაციის ვადების გახანგრძლივება ჯერჯერობით აქტუალურ ამოცანად უნდა ჩაითვალოს.

მოსახლეობის საწინაო ქონების შეფარდებითი მაჩვენებლებია ყოველ 100 ოჯახზე ან 1000 მცხოვრებზე ხანგრძლივი მოხმარების საგნების რაოდენობა. 1990 წლის ბოლოს საქართველოს მოსახლეობას საკუთრებაში ჰქონდა დაახლოებით 0,6 მლნ მსუბუქი ავტომობილი, 1,7 მლნ ტელევიზორი, 1,1 მლნ სარეცხი მანქანა, 1,0 მლნ საკერავი მანქანა, აგრეთვე სხვა დასახელების კულტურულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები[13], რომელთა ოჯახებზე და მოსახლეობაზე განაწილების მონაცემები ქვემოთ ცხრილშია მოტანილი.

ამჟამად, სპეციალისტების გაანგარიშებით, თითოეულ ოჯახზე მოდის 18-20 წყვილი ფეხსაცმელი და 65-70 ერთეული ტანსაცმელი[14].

- - - - - - - - - - - - -

13 ჩვენი შეფასებით, 1990 წლის ბოლოსათვის საქართველოს მოსახლეობას საკუთრებაში ჰქონდა არანაკლებ 30-35 ტონა ოქროს საიუველირო ნაწარმი.

14 Социальные ресурсы и социальная политика. М., Наука, 1990, с. 119.

ცხრილი 2.12.

**ხანგრძლივი მოხმარების საგნებით საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფა 1970-1990 წლებში[16] (ცალებში)**

| | რაციონალური ნორმა ყოველ 100 ოჯახზე[16] | ყოველ 100 ოჯახზე გაანგარიშებით | | | ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1970 | 1980 | 1990 | 1970 | 1980 | 1990 |
| საათები | 600 | 322 | 481 | 502 | 803 | 1213 | 1281 |
| რადიომიმღებები | 160 | 76 | 88 | 98 | 188 | 222 | 250 |
| ტელევიზორები | 160 | 39 | 79 | 112 | 98 | 190 | 285 |
| მაგნიტოფონები | 75 | 6 | 17 | 52 | 16 | 43 | 133 |
| მაცივრები და საყინულეები | 140 | 47 | 90 | 95 | 117 | 227 | 244 |
| სარეცხი მანქანები | 95 | 29 | 58 | 86 | 72 | 146 | 219 |
| საკერავი მანქანები | 65 | 52 | 62 | 61 | 129 | 157 | 154 |
| ფოტოაპარატები | 60 | 18 | 21 | 27 | 46 | 53 | 68 |
| ელექტრომტვერსასრუტები | 80 | 10 | 21 | 38 | 24 | 52 | 98 |
| მსუბუქი ავტომობილები | 50 | 4 | 19 | 31 | 11 | 47 | 81 |
| მოტოციკლები და მოტოროლერები | 20 | 2 | 4 | 7 | 5 | 9 | 17 |
| ველოსიპედები და მოპედები | 75 | 17 | 28 | 38 | 42 | 70 | 97 |

15 ევროპის ქვეყნებში, გარდა ცხრილში დასახელებული საგნებისა, ანგარიშობენ ოჯახების, ოჯახური მეურნეობების აღჭურვას აგრეთვე ვიდეომაგნიტოფონებით, ელექტროფონებით, პერსონალური კომპიუტერებით, მიკროტალღოვანი ღუმელებით, ჭურჭლის სარეცხი მანქანებით და სხვა ხანგრძლივი მოხმარების საგნებით იხ.: СССР и зарубежные страны 1988. Статистический сборник. М., Финансы и статистика, 1990, с. 76.

16 ბოლო წლებში ოჯახების პირადი ქონების ელემენტებით აღჭურვის ნორმატივები შემდგომ სრულყოფას განიცდის; როგორც წესი, იზრდება, რაც შეესაბამება მათი წარმოების და მათზე მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების მასშტაბების გადიდებას. ასე მაგალითად, იმ 12 მაჩვენებლიდან, რომლებიც ზემოთ ცხრილშია მოტანილი, ოჯახების უზრუნველყოფის ნორმატივი გაიზარდა 7-ის მიხედვით. თუ 1988 წლამდე ყოველ 100 ოჯახზე ტელევიზორებით აღჭურვის რაციონალური ნორმატივი შეადგენდა 130-ს, მიმდევნო წლისათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა 160-მდე, მაგნიტოფონებით - 60-დან 75-მდე, ველოსიპედებით და მოპედებით-74-დან 75-მდე; მაცივრებით - 112-დან 140-მდე, სარეცხი მანქანებით-85-დან 95-მდე, ელექტრომტვერსასრუტებით-60-დან 80-მდე, საკერავი მანქანებით-62-დან 65-მდე. მხოლოდ მოტოციკლებისა და მოტოროლერების მიხედვით შემცირდა ნორმატივი 25-დან 20-მდე. უცვლელი დარჩა რადიომიმღებებით, ფოტოაპარატებით და საათებით აღჭურვის ნორმატივი.

სხვა წყაროებით, ოჯახის ყოველ 1 სულზე მოდის 20-22 გარდერობის საგანი, მათ შორის 7-8 წყვილი ფეხსაცმელი[17].

თითოეულ ოჯახს ცხრილში ჩამოთვლილი თითო ხანგრძლივი მოხმარების საგანი მაინც რომ ჰქონდეს, მაშინ ამ ოჯახების საშუალო საშინაო ქონება იქნება 35 ათასი მანეთის ღირებულების (1991 წლამდე მოქმედი ფასებით), ნაცვლად დაახლოებით 11,3 ათასი მანეთისა 1990 წლის ბოლოს, ხოლო ოჯახების იმავე საგნებით რაციონალური ნორმების შესაბამისად უზრუნველყოფის შემთხვევაში საშინაო ქონების საერთო ღირებულება იქნება 30-32 ათასი მანეთი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილებანი საშინაო გარემო, ყოფის, დასვენებისა და სარეკრეაციო საშუალებებზე კმაყოფილდება მხოლოდ 1/3-ით.

საშინაო ქონების გაანგარიშებას ცალკეული ოჯახების მიხედვით აქვს ის პრაგმატული ღირებულებაც, რომ ერთი და იგივე რაოდენობის დოვლათის შეძენაზე ოჯახის მიერ გაღებული ხარჯები მით უფრო დაბალია, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ოჯახი, სხვაგვარად-ოჯახის წევრთა რიცხოვნობის ზრდის კვალობაზე მის მიერ მატერიალური დოვლათის, ხანგრძლივი მოხმარების საგნების შესაძენად გაღებული ხარჯებიც იზრდება, მაგრამ გაცილებით დაბალი ტემპით-მოქმედებს სოციოლოგიური კანონი "ერთობლივი მოხმარების ეფექტის" შესახებ[18]. ამიტომ ოჯახების სიმტკიცე, წევრთა რიცხოვნობის ზრდა

---

17 Орлов А., Фонарева Н. Обеспечение соответствия спроса и предложения товара. - Плановое хозяйство, 1984, №11, с. 35.

18 "მოხმარების ეფექტი" შეიძლება განხილულ იქნეს ამ სიტყვის ფართო და მოკლე მნიშვნელობით. პირველ შემთხვევაში განიხილება როგორც კვლავწარმოების ყველა ფაზის გავლენა მოხმარების, როგორც ფაზის ეფექტზე, მეორე შემთხვევაში - თვად სამომხმარებლო საქმიანობის ეფექტიანობის მიხედვით. სწორედ ამ უკანასკნელ ასპექტში განვიხილავთ პირადი ქონების ოჯახური მოხმარების, ოჯახურ მეურნეობაში ერთობლივი მოხმარების ეფექტიანობას. ამ მხრივ "ერთობლივი მოხმარების ეფექტის" გავლენა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ბინების მიხედვით, სადაც მოქმედი ნორმატივით საცხოვრებელი ფართი 6 წევრისაგან შემდ-

არა მარტო მორალურ-ეთიკურ, არამედ ეკონომიკურ ღირებულებასაც იძენს. ასე მაგალითად, ხანგრძლივი მოხმარების საგნებით მოსახლეობის უზრუნველყოფა საქართველოში სსრკ-ს ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1990 წელს შეადგენდა ყოველ 100 ოჯახზე - 91%-ს, ხოლო ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით - მხოლოდ 79%-ს. საქმე ისაა, რომ საქართველოში ოჯახის სიდიდე რამდენადმე მაღალია, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირში (შესაბამისად, 4,1 და 3,5), ეს კი განაპირობებს ერთი და იგივე დოვლათით მოსახლეობის უკეთ დაკმაყოფილებას. ჩვენი გაანგარიშებით, საქართველოში რომ ისეთივე სიდიდის ოჯახები იყოს, როგორც საშუალოდ, მაგალითად, ესტონეთში, მაშინ მოსახლეობის განკარგულებაში არსებული მთელი სამომხმარებლო ფონდით მათი უზრუნველყოფის მაჩვენებელი შემცირდებოდა 23-25 პროცენტული პუნქტით; საქართველოში ოჯახების სიდიდე რომ ყოფილიყო თურქმენეთის დონეზე, მაშინ იგივე მაჩვენებელი თითქმის ერთნახევარჯერ მაღალი იქნებოდა.

ერთობლივი მოხმარების ეფექტი განპირობებულია არა მარტო ეკონომიკური მიზანშეწონილობით-გარკვეულ როლს თამაშობს აგრეთვე სულიერი ფაქტორიც. ამასთან, კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე ამ ეფექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა სულ უფრო მცირდება. - მაგალითად, როდესაც ოჯახში ჩნდება მეორე ავტომობილი, ტელევიზორი, მაცივარი, თანდათანობით ქრება იმის ეკონომიკური აუცილებლობა, რომ ოჯახის ყველა წევრმა, ვთქვათ, ერთი ავტომობილით იმგზავროს..,

- - - - - - - - - - - - - - -

გარი ოჯახის ყოველ წევრზე გაანგარიშებით ორჯერ და მეტად ნაკლებია, ვიდრე მარტოხელასი. ჩვენი გაანგარიშებით, ოჯახის საშუალო სიდიდის შემცირება 0,1 კაცითაც კი იწვევს ბინებით დაკმაყოფილებულთა რიცხოვნობის 2,5%-ით შემცირებას (იმავე დონის საერთო ფართის ექსპლუატაციაში შეყვანის პირობებში) და პირიქით: იგივე 0,1 კაცით ოჯახის საშუალო სიდიდის გადიდების შემთხვევაში აღნიშნული პროცესის ღირებულებითი ეფექტი საბინაო-სამშენებლო კომპლექსის მიხედვით შეიძლება შეფასდეს ჩვენი რესპუბლიკის მიხედვით 23-26 მლნ მანეთად.

მაგრამ ერთად მოხმარება რჩება ოჯახის წევრთა ურთიერთობის, ურთიერთდამოუკიდებლების აუცილებელ პირობად. ამიტომ ერთობლივი მოხმარების ეფექტს, როგორც ეკონომიკურ კანონს, თანდათანობით ქრობის ტენდენცია აქვს ("ერთობლივი მოხმარების ეფექტის თანდათანობითი ქრობის ტენდენციის კანონი"). მაგრამ როგორც სოციალური და, მით უფრო, როგორც ეთიკური კანონი, ინარჩუნებს თავის ფუნქციონალურ მდგომარეობას და დანიშნულებას საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე - სანამ არსებობს ოჯახი, როგორც სოციალური ფენომენი, მანამ მუდამ იქნება ეს კანონი. თვით ეკონომიკურ ასპექტშიც ერთობლივი მოხმარების ეფექტს გააჩნია ტრანსფორმაციის ტენდენცია მარტივიდან რთულისაკენ - მოხმარების შედარებით მარტივი საგნებიდან რთული კომპოზიციური და სამომხმარებლო საგნებისაკენ. მაგალითად, დაბალშემოსავლიან ოჯახებში ერთობლივი მოხმარების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ტანსაცმელიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე; მაღალშემოსავლიან ოჯახებში კი ერთობლივად მოიხმარება რთული საგნები - ავტომობილი, ვიდეოტექნიკა და ა.შ. ოჯახის შემოსავლების ზრდის კვალობაზე სამომხმარებლო საგნების ნაწილი გამოდის ერთობლივი მოხმარების სფეროდან და მოხმარების ინდივიდუალიზებულ საგნებად გადაიქცევა. ასე მაგალითად, აშშ-ში ყოველ მეორე ოჯახს ორი და მეტი ავტომობილი ჰყავს, ყოველ 100 ოჯახზე 220 ტელევიზორი მოდის... აქედან ჩანს, რომ ამ ქვეყანაში პრაქტიკულად დაწყებულია ერთობლივი მოხმარების ეფექტის ეკონომიკური მნიშვნელობის ქრობის პროცესი. ჩვენთან, ამისდა საპირისპიროდ, ჯერჯერობით ერთეულ ოჯახებს ჰყავს ორი და მეტი ავტომობილი, აქვს რამდენიმე ტელევიზორი, მაცივარი.., თუმცა აღნიშნული ტენდენცია ჩვენთანაც იკვლევს გზას და ალბათ სულ მალე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვა-

დობაზე, აშკარად გამოვლინდება.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისა და შემოსავლების რეგულირების ოფიციალური მექანიზმების დახვეწის შედეგად გამოიკვეთება მოსახლეობის საშინაო ქონების დიფერენციაციის გაღრმავების პროცესი. იგი გამოხატულებას პოვებს არა მარტო შესაბამისი შემოსავლის მქონე ოჯახების ერთსახელიანი საგნებით უფრო უკეთ უზრუნველყოფის საქმეში, არამედ ასეთი ოჯახების უფრო მაღალხარისხიანი საქონლით უზრუნველყოფაშიც. ე.ი. შემოსავლების დიფერენციაცია, რომლის საფონდო კოეფიციენტი[19] ამჟამად ჩვენთან შეადგენს დაახლოებით 5:1[20], თავის გამოხატულებას პოვებს მოსახლეობის ქონების რაოდენობრივ და თვისებრივ დიფერენცირებაში[21],

19 "საფონდო კოეფიციენტი", ასახავს მოსახლეობის ყველაზე მეტად უზრუნველყოფილ 10%-ის მიმდინარე შემოსავლების შეფარდებას ყველაზე ნაკლებუზრუნველყოფილი 10%-ის შესაბამის მაჩვენებელთან. ეს მაჩვენებელი, ისევე როგორც დეცილური და კვარტილური კოეფიციენტები, ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის სოციალური და საშემოსავლო დიფერენციაციის განსაზღვრისას.

20 ჩინეთში, მაგალითად, ეს მაჩვენებელი შეადგენდა 3-ს, იაპონიაში - 6-ს, გფრ-ში - 7-ს, შვეციაში - 11-ს, აშშ-ში - 14. - Белова Л.Ф. Дмитричев И.К. Семейный бюджет. - М.: Финансы и статистика, 1990, сс. 43-45.

21 ჩვენთან, გასაგები მიზეზების გამო, ქონებრივი დიფერენციაციის გაანგარიშება ბოლო დრომდე არ წარმოებდა. მხოლოდ 1991 წლის მდგომარეობით მოვახერხეთ საქართველოში "გამდიდრებულთა" და "გაღარიბებულთა" რიცხოვნობის გამოთვლა. მდიდრებისა და ღარიბების რიცხოვნობის დადგენას კი საფუძვლად დაედო ოჯახების საშინაო ქონების ელემენტებით უზრუნველყოფის დონე და არა მათი ღირებულებითი შეფასება. იხ.: ი.არჩვაძე, "ტექნიკური ძვრები... მოსახლეობის კეთილდღეობაში". - "დრონი", 1992 წლის 2 მაისი. საფრანგეთში განსხვავება ღარიბ და მდიდარ ოჯახებს შორის შეადგენს: ქონების მიხედვით - 1 : 66-ს, შემოსავლების მიხედვით 1:8-ს. ამერიკაში იმათი შემოსავალი, ვინც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, დანარჩენი მოსახლეობის საშუალო შემოსავლის მხოლოდ 17%-ია, მაშინ როდესაც დაგროვილი ქონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი 25%-ია (იხ.: Тесля П.Н. Война с бедностью в США. - ЭКО, 1990, № 6, сс. 185-186). აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ გარკვეულ ფარგლებში შემოსავლების ზრდისას ქონებრივი დიფერენციაცია მეტად იზრდება, ვიდრე საშემოსავლო; შემოსავლების შემცირებისას კი, პირიქით - ქონებრივი დიფერენციაცია უფრო ნაკლებად კლებულობს, ვიდრე საშემოსავლო დიფერენციაცია.

ე.ი. ერთბლივი მოხმარების ეფექტის გამოხატულება გადაინაცვლებს სულ უფრო მაღალხარისხოვან და ძვირადღირებულ საქონელზე. ამ კუთხით გარკვეული ალბათობით სულ მალე შესაძლებელი იქნება (ცალკეული სოციალური ჯგუფის მიხედვით და ახლაც შეიძლება) ნებისმიერი ხანგრძლივი მოხმარების საგნის ერთბლივი მოხმარება მიჩნეულ იქნეს გარკვეული შემოსავლებისა და ქონებრივი სტატუსის ინდიკატორულ მაჩვენებლებად. მაგალითად, ოჯახებში, რომელთა წევრების საშუალო შემოსავალი 1990 წელს 75 მანეთამდე იყო თვეში, ტელევიზორებით უზრუნველყოფა მხოლოდ 8 პროცენტით ჩამორჩებოდა იმ ოჯახების უზრუნველყოფას, რომელთა წევრების საშუალო შემოსავალი 250 მანეთზე მეტი იყო. ამასთან ერთად, თუ დაბალშემოსავლიანთა შორის ფერადი ტელევიზორი გააჩნდა ოჯახების 12%-ს, მაღალშემოსავლიანებში იგივე მაჩვენებელი 70%-ს აღემატებოდა. ე.ი. ფაქტობრივი განსხვავება რაოდენობრივთან ერთად თვისებრივიცაა. 1991 წლის ფასების რეფორმამდე აღნიშნული კანონზომიერება დასტურდებოდა კვების პროდუქტების მიხედვითაც.

# III. ეროვნული სიმდიდრისა და მისი ელემენტების გაანგარიშების მეთოდოლოგიური პრობლემები

## 3.1. ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის საშინაო ქონების გაანგარიშების მიმდინარე მეთოდიკის სრულყოფის საკითხები

ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის ქონების შეფასების, აღრიცხვის პროცესი მრავალ მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ პრობლემასთან არის დაკავშირებული. ბუნებრივია, მათი გადაჭრა, პრობლემების მეცნიერული განხილვა და გადაწყვეტა ამ კატეგორიების რაოდენობრივი განზომილების აუცილებელი პირობაა.

მნიშვნელოვან პრობლემად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეროვნული სიმდიდრის ელემენტები არ ფასდება ერთნაირად - ძირითადი ფონდების აღრიცხვა ხდება მათი პირველადი საბალანსო ღირებულებით, ბუნებრივი რესურსებისა - მათი კვლავწარმოების პროცესში ჩართვისა და კვლავწარმოებისათვის საჭირო შრომითი დანახარჯების ან სარენტო გადასახადის მიხედვით, მატერიალური საბრუნავი საშუალებებისა - მიმდინარე ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, ხოლო მოსახლეობის საშინაო ქონების ელემენტებისა - შეძენის მომენტისათვის მათი საცალო ფასის მიხედვით. ამრიგად, ყოველი კონკრეტული მომენტისათვის სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების ელემენტების გაერთიანება და ერთიანი ზომით წარდგენა გარკვეულად პირობითია.

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ეროვნული სიმდიდრის ძირითადი ნაწილის - ძირითადი ფონდების გადაფასება. იგი ძირითადი ფონდების განფენილობისა და მათი კვლავწარმოების ეკონომიკური პირობების ცვლილებების გამო ძვირადღირებულ ღონისძიებადაა მიჩნეული, რის გამოც მხოლოდ პერიოდულად, 15-20 წელიწადში ერთხელ ტარდება. ასე მაგალითად, ძირითადი ფონდების ბოლო გადაფასება 1972 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჩატარდა. მათი მონა-

ღერი ცვეთის დაჩქარება დღის წესრიგში აყენებს გადაფასების აუცილებლობას 10 წელიწადში ერთხელ მაინც, ცალკეული დარგების მიხედვით კი – 5 წელიწადში ერთხელ. ანალოგიური პრობლემა დგას მოსახლეობის საშინაო ქონების ელემენტების შეფასებისას, სადაც შესადარი ფასების ბაზად აღებულია 1973 წლის ფასები, მაშინ როდესაც ყველა სხვა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას საფუძვლად უდევს 1983 წლის ფასები და უკვე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ახალ საბაზო წლის – 1991 წლის ფასებზე გადასასვლელად. ბუნებრივია, შეფასების ბაზის არჩევაში ასეთი ჩამორჩენა ამახინჯებს მიღებული მაჩვენებლების უკან მდგარი რეალური მდგომარეობის სურათს, არ იძლევა მათზე სწორ წარმოდგენას; იგივეს თქმა შეიძლება ასეთი მაჩვენებლების საფუძველზე დინამიკის გაანგარიშების თაობაზეც.

მოქმედი მეთოდოლოგიით ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურიზაცია ხორციელდება მისი ელემენტების კვლავწარმოების თავისებურებებით და არა ამ ელემენტების ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. ჩვენთან საცხოვრებელი ბინები და სახლები ჩართული ძირითადი არასაწარმოო ფონდების შემადგენლობაში მაშინ, როდესაც თავისი დანიშნულებით მოსახლეობის ქონებრივი სტატუსის მატარებელი დოვლათის რანგს მიეკუთვნება. რა თქმა უნდა, საცხოვრებელი ფონდის ძირითად ფონდებში ჩართვას საფუძვლად დაედო ამ უკანასკნელთა გასახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი პროცესი. საკმარისია ითქვას, რომ 1990 წლის ბოლოსათვის საცხოვრებლის 7,6 მლრდ.მანეთის ძირითადი ფონდიდან მოსახლეობის საკუთრებაში იყო მხოლოდ 2,6 მლრდ მანეთის საცხოვრებელი ფონდი (32,4%). ჩვენის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა საშინაო (პირად ) ქონებაში ჩაგვეთვალა პირად საკუთრებაში არსებული ბინებიც. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონების

ხვედრითი წილი რესპუბლიკის ეროვნულ სიმდიდრეში გაიზრდებოდა 20-დან 25,1 პროცენტამდე, ხოლო მთელი საბინაო ფონდის განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის შემთხვევაში - 32,2 პროცენტამდე[1].

როგორც ზემოთ აღინიშნა, სტატისტიკური ორგანოების მიერ გაანგარიშებული ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელი არ არის სრული - მასში არ აისახება ბუნებრივი რესურსების ღირებულება. თავის დროზე საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა მიხედვით რესპუბლიკის აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს დავალებული ჰქონდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის გაანგარიშების მეთოდიკის შემუშავება (იხ. "საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 17 ნოემბრის №537 დადგენილება "საქართველოს სსრ სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასაყვანად ჩასატარებელ დამატებით სამუშაოთა შესახებ"). მაგრამ აღნიშნული სამუშაო არ შესრულებულა. არადა, დღეს უკვე ვერ მივიღებთ სწორ პასუხს კითხვაზე, თუ როგორია ჩვენი ეროვნული სიმდიდრე და როგორ და რამდენადაა იგი მიმართული ადამიანის კეთილდღეობისაკენ, თუკი ყურადღების მიღმა რჩება ჩვენი ბუნებრივი რესურსები. მდგომარეობას ართულებს ბუნებრივი სიმდიდრის უკვე მოძიებულ-შესწავლილი და პერსპექტიული მარაგების ღირებულებითი შეფასების ერთიანი კრიტერიუმის არარსებობა. თუ რამდენი (ფიზიკურ ერთეულებში) მადანი, სასარგებლო წიაღისეულია ჩვენს მიწაში - ამის გათვლა და შეფასება გეოლოგების კომპეტენციაა და ისინი ამ ამოცანას მეტნაკლებად წარმატებით ართმევენ თავს. ასე მაგალითად, ჭიათურის მანგანუმის საბადოს მარაგი დღ-

- - - - - - - - - - - - - -

1 1992 წლის 1 ივლისის მდგომარეობით პრივატიზირებული იყო სახელმწიფო საბინაო ფონდის მხოლოდ რამდენიმე პროცენტი.

ისათვის 195 მლნ ტონამდეა, რომელიც ამჟამინდელი მასშტაბით ექსპლუატაციისას კიდევ 35 წელი იქნება საკმარისი... მთლიანად "საქგეოლოგიის" მიერ რესპუბლიკაში 200-ზე მეტი საბადოს მიხედვითაა მოძიებული სასარგებლო წიაღისეული, შედგენილია მათი საბალანსო მარაგები, შეფასებულია პროგნოზული რესურსების მასშტაბები, გაანგარიშებულია, თუ რამდენი წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი მათი ექსპლუატაცია. ასეთი გაანგარიშებები არსებობს რკინის, სპილენძის, კობალტის, ტყვიის, თუთიის, კადმიუმის, კალიუმის, ბისმუტის, ინდიუმის, ალუმინის, ვერცხლისწყლის, დარიშხანის, ქვანახშირის, დოლომიტების, ბარიტის, კალციტის და მრავალი სხვა სახის წიაღისეულის, აგრეთვე სამშენებლო მასალების, სანაკეთო ქვების, კერამიკული ნედლეულის, კვარცმინდვრის შპატიანი ქვიშების და მრავალი სხვა სახის ნედლეულის მიხედვით. შესწავლილია აგრეთვე ჰიდრომინერალური რესურსების (მტკნარი, მინერალური და თერმული წყლები) მარაგები. ასე მაგალითად, მხოლოდ იმ მოძიებული სასარგებლო წიაღისეულის[2] ღირებულება, რომელზედაც გათვალისწინებულია ერ-

---

2 როგორც ცნობილია, სასარგებლო წიაღისეულის მარაგები განსხვავდება მოძიებულობის, შესწავლის, უტყუარობის და ხელმისაწვდომობის ხარისხის მიხედვით. სამრეწველო დამუშავებისათვის მზადყოფნის მიხედვით მათ ყოფენ $A$, $B$, $C_1$ და $C_2$ კატეგორიებად.

$A$ კატეგორიის საბადო დეტალურად არის შესწავლილი და დადგენილია წიაღისეულის ფორმა, განლაგების პირობები, მორფოლოგია, ტექნოლოგიური თვისებები, შენცვლელი და გადახსნილი ქანები, დამუშავების პირობები.

$B$ კატეგორიის მარაგები $A$ კატეგორიასთან შედარებით ოდნავ ნაკლებად არის შესწავლილი.

$C_1$ კატეგორიისადმი მიკუთვნილი მარაგებისათვის გარკვეულია წიაღისეულის განზომილებები, ფორმები და განლაგება; დამუშავების პირობები შესწავლილია საბადოზე ზოგადი წარმოდგენისათვის.

$C_2$ კატეგორიის მარაგების შეფასება ხდება საველე გეოლოგიური და გეოფიზიკური მონაცემებით; დამუშავების პირობები სხვა საბადოსა და უბანთან ანალოგიის საფუძველზეა შეფასებული.

როგორც მრავალწლიანი პრაქტიკა ადასტურებს, $A+B+C_1$ კატეგორიებში გადადის $C_2$ კატეგორიის მარაგის არაუმეტეს 70-75%.

თეულის მოპოვების ფასი დღევანდელი მოპოვების საშუალო-
ხარჯების მიხედვით, 60 მლრდ მანეთს აღემატება. მაგრამ მისი
რა ნაწილი უნდა შევიტანოთ ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეში? თვით
ერთსახელიანი წიაღისეულიც ხომ ადგილმდებარეობის მიხედვით მო-
პოვების და დამუშავების მნიშვნელოვნად განსხვავებულ ხარჯებს
მოითხოვს? ვთქვათ, ვიცით მოძიებული რკინის მადნის, ქვანახ-
შირის და ა.შ. წიაღისეულის რაოდენობა, მაგრამ როგორ უნდა მო-
ხდეს მათი ღირებულებითი შეფასება? – თუ სარეალიზაციო ფასის
მიხედვით, ეს იქნება მეტად პირობითი, რამეთუ ფასები ყალიბდე-
ბა მათზე ფაქტიურად გაღებული ხარჯებისა და მოთხოვნა-მიწოდე-
ბის მიხედვით. ამისდა შესაბამისად, მიმდინარე სარეალიზაციო,
მათ შორის მსოფლიო ბაზრის ფასებით ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის
შეფასება მოგვცემს მხოლოდ ჰიპოთეტურ სურათს, ციფრებს, რომელ-
თა მიღმა ვერ იქნება რეალური ეკონომიკური ურთიერთობები. ამას
უნდა დაემატოს ის გარემოებაც, რომ პერმანენტულად ვითარდება
მეცნიერება და ტექნიკა, სულ უფრო სრულყოფილი ხდება წიაღისეუ-
ლის მოპოვების ტექნოლოგია, იზრდება შრომის ნაყოფიერება, რაც,
საბოლოო ჯამში, პროდუქციის გაიაფებას იწვევს. იგივე გეოლოგი-
ურ-საძიებო სამუშაოები საშუალებას იძლევა მოკვლეულ იქნას ახ-
ალი საბადოები, დაზუსტდეს მათი და ადრე აღმოჩენილი საბადოების
მარაგები... ტექნიკური პროგრესი კი იწვევს მოძიებულ და მოპო-
ვებულ რესურსებში ახალი, მანამდე უცნობი სამომხმარებლო თვისე-
ბების აღმოჩენას, რასაც, თავის მხრივ, რევოლუციური ცვლილებები
მოსდევს ამგვარი ნედლეულის გამოყენებაში. მათზე მოთხოვნილებე-
ბის ჩამოყალიბებაში. არის მთელი რიგი სხვა მომენტებიც, რომლე-
ბიც განაპირობებს ბუნებრივი სიმდიდრის, კერძოდ, სასარგებლო წი-
აღისეულის მიმდინარე საბაზრო ფასებით შეფასების არამართებულო-
ბას (იგივეს თქმა შეიძლება ტყის მასივების შეფასებაზეც). სხვა-

გვარად თუ ვიტყვით, არ იქნება მართებული, რომ მიმდინარე (საბაზრო ფასებით) შეფასებული ბუნებრივი სიმდიდრის მოძიებული მარაგი მთლიანად იქნეს ჩართული ეროვნულ სიმდიდრეში.

აბა, როგორ უნდა ავსახოთ ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეში ბუნებრივი სიმდიდრე ღირებულებითი ფორმით?

ჩვენი აზრით, უნდა გამოვიდეთ უკვე მოკვლეული მარაგის პრაქტიკული, ეკონომიკურად გამართლებული მოპოვების შესაძლებლობებიდან – ეროვნულ სიმდიდრეში შეიძლება გაერთიანდეს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე ამ უკანასკნელის იმ ნაწილით, რომლითაც ის პოტენციურად შეიძლება ჩაერთოს კვლავწარმოების პროცესში. ერთი წლის განმავლობაში მოპოვებული წიაღისეულის ღირებულება არ იქნებოდა ამისათვის საკმარისი, რამეთუ ეროვნული სიმდიდრე, როგორც სინთეზური კატეგორია, კვლავწარმოების მრავალი ციკლის (წლის) შედეგია. აქ უნდა გაგვეთვალისწინებინა ამ წიაღისეულის მოპოვების შესაძლებლობა მათზე არსებული ნამდვილი მოთხოვნილებებისა და მათი მოპოვების რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით (ასეთი ბუნებრივი სიმდიდრის პარამეტრებს განსაზღვრავენ წიაღისეულის მოძიებული მარაგები, მოპოვების ტექნოლოგიისა და ტექნიკის დონეები, და მათზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მასშტაბები). იმის გამო, რომ ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების პროცესში ჩართვა დამოკიდებულია არა მარტო მოთხოვნილებაზე, არამედ მათი მოპოვების ტექნიკურ შესაძლებლობაზეც, ამ უკანასკნელს განმსაზღვრელ როლს ანიჭებს. წიაღისეულის მოპოვებისათვის საჭირო ტექნიკის დონე, შესაძლებლობანი განსაზღვრავს არა მარტო მომპოვებელი დარგის სახეს, არამედ წიაღისეულის მოპოვების მასშტაბებსაც და საბადოს პერსპექტიული ექსპლუატაციის ხანგრძლივობასაც. გამოდის, რომ ბუნებრივი სიმდიდრის მოპოვების მასშტაბები დამოკიდებულია შესაბამისი დარგის ძირი-

თადი საწარმოო ფონდების ღირებულებაზე, აგრეთვე თუ რამდენი წლის განმავლობაში შეიძლება მათი ექსპლუატაცია ნედლეულის მოსაპოვებლად. მაგრამ ძირითადი ფონდების ექსპლუატაციის ხანგრძლივობა უშუალო კავშირშია მათი ამორტიზაციის სიდიდესთან, რის გამოც სასარგებლო წიაღისეულის ღირებულებით შეფასება დამოკიდებული ხდება მოპოვებულ პროდუქციაზე, შესაბამის ძირითად საწარმოო ფონდებზე და ამ უკანასკნელთა ამორტიზაციაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეროვნულ სიმდიდრეში ჩასართავი წიაღისეულის ღირებულება რომ განვსაზღვროთ, აუცილებელია მოპოვებითი მრეწველობის საერთო პროდუქცია გავამრავლოთ ამ დარგის ძირითადი ფონდების ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობაზე (წლებში):

$$Ნ_{წიაღ} = \frac{Ф_{წიაღ}}{A_{წიაღ}}$$

სადაც $Ნ_{წიაღ.}$ არის ეროვნულ სიმდიდრეში ჩართული სასარგებლო წიაღისეულის ღირებულება;

$T_{წიაღ.}$ მოპოვებითი მრეწველობის საერთო (სასაქონლო) პროდუქცია;

$Ф_{წიაღ.}$ და $A_{წიაღ.}$ - შესაბამისად, იმავე დარგში ძირითადი საწარმოო ფონდებისა და მათი ამორტიზაციის (სრულ აღდგენაზე მიმართული საამორტიზაციო ანარიცხების) საშუალო წლიური ღირებულება.

მაგალითად, თუ წლის ბოლოს მდგომარეობით ქვანახშირის მრეწველობის პროდუქციამ შეადგინა (ციფრები პირობითია) 100 მლნ. მანეთი, ამ დარგის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებამ - 400 მლნ. მანეთი, ამორტიზაციის თანხამ - 20 მლნ. მანეთი, მაშინ ქვანახშირის საბადოების მოძიებული მარაგის ეროვნულ სიმდიდრეში ჩასართავი ნაწილის ღირებულება იქნება:

$$100 \times \frac{400}{20} = 2000 \text{ (მლნ. მანეთი)}$$

აღნიშნული მიდგომა თავიდან აგვაცილებს ეროვნული სიმდიდრისადმი ცალმხრივ დამოკიდებულებას, რითაც სცოდავს ბუნებრივი სიმდიდრის ელემენტების "ხარჯვითი" და "რესურსული" მეთოდით შეფასებები. პირველნი ეროვნულ სიმდიდრეში აერთიანებენ ბუნებრივი სიმდიდრის მოპოვებაზე და მის რეკულტივაციაზე გაღებულ ხარჯებს; მეორენი ბუნებრივ სიმდიდრეს აფასებენ წიაღისეულის, მოპოვებული მარაგების მიმდინარე საბაზრო ფასებით. ამიტომ ყოფილი სსრკ ბუნებრივი სიმდიდრის შეფასებისას განსხვავება საარაკოდ დიდი იყო - მაგალითად, მარტო სასარგებლო წიაღისეულზე იგი მერყეობდა 68-70 მლრდ მანეთიდან[3] 94 ტრლნ მანეთამდე[4]. ცხადია, ასეთი განსხვავებული მონაცემებით სერიოზული სარგებლობა შეუძლებელია[5].

ჩვენ მიერ შემოთავაზებული მეთოდის მისადაგება შეიძლება ტყის მასივების ღირებულების განსაზღვრის მიმართაც, რაც კიდევ

3 იხ.: Известия Академии наук СССР. Серия экономическая, 1982, №1, с. 27.

4 იხ.: Экономика и математические методы. - 1991, т.27, выпуск 2, с. 246.

5 ასევე ნაკლებად დამაჯერებლად გვეჩვენება ბუნებრივი რესურსების შეფასების ე.წ. რეტროსპექტული ინვენტარიზაციის მეთოდი, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი წინა წლის ბუნებრივი მარაგების ღირებულება განისაზღვრება დღეისათვის მოძიებული მარაგების ღირებულებას დამატებული განვლილ პერიოდში მოპოვებული წიაღისეული მათი ტექნოლოგიური დანაკარგების გათვალისწინებით (იხ. Экономика и математические методы. 1991, т.27, выпуск 2, с.246). ამ მეთოდის მიხედვით ყოველ წინა წლის მარაგების ღირებულება მეტია მომდევნო წლისაზე. ამასთან, ეს მეთოდი არ ითვალისწინებს მოძიებული მარაგების გაფართოების შესაძლებლობას და ქმნის ასეთი მარაგების უახლოეს მომავალში დაწრეტის ილუზიურ შთაბეჭდილებას. რა თქმა უნდა, რესურსები არ არიან უსასრულო, მათი ინტენსიური მოპოვების კვალობაზე მარაგების საერთო სიდიდე (მოძიებულის და ჯერაც მოუძიებლის) მცირდება, მაგრამ პროგრესული, მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას იძლევა, ჯერ ერთი, მკვეთრად გაიზარდოს მოპოვების კოეფიციენტი, და, მეორეც, ზოგავს უკვე მოპოვებულ ნედლეულს, სათბობს, საწვავს ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოებაზე, მომსახურების გაწევაზე და, საბოლოო ჯამში, ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შექმნაზე...

უფრო აძლიერებს მის გამოყენებით ღირებულებას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ეროვნული სიმდიდრე ტყის მასივებში გაიანგარიშება ფაქტობრივად როგორც ხე-ტყის მრეწველობის სანედლეულო ბაზა და ვერ ითვალისწინებს მისი ფლორისა და ფაუნის სხვაგვარ გამოყენებით ღირებულებას[6].

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდით საქართველოს წიაღისეული სიმდიდრის ღირებულებამ შეადგინა (შესადარ ფასებში, მლრდ. მანეთი): 1970 – 8,1, 1980–16,0, 1990–19,6; ტყის მასივებისამ, შესაბამისად, 0,2, 0,3, და 0,3 (მლრდ მანეთი). ეროვნული სიმდიდრის ამ ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის შეფარდება ადამიანის შრომით შექმნილ სიმდიდრესთან (ქონებასთან) შემდეგნაირია (იხ. ცხრილი 3.1.).

ცხრილი 3.1.

საქართველოს რესპუბლიკის სასარგებლო წიაღისეულის და ტყის მასივების ღირებულების თანაფარდობა ადამიანის შრომით შექმნილ სიმდიდრესთან (ეროვნულ ქონებასთან)
(შესადარ ფასებში პროცენტობით)

| | 1970 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|
| წიაღისეულის ბუნებრივი სიმდიდრე | 42,6 | 39,6 | 38,2 | 26,8 |
| ტყეების ბუნებრივი სიმდიდრე | 1,3 | 1,1 | 1,2 | 0,4 |
| წიაღისეულისა და ტყეების ბუნებრივი სიმდიდრე – ერთად | 43,9 | 40,7 | 39,4 | 27,2 |

6 ნადირობით და თევზაობით, აგრეთვე გარეული ხილის, კენკრის შეგროვებით ჩვენს რესპუბლიკაში იქმნება მხოლოდ 9,3 მლნ მანეთის ღირებულების პროდუქცია. როგორც ცნობილია, ადამიანთა აღნიშნული საქმიანობა არ არის ინტენსიური, მისთვის სისტემატური ხასიათის მიცემის შემთხვევაში, ყოველგვარი დამატებითი კაპიტალდაბანდებისა და რეკულტივაციის გარეშე შეიძლება მათი, სულ ცოტა, 10-15-ჯერ მაინც გადიდება. თუ ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს უნდა დაემატოს არანაკლებ 100 მლნ.მანეთი.

განვლილ წლებში ბუნებრივი სიმდიდრის ეს ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი (წიაღისეული, ტყეები), აბსოლუტური ზრდის მიუხედავად, ადამიანის ხელთქმნილ სიმდიდრესთან მიმართებაში აშკარა შემცირებით ხასიათდება, რაც დაკავშირებულია როგორც გადამამუშავებელი მრეწველობის უფრო სწრაფ განვითარებასთან მომპოვებელ მრეწველობასთან შედარებით (დაახლოებით 1,5-ჯერ უფრო სწრაფად განვლილ ოცწლეულში - ძირითადად ბუნებრივი რესურსების ძიებისა და ექსპლუატაციის დაბალი ნაყოფიერების გამო), ისე ეროვნული ქონებისა და მისი ელემენტების - ძირითადი ფონდების, მატერიალური საბრუნავი საშუალებებისა და მოსახლეობის საშინაო (პირადი) ქონების მატების მაღალ ტემპებთან.

სხვაგვარად უნდა განისაზღვროს მიწის, ნიადაგის ბუნებრივი სიმდიდრე. როგორც ცნობილია, მიწის ფასი დაკავშირებულია მის ეკონომიკურ შეზღუდულობასთან და საკუთრების უფლების რეალიზაციასთან. ნორმალური საბაზრო ურთიერთობების პირობებში შესაძლებელი იქნებოდა მიწების "ღირებულება" განსაზღვრულიყო ე.წ. სარენტო მეთოდით, მისი სარეალიზაციო ფასის მიხედვით. სამწუხაროდ, ჩვენთან არ ხორციელდება (უფრო სწორად, ჯერაც არ განხორციელებულა) მიწების ეკონომიკური შეფასება; არ არსებობს აგრეთვე მატერიალური სიმდიდრისადმი მიწების ღირებულების რაიმე ფიქსირებული შეფარდებითი მაჩვენებელი[7], რის გამოც შეუძლებელია მისი ზუსტი გათვლა. მის შეფასებაში უნდა დავეყრდნოთ რამდენიმე ამოსავალ დებულებას:

ჯერ-ერთი, საკუთრების რეალური სუბიექტის გარეშე შეუძლებელია მიწის რეალური ფასის განსაზღვრა.

---

7 მაგალითად, აშშ-ში XIX საუკუნის შუა ხანებიდან XX საუკუნის შუა ხანებამდე მიწის ღირებულების შეფარდება ეროვნულ სიმდიდრესთან შემცირდა 46%-დან 17%-მდე. იხ.: რაიმონდ უ. გოლდსმიტი. აშშ-ს ეროვნული სიმდიდრე ომის შემდგომ პერიოდში. მ., სტატისტიკა, 1968, გვ. 140 (რუსულ ენაზე).

მეორეც, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში, პირად დამხმარე მეურნეობებში შრომის და წარმოების მაღალი ინტენსიფიკაციის წყალობით მიღწეულია წარმოების რამდენჯერმე მაღალი ეფექტიანობა საზოგადოებრივ მეურნეობებთან შედარებით, რის გამოც მათი სარეალიზაციო ფასი საზოგადოებრივი მეურნეობების მიწების "გასხვისებასთან" შედარებით რამდენჯერმე მაღალია. ასე მაგალითად, 1 მ$^2$ ურწყავი საბოსტნე ადგილის ფასი 1990 წელს 5–10 მანეთს აღემატებოდა, ხეხილით და სხვა მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული პირადი დამხმარე მეურნეობის სარეალიზაციო ფასი კი, შესაბამისად, უფრო მეტი იყო. ამიტომ საქართველოს მოსახლეობის მფლობელობაში არსებული პირადი დამხმარე მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, როგორც ბუნებრივი სიმდიდრის ობიექტური კომპონენტის, ღირებულებამ ჩვენი გაანგარიშებით 20 მლრდ. მანეთს მიაღწია[8].

რაც შეეხება საზოგადოებრივი მეურნეობების განკარგულებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, აქ, ჩვენი აზრით, საერთო პროდუქციის გამოსავლიანობის გათვალისწინებით, რომელიც ფაქტობრივად ყალიბდება სხვადასხვა სავარგულებზე მიწის სიმდიდრის შესაფასებლად, შეიძლება მიახლოებით აღებული იქნეს შემდეგი პროპორციები (ყოველ 1 მ$^2$-ზე): სახნავი – 1 მან; სათიბი –

---

8 საქართველოს მოსახლეობის განკარგულებაში (1.11.90წ. მდგომარეობით) იყო 211,4 ათასი ჰა მიწის, მათ შორის 196,3 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული; თუკი 1მ$^2$ ასეთი სავარგულის სარეალიზაციო ფასად 10 მანეთს ჩავთვლით, მაშინ ამ ფართობის საერთო სარეალიზაციო ფასი იქნება 196,3 ათასი ჰა X 10 მან = 19,63 (მლრდ.მან.). ჩვენ აქ ვხელმძღვანელობთ იმ მოსაზრებით, რომ ეროვნულ სიმდიდრეში უნდა შევიდეს მიწის სრული ფასი და არა მისგან მიღებული რენტა.

10 კაპიკი, საძოვარი – 1 კაპიკი[9], ე.ი. 100:10:1. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფასი იქნება 9,8 მლრდ.მანეთი (მათ შორის საძოვრების – 0,2 მლრდ. მანეთი, სათიბების – 0,16 მლრდ.მანეთი, სახნავის – 6,9 მლრდ.მანეთი, ვენახების და ბაღების – 2,5 მლრდ.მანეთი). ამრიგად, ერთდრო-ობით ეროვნულ სიმდიდრეში შეტანილი მიწის ღირებულება მათი საბაზრო ფასებით შეფასების შემთხვევაში დაახლოებით 30 მლრდ.მანეთის ტოლია[10].

მიწების სიმდიდრის ღირებულებით მაჩვენებლის შეფარდება ადამიანის შრომით შექმნილ ეროვნულ სიმდიდრესთან ჩვენთან რამდენამდე მაღალია, ვიდრე მთელ რიგ ქვეყნებში (საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 41%-ს, მაშინ როდესაც აშშ-ში 17%-ია, გერმანიაში – 20%, უნგრეთში – 25%, იუგოსლავიაში – 26%, ინდოეთში – 45%). ამის მიზეზი არა იმდენად ჩვენი მიწების მაღალნაყოფიერებაა, რამდენადაც მატერიალური წარმოების შედეგად შექმნილი დოვლათის, სიმდიდრის შეფარდებით სიმცირე. ასე მაგალითად, ჩვენთან მოსახლეობის ერთ სულზე 15 ათას მანეთზე ნაკლები

---

9 მეცხოველეობის საერთო პროდუქცია სათიბებისა და საძოვრების საერთო ფართობზე შეადგენს დაახლოებით 700 მანეთს 1ჰა-ზე, ხოლო პირუტყვის საკვებად გამოყენებული მარცვლეულის, ჩალის, კვების პროდუქტების ნარჩენების, აგრეთვე ქარხნული წესით წარმოებული კომბინირებული საკვების გარეშე – დაახლოებით 400–450 მანეთს, მაშინ როდესაც 1 ჰა სახნავ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოწეული პროდუქციის ღირებულება 5000 მანეთს აღემატება. საძოვრების სეზონური ხასიათიდან, აგრეთვე სათიბებთან შედარებით ფართობის ერთეულზე ნაკლები შრომითი დანახარჯების გამო პროდუქციის გამოსავლიანობა სათიბის ტიპის სავარგულებიდან 10-ჯერ და მეტად აღემატება საძოვრებიდან მიღებული პროდუქციის ღირებულებას (შესაბამისად, 480 და 46 მანეთი).

10 ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ რესპუბლიკის მოსახლეობას შეეძლია ერთდროულად გაიღოს ასეთი თანხა მის შესაძენად. აღნიშნული ციფრი აღქმულ უნდა იქნეს მიწის ცალკეული ნაკვეთების სარეალიზაციო ფასების დადგენის და მათი შემდგომი შეჯამების სახით.

ხროვნული ქონება (ეროვნული სიმდიდრე ბუნებრივი სიმდიდრის გარეშე) მოდის, მაშინ, როდესაც აშშ-ში თითქმის 100 ათასი დოლარია. მოტანილი მონაცემები ადასტურებს კანონზომიერებას, რომლის მიხედვით ეკონომიკურად რაც უფრო მაღალგანვითარებულია სახელმწიფო, მით უფრო დაბალია მიწის, სიადაგის სიმდიდრის ღირებულებითი შეფარდება ადამიანის ხელთქმნილ მატერიალური სიმდიდრის ღირებულებასთან.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის მნიშვნელოვანი კომპონენტებია მისი ჰიდრომინერალური რესურსები (წყაროს, მიწისქვეშა, არტეზიული, მინერალური და თერმული წყლები). თუ ამ რესურსებს ყველა კატეგორიის მიხედვით შევაფასებთ მათი მოპოვების საშუალო თვითღირებულებით (1მ$^3$ წყალი მანეთებში: მტკნარი და თერმული - 0,1, მინერალური - 100)*, მაშინ წლიური დებეტის გათვალისწინებით ბუნებრივი სიმდიდრე რესპუბლიკის მტკნარი წყლის მიხედვით შეადგენს 283 მლნ. მანეთს, მინერალური წყლის მიხედვით 5604 მლნ. მანეთს და თერმული წყლის მიხედვით - 7,73 მლნ მანეთს, ე.ი. სულ ჰიდრომინერალური რესურსებში - 5894 მლნ მანეთს. ბუნებრივია, ეს ციფრი მიახლოებითია და პერსპექტივაში შეიძლება შეიცვალოს როგორც რესურსების და მათი სადღეღამისო დებეტის, ისე მათი მოპოვების და ღირებულების ცვლილებებით.

როცა საუბარია ბუნებრივი სიმდიდრის ღირებულებით შეფასებაზე, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მეორადი ნედლეულის გამოყენების ფაქტორს. ტექნიკისა და ტექნოლოგიის არსებული დონე საშუალებას იძლევა გადაიანგარიშოთ მეორადი ნედლეულის, წარმოების იმ ნარჩენების მასშტაბები, მოცულობა და ღირებულება, რომელთა ხელახალი ჩართვა შეიძლება კვლავწარმოების პროცესში (ფართას

---

* "ბორჯომი" - 200 მანეთი.

დამზადება, წიდის გამოყენება სამშენებლო პროდუქციის მისაღებად და ა.შ.). ჩვენი რესპუბლიკის მეტალურგიულ მრეწველობაში ჯართის დნობის შედეგად მიიღება ფოლადის დაახლოებით ნახევარი, მაშინ როდესაც მაღალგანვითარებულ ქვეყნებში - არანაკლებ 80%. ჩვენი შეფასებით, ყოველწლიურად რესპუბლიკის მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში წარმოების პროცესის შემდეგ რჩება 200 მლნ.მანეთზე მეტი ღირებულების ნარჩენები, რომელთა ხელახალი ჩართვა კვლავწარმოების პროცესში შესაძლებელია მეორადი ნედლეულის სახით. აქაც, ისევე როგორც ბუნებრივი სიმდიდრის ყველა სხვა ზემოხსენებული ელემენტის-წიაღისეულის, ტყის მასივების, მიწის და ა.შ. შეფასებას, მიუხედავად რამდენადმე განსხვავებული მეთოდიკისა, საფუძვლად უდევს ერთი საერთო პრინციპი - მათი მოპოვების და კვლავწარმოების პროცესში ჩართვის პოტენციური შესაძლებლობანი.

ამრიგად, საქართველოს ეროვნული სიმდიდრე 1990 წლის ბოლოსათვის ბუნებრივი სიმდიდრის ისეთი ელემენტების ჩათვლით, როგორიცაა წიაღისეული, ტყის მასივები, მიწა, ჰიდრომინერალური რესურსები; ნადირობით, თევზაობით და ტყით სარგებლობა, აგრეთვე მეორადი ნედლეულის კვლავწარმოების პროცესში ხელახალი ჩართვის პოტენციური შესაძლებლობა, შეიძლება შეადგეს დაახლოებით 126 მლრდ. მანეთს, ხოლო მისი სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 3.2).

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე (1971-1990 წწ.) საქართველოს ეროვნული სიმდიდრე გაიზარდა 2-ჯერ, მათ შორის ბუნებრივი სიმდიდრე - 1,4-ჯერ და ეროვნული ქონება - 3,4-ჯერ. ეს პერიოდი ხასიათდება ბუნებრივი სიმდიდრისა და მისი ელემენტების ღირებულების პერმანენტული ზრდით სრულ ეროვნულ სიმდიდრეში მათი ხვედრითი წილის ერთგვარი შემცირების პირობებში. აღნიშნული ტენდენცია, აღ-

ცხრილი 3.2.

საქართველოს რესპუბლიკის სრული ეროვნული სიმდიდრე
1990 წლის ბოლოს
(შესადარ ფასებში)

| | მლრდ.მანეთი | % |
|---|---|---|
| ეროვნული სიმდიდრე - სულ | 125,8 | 100 |
| მათ შორის: | | |
| ბუნებრივი სიმდიდრე | 55,9 | 44,4 |
| აქედან: | | |
| წიაღისეული | 19,6 | 15,6 |
| ტყის მასივები | 0,3 | 0,2 |
| პიდრომინერალური რესურსები (მტკნარი, მინერალური და თერმული წყლები) | 5,9 | 4,7 |
| მიწა (ნიადაგი) | 29,8 | 23,7 |
| ხილკენკრის შეგროვებით, თევზაობით და ნადირობით სარგებლიანობა | 0,1 | 0,1 |
| მეორადი ნედლეულის გამოყენების პოტენციური შესაძლებლობები | 0,2 | 0,2 |
| ეროვნული ქონება | 69,9 | 55,6 |
| აქედან: | | |
| ძირითადი ფონდები | 40,1 | 31,9 |
| ძირითადი საწარმოო ფონდები | 26,5 | 21,1 |
| ძირითადი არასაწარმ.ო. ფონდები | 13,6 | 10,8 |
| მატერიალური საბრუნავი საშუალებები | 14,7 | 11,7 |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 15,1 | 12,0 |

მათ, შენარჩუნებული იქნება უახლოესი ათწლეულების განმავლობაში.

ბუნებრივი სიმდიდრის ზემოხსენებული გაანგარიშების სიმარტივე და ეკონომიკური დასაბუთებულობა ხელსაყრელი პირობაა შესაბამის გაანგარიშებებში. გამოსაყენებლად როგორც სტატისტიკური ორ-

განოეზას, ისე ცალკეული დაინტერესებული პირების მიერ.

ბუნებრივი სიმდიდრის ღირებულებითი შეფასების შემდეგ დღის წესრიგში დგება მთელი მისი მასის და შემადგენელი ნაწილების ექსპლუატაციის საკითხი – ბუნებრივი სიმდიდრე, ეროვნული სიმდიდრის დანარჩენი ნაწილებისაგან განსხვავებით, სიმდიდრედ იქცევა მხოლოდ წარმოების პროცესის შედეგად, მაშინ, როდესაც ძირითადი ფონდები, მატერიალური საბრუნავი საშუალებები და მოსახლეობის საშინაო ქონება ასეთია აპრიორულად. ამიტომ თუ აღნიშნულ კატეგორიებს წმინდა გამოყენებითი თვალსაზრისით შევადგენით, ბუნებრივ სიმდიდრეს შეიძლება ვუწოდოთ პოტენციური სიმდიდრე, რომელიც რეალურად იქცევა მხოლოდ კვლავწარმოების პროცესში ჩართვის შემდეგ.

შეიძლება თუ არა ეროვნული სიმდიდრის დარჩენილ ნაწილს (ეროვნულ ქონებას) ვუწოდოთ რეალური სიმდიდრე, ბუნებრივი სიმდიდრისაგან, როგორც პოტენციური სიმდიდრისაგან, განსხვავებით?

მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით ეროვნული ქონება ნამდვილად არის რეალური სიმდიდრე, მაგრამ ღირებულებითი ფორმით იგი "რეალურის" სტატუსის მისაღებად ალბათ უნდა განთავისუფლდეს ამორტიზაციის თანხისაგან (ეროვნული ქონება ნარჩენი ღირებულებით), აგრეთვე მოსახლეობის საშინაო ქონების იმ ნაწილისაგან, რომელიც ფასწარმოქმნის მექანიზმის წყალობითაა მასში შეტანილი, მაგრამ რეალურ ღირებულებასთან არავითარი კავშირი არა აქვს (არაპირდაპირი, აქციზური ხასიათის გადასახადები). ჩვენი გაანგარიშებით, ასეთ "პოტენციურ", "ნომინალურ" და "რეალურ" სიმდიდრეთა შორის თანაფარდობა შემდეგნაირია (იხ. ცხრილი 3.3).

თუ მთელ ეროვნულ სიმდიდრეს "ბრუტო სიმდიდრედ" მივიჩნევთ, ხოლო რეალურ სიმდიდრეს – "ნეტო სიმდიდრედ", აღმოჩნდება, რომ 1990 წლის ბოლოს "ნეტოს" წილად მოდიოდა "ბრუტო სიმდიდრის" 60,1 პუნქტი

(1970 - 49,4%, 1980 - 63,8%, 1985 - [illegible]1,9%).

ასევე ბევრი მეთოდოლოგიური საკითხია მოსაგვარებელი მოსახლეობის საშინაო ქონების გაანგარიშების საქმეში. მათი გადაჭრა სტატისტიკური და საერთოდ მთელი ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ცხრილი 3.3.

საქართველოს რესპუბლიკის პოტენციური, ნომინალური და რეალური სიმდიდრე

(ფაქტიური ფასებით; პროცენტობით; წლის ბოლოს; ეროვნული ქონება საბალანსო ღირებულებით = 100)

| | 1970 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|
| ეროვნული სიმდიდრე - სულ | 143,9 | 140,7 | 139,4 | 127,2 |
| აქედან: | | | | |
| პოტენციური სიმდიდრე | 43,9 | 40,7 | 39,4 | 27,2 |
| ნომინალური სიმდიდრე | 100 | 100 | 100 | 100 |
| რეალური სიმდიდრე | 71,1 | 75,7 | 76,1 | 76,4 |

დღემდე მოქმედ მეთოდიკას გააჩნია რამდენიმე სერიოზული ნაკლი. კერძოდ იგი ემყარება მხოლოდ ოფიციალურ, საცალო საქონელბრუნვის მონაცემებს და მასში ვერ ხვდება "სხვა წყაროებით" ჩამოყალიბებული ქონება-საგნები, რომლებიც ხელზე შეიძინება, პირადი მოთხოვნილებისათვის საკუთარი წარმოების ნივთები, არაკვლავწარმოებითი საგნები, (ფერწერული და სკულპტურული ნიმუშები, რომლებიც კერძო კოლექციებშია), უტილიზებელი ბუნებრივი საგნები და ა.შ. შემდეგი სერიოზული ნაკლია ის, რომ თვით ეს საცალო საქონელბრუნვის მონაცემები ჯამდება ტერიტორიის და არა მოსახლეობის მიხედვით. ეს კი ნიშნავს, რომ იგი არ ითვალისწინებს

ფულადი რესურსების, ფაქტიურად კი მოსახლეობის რეგიონთაშორის მიგრაციას – საქონელი, რომელსაც საქართველოს მცხოვრები შეიძენს მის ფარგლებს გარეთ, არ შედის ჩვენი მოსახლეობის საშინაო ქონებაში და, შესაბამისად, რესპუბლიკის ეროვნულ სიმდიდრეში; სამაგიეროდ, შეიტანება ისეთი საქონლის ღირებულება, რომელსაც სხვა რესპუბლიკების მცხოვრები ჩვენს ტერიტორიაზე შეიძენს. სასაქონლო რესურსებით არათანაბარი უზრუნველყოფის პირობებში ამან შეიძლება საშინაო ქონების განსაზღვრაში საკმაოდ დიდი ცდომილება გამოიწვიოს.

ასეთი ქონების მაჩვენებელი ხელოვნურად გამოდის შემცირებული, ხოლო იმ რესპუბლიკებში, სადაც ადგილი აქვს მიმოქცევიდან ნაღდი ფულის ამოღებას (რემისიას) – გადიდებული. ამიტომ მოსახლეობის საშინაო ქონების გაანგარიშების მეთოდიკა რამდენადმე მისაღებია მხოლოდ ერთიანი სავალუტო სივრცის მქონე სახელმწიფოსათვის. სამანეთო ზონაში შემავალი სუვერენული სახელმწიფოებისათვის კი იგი უნდა დაზუსტდეს ნაღდი ფულის მიგრაციის გათვალისწინებით[11].

საქართველო მიეკუთვნება ემისიის მქონე რესპუბლიკათა რიცხვს. – ფულის ემისია გაიზარდა 97,5 მლნ მანეთიდან 1970 წელს 417,8 მლნ მანეთამდე 1980 წელს და 1202,6 მლნ მანეთამდე 1990 წელს. ამასთან, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების 3,9-ჯერ ზრდის პირობებში ფულის გატანა (იგულისხმება სხვაობა ნაღდი ფულის მასის აბსოლუტურ შემოტანასა და აბსოლუტურ გატანას შორის) რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიზარდა 12,4-ჯერ – 50 მლნ.მანეთიდან 618 მლნ.მანეთამდე. თუ 1970 წელს ნაღდი ფულის გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეადგენდა მოსახლეობის ფულადი შემოსავლების 1,61%-ს, 1980 წლისათვის იგი გაიზარდა 4,32%-მდე, ხოლო

---

11 იხ.: Н.Арчвадзе. Расчет национального имущества населения союзной республики. Вестник статистики, 1990, № I, сс. 26-27.

1990 წლისათვის – 5,09%-მდე. მთლიანად 1971-1990 წლებში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გავიდა დაახლოებით 6,6 მლრდ მანეთი, რაც საქართველოს მთელი მოსახლეობის 1982 წლის ფულადი შემოსავლების ტოლფასია.

რესპუბლიკიდან ფულადი რესურსების გატანის ასეთი ზრდის მთავარი მიზეზია სასაქონლო რესურსების არათანაბარი განაწილება. ძვ-ით საკავშირო პრესა აღიარებდა, რომ მოსკოვი რამდენჯერმე მეტ უცხოურ გარნიტურს ღებულობდა, ვიდრე ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა ერთად აღებული[12], მაშინ როდესაც ამიერკავკასიის მოსახლეობა მოსკოვისას ორჯერ და მეტად აღემატება. მოსახლეობის ერთ სულზე ავეჯის საბაზრო ფონდებით საქართველო უზრუნველყოფა 20 პროცენტით, ხოლო ესტონეთთან, მაგალითად, თითქმის 60 პროცენტით დაბალი იყო. ანალოგიური მდგომარეობაა საქონელთა სხვა სახეობების მიხედვითაც და აი, შედეგი: 1990 წელს საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დასაქონლიანება ჩამორჩებოდა (ყოველ 1 მანეთ შემოსავალზე) საერთო საკავშიროსას – 11,7 კაპიკით, ლიტვიისას – 20,7 კაპიკით[13]. ფულადი რესურსების "სტიქიური" გატანა საქართველოს ფარგლებს გარეთ რამდენადმე ამცირებს ასეთ ჩამორჩენას, მაგრამ ვერ სპობს მას. აღნიშნული მდგომარეობა მით უფრო დასანანია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ცალმხრივი სპეციალიზაციის გამო ჩვენთან ფაქტიურად არ ხდებოდა ხანგრძლივი მოხმარების საგნების წარმოება და მთლიანად ვიყავით დამოკიდებული სხვა რეგიონებიდან მოწოდებაზე.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში II ქვეგანაყოფის პროდუქციის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანილ ყოველ 1 მანეთზე მოდი-

---

12 იხ.: Правда, 4 января 1986г.

13 იხ.: ი.არჩვაძე: სად უფრო იაფია მანეთი? – "საქმიანი კვირა", №10, 1992 წ.

ლა მოსახლეობის მიერ "თვითნებურად" გატანილი 0,7 მანეთი. მაგრამ იმის გამო, რომ ამ თანხის გარკვეული ნაწილი მიმართული იყო შეძენილი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის, მგზავრობისათვის, ბინისა და კვების ხარჯებისათვის, "მაყარჩისათვის", ბოლო წლებში კი ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შემოღებული პროტექციონისტული ბარიერების დაძლევისთვისაც, ერთეული სამომხმარებლო საქონლის შეძენა და ადგილზე ჩამოტანა ჩვენს მომხმარებელს დაახლოებით 1,5-2,0-ჯერ ძვირი უჯდებოდა მათ საცალო ფასთან შედარებით. ამის გამო საქართველოს მოსახლეობის გადახარჯვა წლის განმავლობაში (1990 წ.) 250-300 მლნ მანეთს შეადგენდა. საბოლოო ჯამში, დღესაც საქართველოს მოსახლეობა ყოველწლიურად თვით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანილი ფულადი რესურსების გათვალისწინებითაც კი დაახლოებით 300 მლნ.მანეთით ნაკლებ II ქვეგანაყოფის პროდუქციას (მოხმარების საგნებს) მოიხმარს, ვიდრე თვითონ აწარმოებს.

ქვემოთ მოტანილი მონაცემები, რომლებიც ჩვენ მიერაა გაანგარიშებული, წარმოდგენას იძლევა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეძენილი პირადი ქონების მასშტაბებზე.

ცხრილი 3.4.

## საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეძენილი საშინაო ქონება*

(ფაქტიური ფასებით; მლნ. მანეთი)

| | 1970 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|
| წლის განმავლობაში შეძენილი საქონლის ღირებულება | 30 | 166 | 336 | 348 |
| შეძენილი და დაგროვილი ქონების საერთო ღირებულება წლის ბოლოს – სულ | 66,8 | 291,0 | 982,6 | 1321,0 |
| -%-ულად მოსახლეობის საშინაო ქონების საერთო მოცულობასთან | 2,0 | 3,7 | 9,0 | 7,92 |

როგორც მოტანილი მონაცემები ადასტურებს, განვლილ პერიოდში დამახასიათებელი იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეძენილი საშინაო ქონების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა - განვლილ ოცწლეულში მისი მოცულობა გაიზარდა 19,8-ჯერ, მაშინ როდესაც რესპუბლიკის შიგნით ჩამოყალიბებული საშინაო ქონების მოცულობა გაიზარდა 4,2-ჯერ. სწორედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეძენილი ქონების ხარჯზე კმაყოფილდება რესპუბლიკის მოსახლეობის კულტურულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე მოთხოვნილების დიდი ნაწილი. მარტო 1990 წელს მსუბუქი ავტომობილების შესაძენად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანილი იქნა 200 მლნ-ზე მეტი მანეთი - ამის ხარჯზე ყალიბდება რესპუბლიკის საავტომობილო პარკის მატების 1/3-დან 1/2-მდე.

---

* გაანგარიშებას საფუძვლად უდევს საშინაო ქონების შესაძენად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაზიდული თანხის ფიქსირებული კოეფიციენტით (0,6) შეფასება, ხოლო ასეთი ფორმით საერთო ოდენობის ქონების შეფასებას ყოველი მოცემული წლისათვის-საშინაო ქონების ამორტიზაციის საშუალო ხანგრძლივობა.

ეს მომენტი გასათვალისწინებელია პირადი ქონების შეფასებისას იმ ასპექტშიც, რომ ოჯახების სამომხმარებლო დანიშნულების ხანგრძლივი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები ემყარება საბიუჯეტო სტატისტიკის მონაცემებს, მაშინ როდესაც მათი ღირებულებითი გამოსახულება ემყარება საცალო ვაჭრობის მონაცემებს. საჭიროა, რომ ორივე ასპექტის განხილვა ერთი და იგივე კრიტერიუმით განხორციელდეს. პერსპექტივაში შემოსავლების აღნიშვნის სადეკლარაციო მეთოდის დანერგვის საფუძველზე შესაძლებელი გახდება აგრეთვე საშინაო ქონების შეფასების შერჩევითი (ნებაყოფლობით საწყისებზე) მეთოდის გამოყენება.

ანალოგიური შეფასებ. უნდა მიეცეს საშინაო ქონების იმ ელემენტებს, რომლებსაც რესპუბლიკის მცხოვრებლები საზღვარგარეთის ქვეყნების ვალუტის ხარჯზე შეიძენენ. ბოლო წლებში ფართო გასაქანი მიეცა ჩვენი მოქალაქეების საზღვარგარეთ გასვლას; აღნიშნულმა პროცესმა განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო თურქეთთან საავტომობილო გზის გახსნის შემდეგ. მარტო 1990 წელს სარფის სასაზღვრო საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით თურქეთში იმოგზაურა 110 ათასმა საქართველოს მოქალაქემ. ყოველი მანეთის ხარჯზე (1989 წელს ვალუტაზე გადაცვლილი იქნა 35 მლნ.მანეთი, 1990 წელს - 120 მლნ-ზე მეტი) უცხოეთში შეიძინება საქონელი, რომლის ღირებულება ჩვენთან რამდენიმე მანეთია. ასეთივეა საზღვარგარეთ სამეცნიერო, ოფიციალური თუ კულტურული მივლინებით მყოფთა მიერ შეძენილი ქონება, რომელიც ჩვენი მოსახლეობის საშინაო ქონების საერთო ღირებულებაში უნდა მოხვდეს. გამოდის, რომ სტატისტიკური ორგანოების მიერ გაანგარიშებული ოჯახების კულტურულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლით აღჭურვის მაჩვენებელი მთლად სწორად ვერ გამოსახავს მის ფაქტიურ

დონეს - საქონლის იმ ნაწილის მიხედვით, უცხოეთში რომ გადის, მოსახლეობის აღჭურვის ფაქტიური დონე გაანგარიშებულზე დაბალია (ტელევიზორები, მაცივრები, და სხვა), სხვებით კი - მაღალი (ვიდეოაპარატურა, კომპიუტერები და სხვა). კომუნიკაციის საშუალებების განვითარების გამო მოსახლეობა სულ უფრო მობილური ხდება, ამიტომ იზრდება მანძილი საქონლის შეძენის ადგილსა და მოხმარების ადგილს შორის შეძენისა და მოხმარების დაწყების მომენტებს შორის დროის არსებითი უცვლელობის პირობებში. ამის გამო ვიდრე საქართველო ინკორპორირებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთიან ფულად-სასაქონლო სისტემაში, უნდა შემუშავდეს დამატებითი ღონისძიებანი ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის საშინაო ქონების ზუსტი შეფასებისათვის. აღნიშნულის მისაღწევად უარი არ უნდა ვთქვათ ბიუჯეტური სტატისტიკის მონაცემების გამოყენებაზეც.

მოსახლეობის საშინაო ქონების მეთოდოლოგიური ასპექტების განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით თანამედროვე პირობებისათვის ისეთ დამახასიათებელ მოვლენას, როგორიცაა ოჯახური მარაგების შექმნა. ზოგიერთი არასასურსათო საქონელი (საპონი, სინთეტიკური სარეცხი საშუალებები, პარფიუმერია, ასანთი და ა.შ.) არ მიეკუთვნება საშინაო ქონების ელემენტებს თავისი "სტატუსით". ეს გასაგებიცაა - მათი სახმარი ღირებულება თუ ერთჯერადი არა, ხანმოკლე სამომხმარებლო დანიშნულებისაა. მაგრამ ქრონიკული დეფიციტის, ფასების პერმანენტული ზრდისა და აჟიოტაჟური მოთხოვნის პირობებში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ხვდება ოჯახების არა მიმდინარე მოხმარების, არამედ სარეზერვო ფონდში, ოჯახებში იქმნება მოხსენებული საქონლის ე.წ. "სტრატეგიული მარაგი". ასეთი მარაგები ყალიბდება როგორც პირადი მოხმარების რაციონალიზაციის, ნაწილობრივ კი მათი თავისუფალი რეალიზაციის შემთხვევაში

იმ რაოდენობით შეძენისას, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება მყიდველთა და მათი ოჯახის წევრთა მიმდინარე მოთხოვნილების დო-ენობას. ასე მაგალითად, 1991 წელს საქართველოს მოსახლეობის კვების თითქმის ყველა ძირითადი პროდუქტის მიმდინარე მოხმარების შემცირების პირობებში გაიზარდა მათი ოჯახური მარაგები.[14] თუ 1990 წლის ბოლოს საქართველოს მოსახლეობას მარაგებში ჰქონდა დაახლოებით 0,6 მლრდ.მანეთის სასურსათო პროდუქტი (ღვინისა და არყის მარაგების გარდა), 1991 წლის შემოდგომაზე - დაახლოებით 0,8 მლრდ მანეთის პროდუქტი.

ყოველივე აღნიშნულის გამო ოჯახებში თავმოყრილი საქონლის ასეთი მარაგები შეიძლება მივიჩნიოთ საშინაო ქონების ირაციონალურ ელემენტებად. ირაციონალურად, რამეთუ მათი "ქონებრივი" სტატუსი მხოლოდ მანამდე არსებობს, ვიდრე ისინი არ მოიხმარება, სანამ არ იწყება მათი სახმარი ღირებულების რეალიზაცია (შეადარეთ: მოსახლეობის საშინაო ქონების რაციონალური, ნამდვილი ელემენტები ქონებას წარმოადგენს მათი შეძენისთანავე და ასეთივე არიან მათი ექსპლუატაციის მთელი დროის განმავლობაში).[15] მოსახლეობის პირადი ქონების და, შესაბამისად, ეროვნული სიმდიდრის ირაციონალური

- - - - - - - - - - - - - - -

14 ამ თემაზე დაწვრილებით იხილეთ ავტორის სტატიები: "ტექტონიკური ძვრები... მოსახლეობის კეთილდღეობაში" ("დრონი", 2 მაისი, 1992წ.) და "დავეწიოთ და გავუსწროთ... ბურუნდისა და მავრიტანიას" ("საქმიანი კვირა", №12, 1992წ.).

15 აჟიოტაჟური მოთხოვნის დროს "სტრატეგიული მარაგები" ყალიბდება საშინაო ქონების ნორმალური, "რაციონალური" ელემენტების მიხედვითაც, თანაც ასეთ მარაგებში სულ უფრო დიდი რაოდენობით ხვდება არა მარტო საშუალო და მოკლევადიანი, არამედ ხანგრძლივი მოხმარების საგნებიც... ამ უკანასკნელისაგან ვახდენთ აბსტრაგირებას, რამეთუ მათი "ზენორმატიული" მარაგი არ ცვლის მათ ბუნებას, სამერმისოდ გადააქვს მხოლოდ მათი სარგებლიანობის ეფექტი.

ელემენტების სიდიდე დეფიციტური წარმოების, დეფიციტური ეკონომიკის ინდიკატორებად უნდა მივიჩნიოთ, მათ გაანგარიშებას კი სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს.

ოჯახური ქონების ირაციონალური ელემენტების დაგროვების მთავარი "დამნაშავეა" არა მომხმარებელი, არა მათი "დამახინჯებული" და განუვითარებელი მოთხოვნილებები, არამედ სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა, დეფიციტზე და არასაბაზრო რეგულირებაზე დამყარებული ეკონომიკა. ნორმალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში მისი სიდიდე მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი[16].

როგორც ცნობილია, პიროვნების სოციალური, ზნეობრივი, ინტელექტუალური განვითარების დონე ნაკლებადაა დაკავშირებული უშუალოდ მოხმარების დონესთან. მათ შორის არათუ პირდაპირპროპორციული, არამედ რეგრესიული და ხშირად უკუპროპორციული დამოკიდებულებაც კი არსებობს (თუ რატომ არის ასე, ეს ცალკე საუბრის თემაა – მეოცე საუკუნის ისტორია მდიდარია ამის დამადასტურებელი მაგალითებით). ამ ასპექტში საზოგადოებისათვის "საშიში" საშინაო ქონების ირაციონალური ელემენტები კი არ არის, არამედ ირაციონალურად გამოყენებული პირადი ქონების "რაციონალური" ელემენტები. პირველი ყალიბდება, როგორც წარმოების და მთლიანად ეკონომიკის

---

16 რა თქმა უნდა, ნორმალური ფუნქციონირებისათვის და მისი სამომხმარებლო ფუნქციის სრული რეალიზაციისათვის ოჯახს უნდა გააჩნდეს როგორც სურსათის, ისე არასასურსათო საქონლის გარკვეული მარაგები, მაგრამ როგორი უნდა იყოს ამ მარაგების რაციონალური სიდიდე? – სამწუხაროდ, დეფიციტური ეკონომიკის პირობებში მისი გაანგარიშება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც ამ დროს ოჯახების მარაგების შექმნის მოთხოვნა შესაბამისი საქონლის დეფიციტის უკუპროპორციულია. რაციონალური მარაგების ნორმატივების შედგენა შესაძლებელია მხოლოდ ჯანსაღი, უდეფიციტო ეკონომიკის პირობებში. ამ დროს პირადი ქონებისა და ეროვნული სიმდიდრის ირაციონალურ ელემენტებად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ნორმატიულზე მეტი მარაგები.

გარკვეული მდგომარეობის შესაბამისი ქცევის მოტივაციის შედე-
გი, მეორე კი, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის ეკონომიკურ
და ნებისმიერ სხვა სფეროში არარაციონალური და ასოციალური ქცე-
ვის მასტიმულირებელი ფაქტორი. აქედანაა მისი საშიში, ფეთქე-
ბადი პოტენცია. ირაციონალურად გამოყენებული საშინაო ქონების
ელემენტებზე გადის წინააღმდეგობა, ერთის მხრივ, სოციალურად
მიზანშეწონილ და პერსპექტიულ მოთხოვნილებებსა და, მეორეს მხ-
რივ, სოციალურად მიზანშეუწონელ ირაციონალურ მოთხოვნილებებს
შორის. ოჯახურ მეურნეობებში პირადი ქონების ელემენტების გამო-
ყენების სოციალური ეფექტიანობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო
მაღალია ინდივიდის ან კოლექტივის (ოჯახის) სამომხმარებლო სა-
ქმიანობის შემოქმედებითი, თვითორგანიზებადი ხასიათი. ასე მა-
გალითად, ტელევიზორის გამოყენების სოციალური ეფექტიანობა გა-
მოიხატება არა მარტო იმით, თუ როგორი ტელევიზორით ხდება ინ-
ფორმაციის, გამოსახულების მიღება (დიდი, პატარა, ფერადი, შავ-
თეთრი), არამედ ამ ინფორმაციის აღქმის და დასკვნების გაკეთე-
ბის ხარისხითაც. ირაციონალურად გამოყენებული საშინაო ქონება
მომხმარებლის სამომხმარებლო (განუვითარებელ და არარაციონალურ)
კულტურაზე მეტყველებს. ამიტომ ამოცანა ისაა, მინიმუმამდე იქ-
ნას დაყვანილი როგორც საშინაო ქონების ირაციონალური ელემენ-
ტები, ასევე ამ ქონების ის ნაწილიც, რომელიც ირაციონალურად
გამოიყენება. პირველის გადაწყვეტა შეუძლია ეკონომიკური სიტუ-
აციის გაჯანსაღებას, მეორე კი ეკონომიკურთან ერთად ზედნაშე-
ნური ინსტრუმენტების აქტივიზაციას საჭიროებს.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას თან სდევს ეროვნული
სიმდიდრის განსახელმწიფოებრიობის პროცესი. საკუთრება დღეს უკ-
ვე ახალ მეტ ფორმას იძენს. შესაბამისად, შეიცვლება ამ მარეგ-

ნებლის და მისი ელემენტების სოციალური სტრუქტურა და მისი აქ-
ამდე "ორთოდოქსალური" სქემა (სახელმწიფო საკუთრება-კოოპერატი-
ული საკუთრება - პირადი საკუთრება) უკვე აღარ იქნება საკმარი-
სი სიმდიდრის და ქონების სოციალურ ჯგუფთა შორის რეალური განა-
წილების დასახასიათებლად. შესაბამისად, პრინციპულად შეიცვლება
მოსახლეობის ქონების სტატუსიც - თუ ამჟამად იგი ფაქტობრივად
საშინაო ქონების იდენტური ცნებაა, დღის წესრიგში მალე დადგება
მოსახლეობის "საკუთრების" და "ქონების" ცნებებს შორის სრული
"სადემარკაციო ხაზის" გავლების საკითხი. ამასთან, საკუთრების
ფორმათა პლურალიზმი არ უნდა ავურიოთ საკუთრების ტიპებთან - ამ
შემთხვევაში საქმე გვაქნება მხოლოდ ორი სახელმწიფო და კერძო
საკუთრების ტიპებთან. კოლექტიური, ჯგუფური და ა.შ. "შუალედური"
ფორმის საკუთრებები ეკონომიკის ადმინისტრაციული რეგულირების პი-
რობებში ფაქტობრივად სახელმწიფო საკუთრების ტიპისანი არიან, სა-
ბაზრო ურთიერთობების არსებობისას კი - კერძო. კრიტერიუმი აქ
ერთია: შრომის გაუცხოებისა და პირადი ინტერესის მომენტი.

ცნობილია, რომ მოსახლეობის საშინაო ქონების ჩამოყალიბება-
ში არსებით როლს თამაშობს არა მარტო მიმდინარე შემოსავლების სი-
დიდე, არამედ მომხმარებელთა ასაკიც[17]. ასე მაგალითად, შემოსავ-
ლებს შედარებით ახალგაზრდები (18-25 წლის ასაკში) განსაკუთრე-
ბით დიდი რაოდენობით ხარჯავენ წიგნების, სტერეოაპარატურის, ფირ-
ფიტების, ვიდეოკამერების, ფოტოაპარატების, მოდური ტანსაცმლის,
პირადი ჰიგიენის საგნებისა და ტუალეტის შესაძენად. ამ კატეგო-

---

17 დადგენილია კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც რაც უფრო იზ-
რდება ოჯახის უფროსის ასაკი, მით უფრო დიდია მიმდინარე შემო-
სავლების ერთეულზე პირადი ქონების მოცულობა. ჩვენს რესპუბ-
ლიკაში ასეთი გაანგარიშებები არ ხორციელდება. რაც შეეხება
საზღვარგარეთის სტატისტიკას, მაგალითად, აშშ-ში ოჯახების სა-
შინაო ქონება სჭარბობდა მათ მიმდინარე შემოსავლებს იქ, სადაც
ოჯახის უფროსის ასაკი არ აღემატებოდა 35 წელს - 10%-ით; 35-
44 წლისანის ოჯახებში - 110%-ით; 45-64 წლისანების ოჯახებში -
190%-ით, 65-64 წლისანებისაში - 390%-ით, საპენსიო ასაკის ოჯ-
ახებში - 650%-ით. -იხ.: Новые формы отношений между трудом
капиталом в условиях структурного кризиса, с. 111.

რიის მომხმარებლებისათვის დამახასიათებელია მაღალი ხარისხის, ძლიერ საქონელზე მოთხოვნილებანი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კმაყოფილდება ოჯახების წევრების შემოსავლების და სასარგებლოდ განაწილების ხარჯზე. მთლიანად კი ოჯახების სამომხმარებლო ქცევა დამოკიდებულია ოჯახების სასიცოცხლო ციკლზე, რომელიც ისევე როგორც ნებისმიერი ცოცხალი არსება და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, გაივლის წარმოშობის, განვითარების, სიმწიფის, თანდათანობითი ჩაქრობისა და კვდომის სტადიებს. დასავლეთის ეკონომიკური მეცნიერება უკვე ახერხებს ოჯახების სხვადასხვა სასიცოცხლო ციკლის დროს საშინაო (პირადი) ქონების გაანგარიშებას. ჩვენთვის სამერმისო ამოცანას წარმოადგენს ერთნაირი მოცულობის მქონე ოჯახების განაწილება ოჯახის უფროსთა ასაკისა და მიმდინარე შემოსავლების მიხედვით. ამგვარი დაჯგუფება, თანაც არა მარტო საერთო საშინაო ქონების, არამედ საქონელთა ცალკეული ჯგუფების მიხედვით, წარმატებით ხორციელდება დასავლეთის ბევრ სახელმწიფოში. იქ საქონლის ფართო არჩევანთან ერთად უკვე არსებობს მკაფიოდ გამოხატული, ჩამოყალიბებული სამომხმარებლო პრიორიტეტები მომხმარებელთა ასაკის, სქესის, სოციალური მდგომარეობის, შეხედულებების და მთელი რიგი სხვა ნიშნების მიხედვით, რომლებიც ერთობლიობაში განაპირობებენ მომხმარებლის არჩევანს და მისი საშინაო ქონების ჩამოყალიბების ხასიათს.

საბაზრო ეკონომიკა მთლიანად ხსნის იმ ბარიერებს, რომლებიც არსებობდა მოსახლეობის საშინაო ქონების ელემენტების სასაქონლო-გაცვლით ურთიერთობებში ხელახალი ჩართვის საქმეში. დღეს შესაძლებელია არა მარტო, ვთქვათ, საკუთარი მსუბუქი ავტომობილით მგზავრების გადაყვანა, არამედ სხვადასხვა დანიშნულების კულტურულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების გაქირავე-

ზა, იჯარით გადაცემა და ა.შ. ასეთ შემთხვევაში აღნაგვარი საგნები, რჩება რა პირად საკუთრებაში მყოფ მოხმარების საგნებად, თანდათანობით იძენს შრომის საშუალებების სოციალურ სტატუსსაც. თუ რამდენად ადვილად შეიძლება პირად საკუთრებაში არსებული მოხმარების საგნების შრომის, წარმოების საშუალებებად გადაქცევა, ამით შეიძლება მსჯელობა არა მარტო საბაზრო ურთიერთობების განვითარების დონეზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად დემოკრატიულია საზოგადოება და ეფექტიანი საზოგადოებრივი წარმოება. ამის გამო დღის წესრიგში დგება მოსახლეობის საშინაო ქონებაში იმ ქვესისტემის ცალკე გამოყოფა, რომლებიც მათ მეპატრონეთა მიერ ხელახლა ჩაირთვება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში საზოგადოების დანარჩენი წევრების კონკრეტული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თანამედროვე ტერმინოლოგიით შეიძლება ვიხმაროთ მოსახლეობის "ბრუტო საშინაო ქონება" (ასეთი ქონება სულ) და "ნეტო საშინაო ქონება" (საშინაო ქონების ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ ოჯახის და მისი წევრების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება). ჩვენი გაანგარიშებით, 1990 წლის ბოლოს კვლავწარმოების პროცესში ჩართული იყო პირადი ქონების 8-10% (ე.ი. "ნეტო საშინაო ქონება" შეადგენდა "ბრუ-ტო საშინაო ქონების" 90-92%-ს), რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა აისახოს მოსახლეობის პირად საკუთრებაში არსებული წარმოების საშუალებების საერთო მოცულობაში[18].

- - - - - - - - - - - - - - -

18 აღნიშნულ მონაცემებში არ შედის მოხმარების საგნების მესაკუთრეთა შეცვლა მათი ხელახალი გაყიდვის შედეგად. ასეთი ოპერაციები განსაკუთრებით გაფართოვდა ბოლო წლების მანძილზე - ეკონომიკის დეფიციტის გაღრმავების პროპორციულად. ოჯახების ბიუჯეტების სტატისტიკური მასალების მიხედვით, 1990 წელს რეალიზებული იმპორტული ავეჯის 3/4 და ტანსაცმლის 2/3 შეიძინება არა უშუალო მოხმარებისათვის, არამედ მათი ხელახალი გაყიდვისათვის. ასეთი "მომხმარებლების" ხელში მოხვედრილი საგანი მათთვის დამატებითი შემოსავლის და, აქედან გამომდინარე, "წარმოების საშუალებაა", მაგრამ რამდენად ამ შემთხვევაში

1991 წელი "დიდი გარდატეხის წელი" აღმოჩნდა ფასების სახელმწიფო რეგულირებიდან საბაზრო რეგულირების მექანიზმზე გადასვლის თვალსაზრისით. "დაბალ" და "მაღალშემოსავლიანობის" ფიქსირებული დონეები, რომლებიც წლების განმავლობაში მოსახლეობის კეთილდღეობისა და სოციალური შედარებითობის ინდიკატორებს წარმოადგენდნენ, ფასების ლიბერალიზაციამ საბოლოოდ უკუაგდო. ფასების ლიბერალიზაცია მთელი სიმწვავით აყენებს მოსახლეობის საშინაო ქონების შესაფასებლად ახალ, 1992 წლის საბაზრო ფასებზე გადასვლის საკითხს. თვისებრივად იცვლება მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი მოხმარების საგნების აღდგენითი ღირებულებაც, რომელიც უკვე ვერავითარ შესაბამისობაში ვერ მოდის მათ პირვანდელ ღირებულებასთან.

ბუნებრივია, მოსახლეობის საშინაო ქონების ღირებულებითი შეფასების შეცვლის აუცილებლობა, რაც ფასების ლიბერალიზაციამ წარმოშვა, გამოიწვევს შესაბამის კორექტირებას ეროვნული სიმდიდრის ღირებულებით პარამეტრებშიც. იმასთან დაკავშირებით, რომ დღის წესრიგში უკვე დადგა ძირითადი ფონდების გადაფასების საკითხიც, ალბათ, საჭირო იქნება მათდამი კომპლექსური მიდგომა, რათა ეროვნული სიმდიდრისა და მისი შემადგენელი ელემენტების შეფასება ერთი და იგივე საბაზრო წლის ფასებით განხორციელდეს.

და ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც არა იმდენად მეთოდოლოგიური, რამდენადაც სტილისტური ღირებულება აქვს – საბჭოთა კავშირში გამოცემულ ყველა სტატისტიკურ კრებულში საშინაო ქონე-

- - - - - - - - - - - - - - -

საქმე გვაქვს საქონლის მესაკუთრეთა სრულ შეცვლასთან, ამიტომ აღნიშნული ასპექტისაგან აბსტრაგირებას ვახდენთ. ზემოთმოტანილ ციფრებში (8–10%) შედის მხოლოდ ის სამომხმარებლო დანიშნულების საგნები, რომლებიც ერთი და იგივე პირის პირად საკუთრებაში რჩება, ამასთან, ამ უკანასკნელთა მიერ სხვა პირებზე გადაიცემა ამ ნივთების სარგებლობის უფლება, ან ამ ნივთების გამოყენებით მათი მესაკუთრე "ქმნის" მომსახურებას, რომლის რეალიზაციასაც ახდენს გარეშე პირზე.

ზის იმ ელემენტების აღსანიშნავად, რომლებიც ექსპლუატაციის შე-
დარებით ხანგრძლივი პერიოდით ხასიათდება, საკმაოდ გრძელ სახ-
ელწოდებას იყენებდნენ: "კულტურულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო
დანიშნულების ხანგრძლივი მოხმარების საგნები", მაშინ როდესაც
უცხოეთში მათ უფრო მოკლე, სხარტი და ამომწურავი სახელწოდება
აქვთ: "ტექნიკური სამომხმარებლო საქონელი". თუ არ ვიცით საში-
ნაო ქონების ელემენტთა გაანგარიშების პრინციპები და მასში შე-
მავალ ელემენტთა წრე, შეიძლება "კულტურულ-სამეურნეო და საყო-
ფაცხოვრებო დანიშნულების ხანგრძლივი მოხმარების საგნებს" მივაკუ-
თვნოთ ისეთებიც, რომლებიც არ არიან საქონლური წარმოშობისა ან არ
განუცდიათ ფაბრიკული დამუშავება, მაშინ როდესაც სიტყვები "ტექ-
ნიკური" და "საქონელი" უკვე აკონკრეტებს მათი წარმოშობის ფორ-
მას და დანიშნულებას.

### 3.2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის საშინაო ქონების მაჩვენებლების საერთაშორისო შედარებითობის საკითხები

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს საწარმო-
ორგანიზაციების სულ უფრო ფართო ჩართვის, აგრეთვე რესპუბლიკის
საერთაშორისო ურთიერთობების სრულფასოვან სუბიექტად წარმოჩენის
გამო არა მარტო შემეცნებითი, არამედ გამოყენებად ღირებულებასაც
იძენს ჩვენი ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის საშინაო ქონე-
ბის შედარება სხვა ქვეყნების ანალოგიურ კატეგორიებთან.

კორექტული შედარებისათვის აუცილებელია ერთიანი მეთოდოლოგი-
ური ბაზა, ჩვენთან გამოყენებული მეთოდოლოგია კი უვარგისია არა-
თუ სხვა ქვეყნების, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკე-
ბის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებისთვისაც (კერძოდ, საში-
ნაო ქონების შესადარებლად), რამეთუ, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ

ითვალისწინებს ფულისა და საქონლის მოძრაობას რესპუბლიკებს შორის. ამიტომ საჭიროა გაანგარიშების მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა, მათ შორის ვალუტების მსყიდველობითი უნარისა და რეალური კურსის გათვალისწინების საფუძველზე.[1]

ის, რომ ყოფილ სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკებში მანეთს არაერთგვაროვანი მსყიდველობითი უნარი გააჩნდა, ამაზე უკვე ითქვა.[1] აღნიშნული გარემოება გამოხატულებას პოულობდა აგრეთვე ამ რესპუბლიკებში მოსახლეობის საშინაო ქონებია არაერთგვაროვან უზრუნველყოფაში. ერთ სულ მოსახლეზე საშინაო ქონების მოცულობის ამპლიტუდა, მაგალითად, 1989 წელს (საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით) შეადგენდა 37,8%-დან (ყაზახეთი) 118,4%-მდე (ლიტვა) საქართველო ამ წელს საბჭოთა კავშირის დონეს ჩამორჩებოდა 1 სულზე საშინაო ქონების მიხედვით – 9,1%-ით.[1]

პრინციპულ მიდგომას საჭიროებს ხსენებული კატეგორიების საერთაშორისო შედარებითობა. ქვემოთ შედარებები განხორციელებულია აშშ-ს დონესთან, არა მარტო იმიტომ, რომ ეს ქვეყანა თავისი სიმდიდრით სამაგალითო მსოფლიოში, არამედ ამ სიმდიდრის კვლევაში და ანგარიშში მიღწეული წარმატებების გამო.

ჩვენი და აშშ-ს ეროვნული სიმდიდრეები განსხვავდება როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. ასე მაგალითად, 1989 წლის ბოლოს აშშ-ში ერთ მცხოვრებზე მოდიოდა დაახლოებით 100 ათასი დოლარის ეროვნული სიმდიდრე და 18 ათასზე მეტი დოლარის საშინაო ქონება ხანგრძლივი მოხმარების საგნების სახით, ჩვენი რესპუბლიკის მიხედვით, შესაბამისად, 12,8 ათასი და 2,7 ათასი მანეთი.[1] მაგრამ მთავარი განმასხვავებელი ნიშანია თვისებრივი განსხვავება არა მარტო ეროვნული სიმდიდრის და მოსახლეობის საშინაო ქონების ელემენტების, არამედ მათი შეფასების მიხედვითაც.

ამ სირთულეს ისიც ემატება, რომ მიუხედავად ერთნაირი ტერმინოლოგიური განსაზღვრებისა, მთელი რიგი ელემენტები მატერიალური დოვლათისა, რომლებიც შედის აშშ-ის ეროვნულ სიმდიდრეში, ჩვენთან არ შეიტანება და პირიქით, სიმდიდრის ის ელემენტები, რომლებიც ჩვენთან მიჩნეულია ორდინარულად, ამერიკელები "სიმდიდრედ" არ მიიჩნევენ.[1]

ასე მაგალითად, აშშ-ის ეროვნულ სიმდიდრეში შედის "სამხედრო კაპიტალის" ღირებულება (იარაღის და სხვა საბრძოლო ტექნიკის სისტემები, სამხედრო დანიშნულების ნაგებობები)[19], აგრეთვე რელიგიური ორგანიზაციების ქონება (მონასტრების, საეკლესიო სკოლების და კოლეჯების, ადმინისტრაციული ნაგებობების, ჰოსპიტლების, სასტუმროების, სტამბების, რადიოსადგურების, ავტოსადგურების, აგრეთვე თვით საკულტო დაწესებულები მათივე მიწით)[20]. სიმდიდრის მნიშვნელოვანი ელემენტი აშშ-ში არის მიწა, რომელიც კვლავწარმოების პროცესში ჩართული ნაწილით ღირებულების მრავალმილიარდიან მაჩვენებელს წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, აგრეთვე ეკონომიკური და პოლიტიკური როლის გამო მსოფლიოში აშშ-ის და მისი მოქალაქეების საკუთრებაში, (მათ შორის სამხედრო უწყების ხაზით) ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მრავალი მილიარდი დოლარის სიმდიდრეა.

- - - - - - - - - - - - - - -

19 "სამხედრო კაპიტალში", რომელიც 1980-იანი წლების დასაწყისისათვის აშშ-ში შეადგენდა 0,6 ტრლნ.დოლარს, 70% მოდიოდა საბრძოლო ტექნიკაზე, დანარჩენი სამხედრო დანიშნულების ნაგებობებზე; სამხედრო "საბრუნავი კაპიტალი", საბრძოლო ობიექტებით დაკავებული მიწების ღირებულება, სტრატეგიული მარაგები და სამხედრო ქონების სხვა სახეები, აგრეთვე მატერიალური ფასეულობანი შეადგენდა დაახლოებით 0,3 ტრლნ.დოლარს. – იხ.: Несторов Л. Богатство и совокупный капитал США. Вестник статистики, 1984, №4, с. 41.

20 აღნიშნული ქონება 1980-იანი წლების დასაწყისისათვის შეფასებული იყო 200 მლრდ.დოლარად. იხ.: Несторов Л.Н., Бухвальд Е. Критика современной буржуазной статистики социальной структуры общественного богатства. Вестник статистики, 1982, № 3, с. 84.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეში არ აღირიცხება, ჩვენ არ ვიცით, თუ როგორია ჩვენი სამხედრო სიმდიდრე, მისი "ძირითადი" და "საბრუნავი" ფონდები, სტატისტიკური უწყების მიერ ამის აღრიცხვა არ წარმოებს. მაგრამ არაპირდაპირი გათვლებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამჟამად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს საქართველოს ტერიტორიაზე გააჩნია შეიარაღება და შესაბამისი ძირითადი ფონდები, რომელთა ღირებულებაც თითქმის ორჯერ აღემატება რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის სიდიდეს (1991 წლის ფასებით).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ბოლო წლებში დაიწყო საკულტო დაწესებულებების მასიური დეკონსერვაცია-რეკონსტრუქცია, მოქმედი რელიგიური დაწესებულებების და შესაბამისი კომპლექსის შენობა-ნაგებობების ღირებულების აღრიცხვა ჯერაც არ წარმოებს (ისევე, როგორც არ ხდება კაპიტალური მშენებლობის ხაზით საკულტო დაწესებულებების მშენებლობის აღრიცხვა). არადა, მისგან აბსტრაგირება ნამდვილად აღარ შეიძლება.

ჩვენ რომ ამერიკული მეთოდი გამოგვეყენებინა და ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტებიც შეგვეტანა ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეში, მაშინ ეს უკანასკნელი 1,3-ჯერ მაინც უნდა გაგვეზარდა ე.ი. მივიღებდით საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს 1990 წლის ბოლოსათვის 90 მლრდ მანეთზე მეტის ოდენობით.

თავის მხრივ, არის ეროვნული სიმდიდრის რიგი ელემენტები, რომლებიც ასეთებად არის მიჩნეული ჩვენთან მოქმედი მეთოდოლოგიით, მაგრამ არ შეიტანება ამერიკულით ეროვნულ სიმდიდრეში. ასეთებია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მატერიალური საბრუნავი საშუალებები, სახელმწიფო მარაგები და რეზერვები, დაუსრულებელი მშენებლობა და, როგორც ზემოთ ითქვა, პირადი ქონების ის

ელემენტები, რომელთა ექსპლუატაციის ვადა 3 წელზე ნაკლებია (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თეთრეული და ა.შ.). ჩვენი გაანგარიშებით, საქართველოს ეროვნული სიმდიდრიდან რომ გამოგვერიცხა ის ელემენტები, რომლებიც არ შედის ამერიკულ ეროვნულ სიმდიდრეში (ზემოაღნიშნული ელემენტები), მაშინ მისი სიდიდე შემცირდებოდა დაახლოებით 15,6 მლრდ მანეთით, ანუ თითქმის 1/6-ით. ე.ი. გამოდის, რომ ამერიკული მეთოდოლოგიის გამოყენებისას ჩვენი ეროვნული სიმდიდრე უნდა გავზარდოთ დაახლოებით 16–20 მლრდ მანეთით და შეამციროთ 15,6 მლრდ მანეთით. ჩვენის აზრით, "ამერიკული მეთოდი", რომელიც სიმდიდრის სტატუსს ანიჭებს მატერიალურ-ნივთობრივი ფორმის მქონე კვლავწარმოებად, სახმარად მზად (ხმარებაში მყოფ) დოვლათს, ფაქტობრივად უფრო სრულად ასახავს ასეთი სიმდიდრის მოცულობას.

რადგანაც ეროვნული სიმდიდრის ელემენტების შეფასებას ჩვენთან სხვადასხვა ფასების მასშტაბი და სისტემა უდევს საფუძველად, მათი შედარება ერთმანეთთან და თანაფარდობა სიმდიდრეში არაერთგვაროვანია და მთლად კორექტული არ არის. გაანგარიშებით, რომლებიც მოსკოველმა მეცნიერმა ლ.ნესტეროვმა ჩაატარა, აღმოჩნდა, რომ ფასების საბაზრო ზონაში მოქმედი სისტემის "წყალობით" ჩვენთან რამდენადმე შემცირებულია ძირითადი ფონდების და გადიდებულია მოსახლეობის საშინაო ქონების ხვედრითი წილი, რაზეც წარმოდგენას ქვემოთ ცხრილი იძლევა.

როგორც მოტანილი ცხრილი მეტყველებს, ჩვენი ეროვნული სიმდიდრის (აქ "ჩვენს" ვხმარობ იმ გაგებით, რომ საქართველოს ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურა ჩამოგავს ყოფილი საბჭოთა კავშირისას და მისთვის ზუსტად ანალოგიური პროპორციებია დამახასიათებელი) სტრუქტურა ნაკლებეფექტურია ამერიკულთან შედარებით; მასში მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს ფონდებს, კერძოდ – საწარმოო დანი-

ცხრილი 3.5.

### სსრკ და აშშ-ის საზოგადოებრივი სიმდიდრის სტრუქტურა (პროცენტობით)*

| | სსრკ | | აშშ | |
|---|---|---|---|---|
| | 1960 | 1985 | 1960 | 1985 |
| **მანეთებში შეფასებისას 1973 წლის ფასებით** | | | | |
| ძირითადი ფონდები – სულ | 64,1 | 65,4 | 60,0 | 51,6 |
| მათ შორის მატერიალური წარმოების სფეროში | 36,8 | 44,0 | 31,6 | 24,2 |
| მატერიალური საბრუნავი საშუალებები და მარაგები – სულ | 20,0 | 15,5 | 9,0 | 7,8 |
| მათ შორის მატერიალური წარმოების სფეროში | 14,0 | 12,9 | 7,2 | 6,1 |
| ოჯახების საშინაო ქონება | 15,9 | 19,1 | 31,0 | 40,6 |
| სულ სიმდიდრე | 100 | 100 | 100 | 100 |
| **დოლარებში შეფასებისას 1972 წლის ფასებით** | | | | |
| ძირითადი ფონდები – სულ | 74,1 | 76,3 | 75,8 | 69,8 |
| მათ შორის მატერიალური წარმოების სფეროში | 41,8 | 51,0 | 36,5 | 37,5 |
| მატერიალური საბრუნავი საშუალებები და მარაგები – სულ | 17,3 | 13,7 | 7,9 | 7,2 |
| მათ შორის მატერიალური წარმოების სფეროში | 11,8 | 11,1 | 6,3 | 5,6 |
| ოჯახების საშინაო ქონება | 8,6 | 10,0 | 16,3 | 23,0 |
| სულ სიმდიდრე | 100 | 100 | 100 | 100 |

შნეუების ფონდებს; მატერიალური საბრუნავი საშუალებები და მარაგები ორჯერ აღემატება თავიანთ ხვედრითწილით შესაბამის მაჩვენებელს ამერიკის ეროვნულ სიმდიდრეში, ხოლო მოსახლეობის საშინაო ქონება პირიქით, 2,3-ჯერ ნაკლებია. აშშ-ში მთელი კაპი-

* იხ.: Нестеров Л.И. Методологические проблемы международных сопоставлений статистических показателей общественного богатства, с. 33.

ზანდებების 1/3 მოდის პირითადი ფონდების მატებაზე, 2/3-საწარმოო სიმძლავრეების შეცვლაზე; საბჭოთა კავშირში 80% მოხმარდებოდა პირითადი ფონდების მატებას და მხოლოდ 20%-მათ შეცვლას. საქართველოში 1981-1990 წლებში კაპდაბანდების სტრუქტურაც ფაქტობრივად ამდაგვარი იყო (ამ პერიოდში დაუსრულებელი მშენებლობის მოცულობაც თითქმის 3-ჯერ გაიზარდა). ცხადია, რომ ჩვენთვის უმთავრეს ამოცანად უნდა იქცეს არა უშუალოდ ეროვნული სიმდიდრის მასშტაბების ზრდა (თავისი სოციალურ-ეკონომიკური არსის გარეშე იგი აბსტრაქტული, კონსტატაციური ღირებულების მქონე მაჩვენებელი იქნება მხოლოდ), არამედ მისი სტრუქტურის თვისებრივი სრულყოფა, პირველ რიგში, მატერიალური საბრუნავი საშუალებების (მათ შორის დაუსრულებელი მშენებლობის) შემცირება და საშინაო ქონების ხვედრითიწონის მკვეთრი ზრდა. ამ საქმეში გარკვეული როლის შესრულება შეუძლია სამხედრო მრეწველობის კონვერსიასაც.

ისევე როგორც ჩვენთან, აშშ-შიც მოსახლეობის საშინაო ქონებას ეროვნული სიმდიდრის ელემენტებში სიდიდის მიხედვით მეორე ადგილი უკავია. ალბათ ფაქტობრივად ეს არის ერთადერთი არსებითი ნიშანი იდენტურობისა ასეთი ელემენტებისათვის, რამეთუ პირად საკუთრებაში არსებული სიმდიდრის 4/5 ჩვენთან საშინაო ქონების ელემენტებით წარმოიდგება, მაშინ როდესაც აშშ-ში მათი ხვედრითი წონა 20%-ზე გაცილებით ნაკლებია[21] (იხ. ცხრილი 3.6.).

21 შედარებისას გასათვალისწინებელია ერთი მომენტი, რომელიც აღნიშნულ თანაფარდობას არ ცვლის, მაგრამ ჭეშმარიტებას აახლოებს-ჩვენთან, ამერიკისგან განსხვავებით, არ არის განვითარებული სამომხმარებლო კრედიტი-ქრონიკული დეფიციტის პირობებში მისი მასშტაბები შეზღუდულია (პირიქით, 1990 წლიდან მიმოქცევაში გამოშვებულია მიზნობრივი ობლიგაციები, რომელთა მიხედვით მოსახლეობა წინასწარ იხდის დეფიციტური საქონლის ღირებულებას და მერე სამი წელი "ელოდება" მათ მიღებას) და 1991 წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკაში შეადგინა სულ 112 მლნ მანეთი,

ცხრილი 3.6.

საქართველოსა და აშშ-ის მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სიმდიდრის სტრუქტურა 1989 წლის ბოლოს*
(ფაქტიური ფასებით, პროცენტობით)

| | საქართველო | აშშ | |
|---|---|---|---|
| სულ | 100 | 100 | სულ |
| მათ შორის: | | | მათ შორის: |
| ძირითადი საწარმოო ფონდები | 6,2 | 43,6 | მუდმივი კაპიტალი |
| საცხოვრებელი პირად საკუთრებაში | 13,4 | 36,5 | საცხოვრებლები |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 80,4 | 19,9 | ხანგრძლივი მოხმარების საგნები |
| მოსახლეობის საშინაო ქონების ხვედრითწილი ეროვნულ სიმდიდრეში | 21,5 | 16,1 | ხანგრძლივი მოხმარების საგნების ხვედრითწილი ეროვნულ სიმდიდრეში |
| მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სიმდიდრის ხვედრითწილი ეროვნულ სიმდიდრეში | 26,7 | 80,8 | მოსახლეობის საკუთრებაში არსებული სიმდიდრის ხვედრითწილი ეროვნულ სიმდიდრეში |

როგორც მოტანილი მონაცემები ადასტურებს, ამერიკელთა პირადი საკუთრების პროფილს ძირითადად მუდმივი კაპიტალი და საცხოვრებელი განსაზღვრავს, რომელთა წილად მოდის პირად საკუთრებაში არსებული ეროვნული სიმდიდრის 4/5 და ქვეყნის საერთო ეროვნული სიმდიდრის თითქმის 2/3. საქართველოს მოსახლეობის საკუთრებაში ეროვ-

- - - - - - - - - - - - - - - -

ანუ 1 სულ მოსახლეზე - 20 მანეთი. შედარებისათვის: აშშ-ში მისი მოცულობა 2 ტრლნ დოლარს აღემატება, მათ შორის ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე - 600 მლრდ-ს (1 სულზე 2 ათას დოლარზე მეტი). მაგრამ თუ ჩვენთან მოქმედი წესებით ნივთი საკუთრებაში გადადის განვადებით შეძენისას პირველი შენატანისთანავე, ამერიკაში საკუთრებად იქცევა ღირებულების სრული გადახდის შემდეგ, ე.ი. ფორმალურად ასეთი მიდგომით შეიძლება ამერიკელთა რეალურ საკუთრებაში არსებული საშინაო ქონება "შემცირდეს" დაახლოებით 20%-ით.

აშშ-ში ოჯახური მეურნეობების დავალიანების მიმდინარე შემოსავლების 19%, ჩვენთან შესაბამისად 0,7 პროცენტი.

* ცხრილში ერთმანეთის გასწვრივ მოყვანილია ერთნაირი ფუნქციონალური დანიშნულების ელემენტები, მათი სტრუქტურაში განსხვავების მიუხედავად.

ნული სიმდიდრის 1/4-ზე ოდნავ მეტია, თუმცა, თუ სიმდიდრის ფაქტიური გამოყენების მიხედვით ვიმსჯელებთ (მათ შორის ჩრდილოვანი ეკონომიკის მიერ), ეს მაჩვენებელი რამდენადმე მაღალია.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში მთლიანად, როგორც ზემოთ ითქვა, ეროვნული სიმდიდრის ელემენტების არაერთგვაროვანი შეფასების მეთოდიკით სარგებლობენ, რაც იწვევს მისი ზოგი ელემენტის ხვედრითი წილის ხელოვნურ ზრდას, ზოგი ელემენტისას კი, პირიქით, შემცირებას. რაც შეეხება აშშ-ს, იქ ეროვნული სიმდიდრისა და მისი შემადგენელი ელემენტების შეფასებისას სარგებლობენ საბაზრო ფასებით ან "შემოსავლის მიმდინარე ფაქტორით" (მიწის, სასარგებლო წიაღისეულზე, საავტორო უფლების, სავაჭრო მარკის გამოყენებაზე და ა.შ. რენტა[22]). სულ უფრო ფართოდ გამოიყენება აღნიშნული მიზნებისათვის "უწყვეტი ინვენტარიზაციის" მეთოდი. ამ მეთოდით გაანგარიშებული შედეგები მიესადაგება ამ ქვეყნებში ეროვნული სტატისტიკის ორგანოების მიერ მოხმარების და დაგროვების მაჩვენებლებს. ასეთ შეფასებას საფუძვლად უდევს ძირითადი საშუალებებისა და მოსახლეობის საშინაო ქონების დაგროვებაზე გაღებული ხარჯების აღრიცხვა. მატერიალური საზრუნავი სა-

---

22 საინტერესოა, თუ როგორ მონაწილეობს, კერძოდ, ამერიკელთა სიმდიდრის ისეთი ელემენტი, როგორიცაა საცხოვრებელი, მის მფლობელთა შემოსავლების გაანგარიშებაში. როგორც ცნობილია, აშშ-ში ოჯახების 2/3 საკუთარ სახლებში (ბინებში) ცხოვრობს. ისინი არ იხდიან ბინის ქირას, მათი ხარჯები ყალიბდება იპოთეკური ვალდებულებების დაფარვისა და გადასახადების გადახდის ხარჯზე. ამ ქვეყნის ეროვნული შემოსავლის გაანგარიშებისას იგულისხმება, რომ ყოველი ოჯახი, რომელიც საკუთარ სახლში ცხოვრობს, საკუთარ თავს უხდის ბინის ქირას, ე.ი., ერთი მხრივ, იხდის საბინაო მომსახურების ხარჯებს, მეორე მხრივ, როგორც უძრავი საცხოვრებელი ფართის პატრონი (მფლობელი), ღებულობს შემოსავალს. შესაბამისად, ეს ფიქტიური "საბინაო გადასახადი" შედის, ჯერ ერთი, სამომხმარებლო ხარჯებში (ხარჯები მომსახურებაზე) და მეორეც, შემოსავლებში (რენტული ტიპის შემოსავლები). 1985 წელს ამ ფიქტიური "ბინის ქირის" ღირებულებამ შეადგინა 270 მლრდ დოლარი - ეს მეტია, ვიდრე ესპანეთის ან პოლანდიის ეროვნული პროდუქტი; ეროვნული შემოსავლის მოცულო-

შეღავათების ღირებულება (რომელიც აშშ-ში არ შეაქვთ ეროვნული სიმდიდრის რაოდენობრივ განზომილებაში) განისაზღვრება საბითუმო ფასებით ან ფაქტიური მოხმარების ფასებით. ბუნებრივი რესურსები ფასდება, როგორც წესი, რენტული მეთოდით. ეს ჩამოთვლილი მეთოდები პრაქტიკულია განვითარებული საბაზრო ურთიერთობების მქონე ქვეყნებისათვის; ასეთი ურთიერთობების საყოველთაო განვითარების კვალობაზე შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება ჩვენს პრაქტიკაშიც.

ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ვერ ხერხდება ჩვენებური მეთოდოლოგიის შედარება საზღვარგარეთულთან, არის ის, რომ ჩვენს ეროვნულ სტატისტიკაში ფაქტიურად არ გამოიყენება კატეგორია "ოჯახური მეურნეობა", რომელიც წარმოადგენს ოჯახის წევრთა, მათი საშინაო ქონებისა და საცხოვრებლის (ბინის,სახლის) ერთიანობას. ჩვენთან ბოლო დრომდე ოჯახი იყო სტატისტიკური დაკვირვების ობიექტი, როგორც საზოგადოების პირველადი სოციალური და არა როგორც ეკონომიკური უჯრედი. ეკონომიკურ ინტერესთა კანონიზებულ სისტემაში (პირად-კოლექტიური-საზოგადოებრივი) "ოჯახური ინტერესისათვის" ადგილი არა რჩებოდა. სოციალური პრობლემებისაკენ შემობრუნება სხვა მრავალ პოზიტიურ მოვლენასთან ერთად გულისხმობს ოჯახური მეურნეობის სოციალური სტატუსის განმტკიცებას და, შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის დაკვირვების პირველად ობიექტად მიჩნევას. ბუნებრივია, ყველა არ ცხოვრობს ოჯახში, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მარტოხელაა (საქართველოს მოსახლეობის ბოლო, 1989 წლის აღწერით,ასეთები მოსახლეობის სა-

ბაში მოხვდა ამ თანხის დაახლოებით 10%- იხ.: ВЭ и МО, 1989,№2.გვ.96. უნდა აღინიშნოს, რომ "შემოსავლების" ამგვარი ჩართვა ეროვნულ შემოსავალში დაშვებულია მხოლოდ საცხოვრებლების და არა, მაგალითად, ავტომობილების ან ხანგრძლივი მოხმარების სხვა საგნების მიმართ.

ერთ რაოდენობის 4% იყო, ხოლო ოჯახის ცალკე მცხოვრებ წევრებთან ერთად – 7%), მაგრამ აქვთ საცხოვრებელი და ეწევიან საშინაო მეურნეობას, ამიტომ ისინიც მიჩნეული უნდა იქნენ როგორც ოჯახური, საშინაო მეურნეობის ერთეული. თავის მხრივ, ოჯახურ მეურნეობად ვერ ჩაითვლება ადამიანთა ისეთი ჯგუფები, რომლებსაც შეიძლება ნათესაური კავშირიც კი აქვთ ერთმანეთთან, მაგრამ არ გააჩნიათ თავიანთი საცხოვრებელი (საკუთარი ან დაქირავებული) და ეწევიან მოხეტიალე ცხოვრებას (ე.წ. მაწანწალები, ბომჟები). აშშ-ში მოგვარებულია ოჯახური მეურნეობის ნებისმიერი კომპონენტის – ოჯახის, საშინაო ქონებისა და სადგომების აღრიცხვა (იხ. ცხრილი 3.7.); იქ ყოველ 100 ოჯახზე გაანგარიშებით 138 ოჯახური მეურნეობა და 159 საცხოვრებელი სადგომი მოდიოდა. ჩვენთან ოჯახურ მეურნეობათა აღრიცხვა, ზემოთ მოტანილი მიზეზების გამო, არ წარმოებს, საბინაო პრობლემის სიმწვავის გამო კი ძალზე ხშირად თით სადგომში ორი და მეტი ოჯახი ცხოვრობს, ამიტომ თვით რაოდენობრივი შედარება მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის საქმეში ჩვენი მხარისთვის წამგებიანია. საექსპერტო შეფასებით, ყოველ 100 ნუკლეარულ ოჯახზე ჩვენთან დაახლოებით 65-70 საცხოვრებელი სადგომი მოდის (საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მაჩვენებლები ჩვენთან და აშშ-ში, ყოველ 1 სულზე გაანგარიშებით, შეადგენს შესაბამისად 17მ$^2$ და 63მ$^2$).

როგორც უკვე აღინიშნა, საცხოვრებელი დე-იურე ჩვენთან არ შედის მოსახლეობის საშინაო ქონების შემადგენლობაში და არა მარტო იმიტომ, რომ ეროვნული სიმდიდრის ელემენტების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს მათი კვლავწარმოების ხასიათი და არა ფუნქციონალური დანიშნულება, არამედ იმიტომაც, რომ საცხოვრებლების უდიდესი ნაწილი არაა პირად მფლობელობაში (1991 წლის ბოლოსათვის საბინაო ფონდის მხოლოდ 32,4% იყო პირად საკუთრებაში და 9,6%-

ცხრილი 3.7.

მოსახლეობის საშინაო
ქონება აშშ-სა და საქართველოში 1989 წლის ბოლოს
(ფაქტიური ფასებით; აშშ-ში – ათასი დოლარი;
საქართველოში – ათასი მანეთი)

| | აშშ[X] | საქართველოში[XX] |
|---|---|---|
| საშინაო ქონება | | |
| 1 სულზე | 16,2 | 2,7/2,4 |
| 1 ოჯახზე | 31,0 | 10/9 |
| 1 საშუალო ოჯახური მეურნეობის ქონება (ქონება – პირად საკუთრებაში მქონე საცხოვრებლის ღირებულება) | 120 | 12,0/ 10,8 |

კოოპერატიულ საკუთრებაში, დანარჩენი 58% – სახელმწიფო საკუთრებაზე მოდიოდა). საცხოვრებელი ბინა არა მარტო უპირველესი მოთხოვნილების საგანი, გარემოსაგან თავდაცვისა და ოჯახური განმარტოების, დახარჯული ენერგიის, ძალების რეკრეაციის ადგილია, არამედ თანამედროვე პირობებში იგი სულ უფრო მეტად იძენს საზოგადოების წევრთა სოციალური სტატუსის ინდიკატორულ ღირებულებას (ზოგადად რომ ვთქვათ, ბინისა და ქონების საკითხი – პიროვნების თავისუფლების საკითხიცაა). ადამიანს გააჩნია სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებანი კომფორტულ საცხოვრებელზე; ეს პროცესი ორგანული გამოხატულებაა საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების ზრდის ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური კანონისა და სოციალური

X საშინაო ქონება, როგორც ხანგრძლივი მოხმარების საგნების ერთობლიობა

XX მრიცხველში – საშინაო ქონება, გაანგარიშებული ჩვენთან მოქმედი მეთოდოლოგიის საფუძველზე; მნიშვნელში – იგივე ქონება, წარმოდგენილი მხოლოდ ხანგრძლივი მოხმარების საგნებით.

შედარებითობის ზოგადსოციოლოგიური კანონის მოქმედებისა. ბუნებრივია, ბინების ფართობის ზრდა, გაუმჯობესებული განლაგება ქმნის საშინაო ქონების დაგროვების მძლავრ სტიმულებს და პირიქით: საშინაო ქონების ელემენტების დაგროვება დამატებით სტიმულებს აძლევს ბინებზე მოთხოვნილებების წარმოშობას და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესის დაჩქარებას. სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელობიდან გამომდინარე, კეთილდღეობის ამ ორი მხარის თანაფარდობაში შედარებით სუსტი მხარე სწორედ ბინებია, რამეთუ მოთხოვნილებათა რანჟირებულ სისტემაში მას ხანგრძლივი მოხმარების საგნებთან შედარებით უპირატესი ადგილი უკავია (კვების პროდუქტების და გარდერობის საგნების შემდეგ). საქართველოში 1 სულ მოსახლეზე 25მ$^2$ და მეტი ფართობი უკავია მოსახლეობის 34%-ს, 9მ$^2$-ზე ნაკლები კი – 14,7%-ს, მათ შორის 5მ$^2$-ზე ნაკლები 3,8%-ს. ბინების მიღების აღრიცხვაზე ჩვენთან ოჯახების 11% აყვანილი, ოჯახების და მარტოხელების 4% ქირაობს ბინას კერძო პირებთან. თუ რამდენად მძიმედ მიდის რიგი ბინის მისაღებად, იქიდანაც ჩანს, რომ საშუალო ყოველი ამერიკელი ოჯახი ორჯერ და მეტად იცვლის ბინას, საცხოვრებელს იმ დროში, რაც ჩვენს აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეს სჭირდება ბინის მისაღებად. აღნიშნულის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ბინების განაწილების არაეკონომიკური მეთოდია, რომელსაც ბინათმშენებლობის დაჩქარება და მისი ეფექტიანობის ამაღლება მხოლოდ განაწილების ეკონომიკურ მეთოდებს შეუძლია.

ბინების, როგორც კეთილდღეობის ზრდის "ვიწრო ადგილზე" ისიც მეტყველებს, რომ ჩვენთან საბინაო ფონდისა და მოსახლეობის საშინაო ქონების ელემენტებს შორის თანაფარდობა შეადგენს 31:69, მაშინ, როდესაც აშშ-ში იგი 62:38. მოსახლეობის

საშინაო ქონების ასეთი მეტობა საბინაო ფონდებთან იმას კი არ გამოხატავს, რომ ჩვენთან მოხმარების საგნებით მოსახლეობის აღჭურვა "ძალიან კარგადაა", არამედ იმას, რომ საბინაო ფონდია "ძალიან ცოტა". იმისათვის, რომ ჩვენთანაც იგივე თანაფარდობა ყოფილიყო, როგორც ამერიკაში, საჭირო იქნებოდა ამ ფონდების ღირებულების გაზრდა დაახლოებით 2,2-ჯერ, ერთ სულ მოსახლეზე კი, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სისტემატური გადიდების გარეშე, თითქმის 1,5-ჯერ – 25მ$^2$-მდე. პერსპექტივაში "ტანდემი" "ბინა-საშინაო ქონება" სულ უფრო დიდ როლს ითამაშებს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში, ამ პროცესის უზრუნველმყოფი სტრატეგიის შემუშავებაში. რაც შეეხება აღრიცხვის მეთოდოლოგიის საკითხებს, ჩვენის აზრით, ეროვნული სიმდიდრის და მისი ელემენტების დაჯგუფება უნდა განხორციელდეს არა მარტო კვლავწარმოების თავისებურებების (ძირითადი ფონდები, მატერიალური საბრუნავი საშუალებები, მოსახლეობის საშინაო ქონება), ქვეგანაყოფ-ების (საწარმოო, არასაწარმოო ფონდები), ფაზების (წარმოების, მიმოქცევის, მოხმარების ფონდები), არამედ საკუთრების სოციალური ფორმების მიხედვითაც. ამ შემთხვევაში პირადი საკუთრება მოიცავდა არა მარტო დღესდღეობით საშინაო ქონებაში შეტანილ მოხმარების საგნებს, არამედ ბინას, წვრილ სამეურნეო ინვენტარს, მრავალწლიან ნარგავებს, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს... ჩვენი აზრით, დღეს უკვე შეიძლება მოსახლეობის საშინაო ქონების შემდეგ ფორმებზე ლაპარაკი:

1. საშინაო ქონება, როგორც მხოლოდ ხანგრძლივი მოხმარების საგნების ერთობლიობა;

2. საშინაო ქონება, როგორც ხანგრძლივი მოხმარების საგნებს დამატებული გარდერობის საგნები, თეთრეული, ფეხსაცმელი

და სხვა არახანგრძლივი მოხმარების საგნები.

3. მე-2 ჩამონათვალს დამატებული მოსახლეობის საკუთრებაში არსებული საცხოვრებლები.

პერსპექტივაში ეროვნული ვალუტის კონვერტირებადობის მიღწევის კვალობაზე შეიძლება მოსახლეობის პირად ქონებაში შევიტანოთ აგრეთვე მათი ფულადი დანაზოგები, ფასიანი ქაღალდები, როგორც ამას უკვე აკეთებენ მყარი ვალუტის მქონე ქვეყნებში.

და ბოლოს ერთი საკითხი, რომელიც ეხება მოსახლეობის ხანგრძლივი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის მაჩვენებლებს შორის არსებულ განსხვავებას სამამულო და საზღვარგარეთის სტატისტიკური მეთოდოლოგიური აპარატის მიხედვით. როგორც ცნობილია, ჩვენთან მოსახლეობის უზრუნველყოფა ხანგრძლივი მოხმარების კულტურულ-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებით გაიანგარიშება ყოველ 100 ოჯახზე ან ყოველ 1000 მცხოვრებზე. საზღვარგარეთ ანგარიშობენ, თუ რამდენი ტექნიკური სამომხმარებლო საგანი მოდის ყოველ 100 ოჯახურ მეურნეობაზე და რამდენი ტექნიკური სამომხმარებლო საგანია ყოველ იმ 100 ოჯახზე, რომლებსაც ასეთი სამომხმარებლო საგანი გააჩნია. განსხვავება არსებითია, რამეთუ, ჯერ ერთი, ოჯახური მეურნეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უფრო რთული განზომილებადობის მქონე კატეგორიაა, ვიდრე ოჯახი, მეორეც, ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა გაანგარიშებულ იქნეს როგორც მოსახლეობის სამომხმარებლო საგნებით უზრუნველყოფის დონე, ისე იგივე დონე მხოლოდ იმ ოჯახების მიხედვით, რომლებიც ამ საგნებს ფლობენ. საზოგადოების ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავების პირობებში ვღებულობთ რეალურ სურათს კონკრეტული სამომხმარებლო საგნით როგორც მქონებელ ოჯახთა უზრუნველყოფის, ისე არმქონე ოჯახთა რაოდენობის შესახებ. ასე მაგალითად, აშშ-ში

ყოველი 100 ოჯახური მეურნეობიდან მსუბუქი ავტომობილი არა აქვს 15-ს, ხოლო ყოველი ისეთი 100 ოჯახური მეურნეობიდან, რომლებსაც აქვთ, 59 ფლობს ორ და მეტ მანქანას.

ჩვენთან იმ საქონლის ჩამონათვალი, რომლითაც მიხედვითაც ხდება მოსახლეობის (ოჯახებზე და სულადობაზე) უზრუნველყოფის მაჩვენებლების გაანგარიშება, წლების განმავლობაში უცვლელია.

იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება მოსახლეობის განკარგულებაში არსებული სამომხმარებლო დანიშნულების საგნების ასორტიმენტი (ვიდეომაგნიტოფონები, პერსონალური კომპიუტერები, კონდიციონერები, საოჯახო კომბაინები და ა.შ.) და რაოდენობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ საგნების მიხედვითაც დაიწყოს მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლების გაანგარიშება, ამასთან, უკვე ზემოთ ხსენებული პრინციპების საფუძველზე. ეს გაზრდიდა აღნიშნული მონაცემების შემეცნებით და გამოყენებით ღირებულებას.

ცხოვრებას, რა თქმა უნდა, სისტემატურად შეაქვს კორექტივები ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის საშინაო ქონების როგორც განსაზღვრის მეთოდოლოგიაში, ისე გაანგარიშების კონკრეტულ მეთოდიკაში. ზემოთ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ ამოწურავს პრობლემათა რთულ ცვალებად ფერივნებას და მუშაობის სრულყოფას აღნიშნული მიმართულებით მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტების, სტატისტიკოსების მნიშვნელოვანი ძალისხმევა დასჭირდება. მაგალითად, ამერიკელ ეკონომისტებს რამდენიმე ათეული წელი დასჭირდათ, რომ დაგროვილი საშინაო ქონების სტატისტიკის სრულყოფა მოეხდინათ. შრო-

მა საქართველოს ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის საშინაო ქონების მეცნიერულად დასაბუთებული, დამაჯერებელი მეთოდოლოგიური აპარატის შესაქმნელად საქართველოს ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელშემწყობ მნიშვნელოვან პირობად უნდა ჩაითვალოს.

# დ ა ს კ ვ ნ ა

ნაშრომი ეხება ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის საშინაო ქონების შეფასების უმნიშვნელოვანეს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მხარეს. იგი არ ამოწურავს საკითხთა წრეს, რომელთა მიხედვითაც კვლევა უნდა წარიმართოს; იმის გამო, რომ საქართველოს ეროვნული სიმდიდრის საკითხებისადმი მიძღვნილი პირველი ქართული ნაშრომია, თემის ბევრი ასპექტი მხოლოდ საკითხის დასმის წესითაა მოცემული. ჩვენი მიზანი იყო არა მარტო გვეჩვენებინა ეროვნული სიმდიდრისა და მისი ელემენტების მატერიალურ-ნივთობრივი, კვლავწარმოებითი თუ სოციალური სტრუქტურა, მათი შეფასების მეთოდოლოგიაში და მეთოდიკაში არსებული "სუსტი წერტილები", არამედ მოგვეწოდებინა ეს "ინფორმაცია განსჯისათვის", "გვებიძგა" დაინტერესებული პირებისათვის მოეძებნათ საინტერესო სექტორი ამ თემის კვლევაში. ჩვენის აზრით დღეს ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკის წინაშე დგას მისი ელემენტების გაფართოოების, მათი კლასიფიკაციის დაზუსტების, შემადგენელი ელემენტების ბალანსების სისტემების შემუშავების, ფიქტიური ელემენტების გამოყოფის და სხვა საკითხები.

საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნული სიმდიდრისა და მოსახლეობის საშინაო ქონების სტატისტიკას უკვე მდიდარი გამოცდილება გააჩნია არა მარტო აღნიშნული კატეგორიების რაოდენობრივი პარამეტრების გასაზომად, არამედ ისეთი "ეგზოტიკური" ასპექტების შემუშავებაშიც, როგორიცაა თაობათა ხვედრითი წილის გათვლა საშინაო ქონების საერთო მოცულობაში, ოჯახების ქონებრივი დიფერენციაცია ოჯახის წევრთა შემოსავლების, ოჯახის წევრთა და მათი უფროსის საშუალო ასაკის მიხედვით, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი ქონების გაანგარიშებაზე მოსახლეობის სქესისა და ეთნიკური ჯგუფების მი-

[illegible]ვით. ჩვენი ეროვნული სტატისტიკა ამ სფეროში პირველ ნაბიჯებს დგამს და, ბუნებრივია, ამ მხრივ დასაკვეხნი ჯერჯერობით ბევრი არა აქვს; იგი სრულად შეესაბამება განვითარების იმ დონეს, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე პერიოდის ეროვნული ეკონომიკისათვის. წლების განმავლობაში სტატისტიკის მეთოდოლოგიური აპარატი იყო "ხარჯვითი სამეურნეო მექანიზმის" აპოლოგეტი და ამიტომ მისი მაჩვენებლები ისე წარმოსდგებოდა მნახველის თვალში, როგორც "პოტიომკინის სოფლები" ეკატერინე II-ისათვის. დღევანდელ პირობებში, მეურნეობრიობის ტიპის შეცვლისას არსებითად იცვლება სტატმაჩვენებელთა დანიშნულება და ხასიათი. ამასთან, თუ ეკონომიკის გარდაქმნა მოითხოვს სოლიდურ კაპიტალდაბანდებებს და დროს, სტატისტიკის მეთოდოლოგიური აპარატის გარდაქმნა შესაძლებელია განხორციელდეს შეუდარებლად უფრო ოპერატიულად და იაფად (თუმცა ასეთი აპარატის სრულყოფის პროცესი პერმანენტულია). იმედია ასეთი ნაბიჯების კვალობაზე ჩვენშიც განვითარების პოვებს გაანგარიშებები, რითაც დღეს ასე მდიდარია საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნული სიმდიდრის სტატისტიკა.

რაც შეეხება საბაზრო ურთიერთობების განვითარების გავლენას მოსახლეობის საშინაო ქონების დინამიკაზე, ასეთი ურთიერთობები უფრო ფართოდ ჩართავს არა მარტო ჩვენს ეკონომიკას მსოფლიო მეურნეობის სისტემაში, არამედ ჩვენებურ მომხმარებელსაც აზიარებს მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრის "მონაპოვრებთან"; ეს ხელს შეუწყობს ჩვენი სამომხმარებლო სტრუქტურის დაახლოებას საერთაშორისო მაჩვენებლებთან, რის გამოც მნიშვნელოვნად გაადვილდება ჩვენი მოხმარების, ქონების და შემოსავლების შედარება ანალოგიურ უცხოურ მაჩვენებლებთან.

ჩვენ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში საბოლოო პროდუქტის მიღებაზე ვხარჯავდით საარაკოდ ბევრ ნედლეულს, მასალას, ამასთან გამოყენებული ნედლეული ან მადანი ჯერ კიდევ მდიდარია ძირითადი და თანამდე პროდუქტებით და მათი ხელახალი ჩართვა კვლავწარმოებაში ეკოლოგიური გაჯანსაღებისათვის გადადგმულ ნაბიჯად შეიძლებოდა აღქმულიყო. ამ კუთხით წარმოების ნარჩენები და გადამუშავებული ნედლეულიც შეიძლება "სიმდიდრის" ცნებაში შევიტანოთ, რამეთუ პოტენციურად ისინიც შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული პროდუქციის მისაღებად. საბაზრო ურთიერთობების განვითარება ასეთ რესურსებს, უეჭველად, ყურადღების გარეშე არ დატოვებს.

რა თქმა უნდა, საბაზრო ურთიერთობების განვითარება მოიტანს თავის პრობლემებსაც, პირველ რიგში, "მცურავ" ფასებს ერთსახელიან საქონელზე; სარენტო ურთიერთობების განვითარების შესაბამისად ეროვნული სიმდიდრის ბუნებრივი ელემენტების შეფასებაში რენტის გამოყენება და სხვა მომენტები უფრო დინამიურს გახდის ეროვნული სიმდიდრისადა მისი ელემენტების შეფასების საკითხებს.

აღნიშნული პრობლემები ნამდვილად იმსახურებს ეკონომისტების, სტატისტიკოსების, დაინტერესებული პირების მეტ ყურადღებას. თუ ამ ნაშრომმა შესძლო ასეთი ყურადღების გაღვიძება მკითხველთა მცირე ნაწილში მაინც, ავტორის მიზანი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

# დ ა ნ ა რ თ ე ბ ი

### საქართველოს ეროვნული სიმდიდრე
(ბუნებრივი სიმდიდრის გარდა; ფაქტიური ფასებით; სრული პირვანდელი ღირებულებით; წლის ბოლოს; მლნ მანეთი)

| | ეროვნული სიმდიდრე-სულ | მათ შორის: ძირითადი ფონდები | აქედან: ძირითადი საწარმოო ფონდები | აქედან: ძირითადი არასაწარმოო ფონდები | მატერიალური საბრუნავი საშუალებები | მოსახლეობის საშინაო ქონება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1960 | 8701,0 | 6424 | 3500 | 2924 | 1106 | 1171 |
| 1961 | 9364,0 | 6809 | 3689 | 3120 | 1290 | 1265 |
| 1962 | 10105,9 | 7274 | 3943 | 3331 | 1463 | 1368,9 |
| 1963 | 10957,7 | 7868 | 4342 | 3526 | 1476 | 1613,7 |
| 1964 | 11917,[illegible] | 8434 | 4658 | 3776 | 1708 | 1775,3 |
| 1965 | 12875,8 | 8926 | 5005 | 3920 | 2014 | 1936,8 |
| 1966 | 13781,6 | 9449 | 5410 | 4039 | 2196 | 2136,6 |
| 1967 | 14935,6 | 10061 | 5742 | 4319 | 2503 | 2371,6 |
| 1968 | 16220,2 | 10660 | 6114 | 4546 | 2881 | 2679,2 |
| 1969 | 17565,2 | 11271 | 6543 | 4728 | 3263 | 3031,2 |
| 1970 | 18985,0 | 12023 | 7045 | 4978 | 3565 | 3397,0 |
| 1971 | 20549,9 | 12900 | 7646 | 5254 | 3890 | 3759,0 |
| 1972 | 22019,9 | 13809 | 8221 | 5588 | 4096 | 4115,9 |
| 1973 | 25545,8 | 16848 | 10301 | 5547 | 4249 | 4448,8 |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1974 | 27271,2 | 17874 | 11048 | 6826 | 4564 | 4833,2 |
| 1975 | 29188,7 | 18921 | 11829 | 7092 | 4979 | 5288,7 |
| 1976 | 31034,3 | 20040 | 12628 | 7412 | 5248 | 5746,3 |
| 1977 | 33175,4 | 21108 | 13330 | 7778 | 5854 | 6213,4 |
| 1978 | 35547,9 | 22741 | 14618 | 8123 | 6151 | 6655,9 |
| 1979 | 38109,6 | 24074 | 15516 | 8558 | 6870 | 7165,5 |
| 1980 | 40864,4 | 25456 | 16480 | 8975 | 7616 | 7793,4 |
| 1981 | 43602,4 | 26929 | 17512 | 9417 | 8198 | 8475,6 |
| 1982 | 46462,9 | 28331 | 18554 | 9777 | 9014 | 9117,9 |
| 1983 | 49852,8 | 29988 | 19776 | 10212 | 10173 | 9691,8 |
| 1984 | 53672,0 | 32021 | 21342 | 10679 | 11321 | 10330,0 |
| 1985 | 57333,2 | 34076 | 22825 | 11251 | 12285 | 10972,2 |
| 1986 | 60450,8 | 36102 | 24248 | 11854 | 12422 | 11926,2 |
| 1987 | 63724,4 | 37840 | 25362 | 12478 | 12920 | 12964,4 |
| 1988 | 66297,0 | 39639 | 26340 | 13299 | 12573 | 14085,0 |
| 1989 | 69369,9 | 41233 | 27260 | 13973 | 13250,9 | 14886,0 |
| 1990 | 73319,0 | 42222,0 | 27858,0 | 14364,0 | 14408,8 | 16688,2 |

## საქართველოს ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურა
(ფაქტიური ფასებით; პროცენტობით)

| | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული სიმდიდრე - სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| მათ შორის: | | | | | |
| წარმოების სფეროს ფონდი | 44,9 | 46,2 | 47,2 | 48,8 | 46,2 |
| მიმოქცევის სფეროს ფონდი | 11,0 | 11,3 | 11,5 | 12,0 | 11,4 |
| მოხმარების სფეროს ფონდი | 44,1 | 42,5 | 41,3 | 39,2 | 42,4 |
| საწარმოო ფონდი | 53,1 | 55,5 | 56,8 | 59,0 | 57,0 |
| არასაწარმოო ფონდი | 46,9 | 44,5 | 43,2 | 41,0 | 43,0 |

## საქართველოს ეროვნული სიმდიდრის მოხმარების სფეროს სტრუქტურა

(ფაქტიური ფასებით; პროცენტობით)

| | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| მოხმარების სფერო - სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| აქედან: | | | | | |
| ძირითადი არასაწარმოო ფონდები | 59,3 | 57,2 | 53,1 | 50,2 | 46,3 |
| ღვინის მარაგები | 0,2 | 0,2 | 0,7 | 0,8 | – |
| მცენარეული ზეთის მარაგები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | - |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 40,5 | 42,6 | 46,2 | 49,0 | 53,7 |

## საქართველოს ეროვნული სიმდიდრის არასაწარმოო ფონდის სტრუქტურა

(ფაქტიური ფასებით; პროცენტობით)

| | 1970 | 1975 | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|---|---|
| არასაწარმოო ფონდი - სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| მათ შორის: | | | | | |
| მოხმარების სფერო | 99,0 | 95,5 | 93,7 | 95,3 | 94,8 |
| აქედან მოსახლეობის საშინაო ქონება | 38,2 | 40,7 | 44,2 | 46,7 | 51,0 |
| სოფლის მეურნეობის პროდუქციის მარაგები მწარმოებელთა მეურნეობებში | 5,1 | 4,1 | 4,0 | 3,9 | 4,1 |
| საქონელი გზაში | 0,6 | 0,3 | 0,3 | 0,7 | 1,1 |

## საქართველოს მოსახლეობის მიმდინარე შემოსავლები და საშინაო ქონება

(საშუალოდ 1 ოჯახზე გაანგარიშებით; მან.)

| | 1980 | 1985 | 1990 |
|---|---|---|---|
| მოსახლეობის მიმდინარე შემოსავლები | 4045,1 | 4049,4 | 6280,8 |
| მოსახლეობის საშინაო ქონება | 5469,2 | 7222,0 | 11621,0 |
| მოსახლეობის საშინაო ქონება მიმდინარე შემოსავლების ერთ მანეთზე, კაპიკი | 135,2 | 178,3 | 185,0' |

## საქართველოს მოსახლეობის საშინაო ქონების თანაფარდობა ერთწელი შემოსავლის მოხმარების ფონდთან

(ფაქტიური ფასებით; პროცენტობით)

1970 - 102,8
1975 - 123,8
1980 - 136,1
1985 - 149,70
1990 - 197,6

გამომცემლობის რედაქტორი მ. ჯაველიძე.

ფასი სახელშეკრულებო

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,56, სააღრიცხვო საგამომც. თაბახი 5.84
ტირაჟი 600, შეკვეთის № 533

საქართველოს რესპუბლიკის სოფ.ე.კ. ინფორმის კომიტეტის რისო,
კ. გამსახურდიას გამზ. 4, 21.06.1992წ.